



A large, stylized Hebrew letter 'ה' (He) is positioned on the left, followed by a large, stylized Hebrew letter 'ו' (Vav) on the right. Both letters are rendered in a thick, dark grey font with a white outline. The background behind the letters is a solid yellow color.



## ମୋଟାର୍କାତିଶାଖାକୁ ପାଇଁ ଆମେ

№ 3 (46)

2020



፭፻፲፯ የሚችሉበት - 70

# ოლე

მწერალთა ასოციაცია  
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

შურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან  
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა  
**სულხან საპა**

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული  
ხე  
**ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი**

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

## მთავარი რედაქტორი

აკაკი დაუშვილი

## რედაქტორები

ფარნა რაინა

ნუნუ ძამუკაშვილი

## მხატვრული რედაქტორი

სოფიო ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი

ერეკლე II-ის გამზირი №6

III სართული

მობ: 555 46 44 29

მწერალთა ასოციაცია

„ლიტერატურული კახეთი“

მობ: 558 48 24 80

„ოლეს“ რედაქტიაში შემოსული მასალა  
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ  
ელექტრონული ფოსტით

E-mail: akakidau@mail.ru

შურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა  
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge) — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“  
ვებგვერდზე.

შურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიცი-  
პალიტეტის მერიის (მერი ბატონი **შოთა ნა-  
რიკლაშვილი**), თელავის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს (თავმჯდომარე არჩილ **თხლაშვილი**)  
მხარდაჭერით.



გამოცემის სამსახური №3(46), 2020



გამოცემის სამსახური



„ოლეს“ ლიტერატურული შურნალი



## შინაარსი

### ზაალ გოგოვაძელი – 70

#### 2. მილოცვები. მიძღვნილი ლექსები.

მაყვალა გონაშვილი, ემზარ კვიტაიშვილი,  
ფარნა რაინა, მანანა ჩიტიშვილი, ქეთევან  
შენგელია, ბალათერ არაბული, თემურ  
ჩალაბაშვილი, დავით თელორაძე, ვანო  
ჩხიგვაძე, რეზო ადამია, ავთანდილ ბერიძე,  
აკაკი დაუშვილი; ჯემალ ინჯია, გივი  
ჭიჭინაძე, ზეზვა მედულაშვილი, ნუნუ  
ძამუკაშვილი, ეთერ ზარიძე, ნათელა  
გოხელაშვილი, ბაგრატ ბადიდი

1



### მემორალის ხსრვეას

#### 17. მარი ზაალიშვილი. არ დავიწყებისა...

### შტრიხები მემორალის პორტრეტისთვის

#### 20. მამუკა ვაშაკიძე. ლიმილით მებრძოლი კალმოსანი

### მხატვრული ლიტერატურა

#### 23. ზარნა რაინა. კატრენები

#### 42. ფიქრის უზიტაშვილი. „Why not?!”. მოთხოვა

#### 47. ეკა ჩავაია. ლექსები

#### 51. ივერა პალიშვილი. ორი მოთხოვა

#### 53. ლევა ძამუკაშვილი. ლექსი

#### 53. დავით (პუსა) ბატიაშვილი. ლექსი

#### 54. მაია ლიანიშვილი. ლექსები

### თარგმანები

#### 58. ნიკოლაი შავსულიშვილი. ევგენი ევტუშენკოზე

### ცარილები

#### 60. ნიაზ ბოლქვაძე. უძველეს კოლხ მეტალურგთა საიდუმლოება

გარეკანის პირველ გვერდზე  
სოჭიო ჟულიანის ნახატი

დაიბჭებდა  
გამომცემლობა „მერიდიანი“

ოლე, №3, 2020





## სიტყვის დათითაურთხეული რაინდი

„დასაბამიდან იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთი და ღმერთი იყო სიტყვა.  
ის იყო დასაბამიდან ღმერთან.

ყველაფერი მის მიერ შეიქმნა და უმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა.“

ამ ბიბლიური შეგონებით იწყებს „ნათელი კაცთა“ ზაალ ბოტკოველი. ვინ ვინ და თავად ქართული სიტყვის უერთგულესმა გუშაგმა კარგად იცის სიტყვის ფასი და ძალმოსილება. სიტყვის, ანუ უფლის. თავადაც უფლის გზას დასდგომია, ანგელოზის თვალი ტრიალებს მის ყველა წერილსა თუ თარგმანში, ესესა თუ რეცენზიაში.

ცნობილ ქართველ მწერალთა შემოქმედებაზე მის მიერ დაწერილი რეცენზიები მარტო თავანკარა ქართულით ან აზროვნების სილრმით როდი ხიბლავს მკითხველს. თითოეული წერილი დამოუკიდებელი მხატვრული ნანარმოებია ქვეყნის სვე-ბედზე მაფიქერალი კაცისა, რომელსაც ხელთ ჯადოსნური გასაღები უპყრია და რუდუნებით გიღებს მწერლის სულიერი საგანძუროს ცხრაკლიტულს. კითხულობ და გივირს — განა აქამდე არ წაგიკითხავს ეს მშვენიერი ნაჩარმოები? განა აქამდე არ იცოდი ეს ჭეშმარიტება? მაშ რა მაღლი დაჰყვება ზაალ ბოტკოველის ამ სტრიქონებს, ასეთ განსაკუთრებულ ელფერს რომ მატებს მწერლის ნააზრევს, ასე რომ გიტაცებს და გინვევს ხელოვანის შემოქმედების ურთულეს გზანვრილებზე სახეტიალოდ.

ქართული სიტყვისადმი ერთგულებასა და მრნამსს ასე გამოხატავს ზაალ ბოტკოველი: — დიახ, ქართულ ენას, ჩვენს მშობელსა და ქომაგს გადარჩენა სჭირდება, მოვლა-პატრონობა სჭირდება და სწორედ პოეტები, ქართველი პოეტები არიან ის დვთითკურთხეული რაინდები, რომლებიც გრაალის მცველთა დარად, ლამის უკანასკნელ ბასტიონად ქცეულა ეშმას და სატანას მოციქულთა შემოტევების მოსაგერიებლად.

თავად „სიტყვის დვთითკურთხეული რაინდი“ უკვე ათეულობით წელია ამ სადარაჯოზე დგას. მისი სიტყვა მართალთათვის სულის სალუნია, ქვეყნის ორგულოთათვის და უნიჭოთათვის ბასრი მახვილი.

რაც მწერალთა კავშირთან ურთიერთობა მახსოვს, მახსოვს ზაალ ბოტკოველიც — თავდადებული, ერთგული, ზნეეკეთილი პიროვნება. სიმართლე რომ გითხრათ, მის გარეშე, მწერალთა ანუ გულთა კავშირი ვერც კი წარმომიდგენია. მადლობელი ვარ უფლის, მასთან ერთად რომ მომინა ამ ორგანიზაციის მოღვაწეობა. მიყვარს, პატივს ვცემ, მეიმედება.

მიყვარს მისი მაღლიანი კალამი, მისი წერილები და თარგმანები.

პატივს ვცემ მის გასაოცარ სამართლიანობას და სულგრძელობას.

მეიმედება მისი ერთგულების.

მზეგრძელობას და დღეგრძელობას ვუსურვებ ზაალ ბოტკოველს და უფალს ვთხოვ, არასოდეს მოაკლოს მაღლი და ძლიერება მის კალამს, დიდხანს, დიდხანს ამუშავოს ქართული სიტყვის სადარაჯოზე. იბედნიეროს სალოცავ მამულთან, ლამაზ ოჯახთან და მწერალთა კავშირთან ერთად.

გაყვალა გონავილი



## ქართული მთელობის უანგარო მსახური

სრულიად ყმაწვილმა დაიწყო ზაალ ბოტკოველმა საქართველოს მწერალთა კავშირში მუშაობა და დღიდან მოსვლისა, ყურადღება მიიქცია, როგორც უაღრესად ნიჭიერმა, განათლებულმა ადამინმა, საქმის ერთგულმა. გასაკვირი არ იყო, რომ ძალზე დახვენილ გემოვნების პატრონი გამორჩეულ სიყვარულს პოეზიისადმი იჩენდა. მახსოვს, გივი გეგეჭკორს და მე გვითხრა – საგანგებო ალბომი შევიძინე და მინდა იმაში ყველამ თავისი საუკეთესო ლექსი ჩამინეროსო. სიამოვნებით შევასრულეთ ეს სურვილი. ცხადია, იგი ამ თხოვნით მხოლოდ იმათ მიმართავდა, ვისდამიც სასურველად იყო განწყობილი.

რამდენიმე წენის მერე ზაალს ბინაში ხანძარი გაუჩნდა, ბევრი რამე გამოიტუგა. ყველაზე მეტად ნლობით ნაგროვები წიგნებისა და იმ ლექსებიანი ალბომის დაწვას ნანობდა. ხშირად ვიჯექით მწერალთა კავშირის მყუდრო, ნათელ ბიბლიოთეკაში და რაზე აღარ ვსაუბრობდით. ზალიკო გულითადად მეგობრობდა და მეურვეობდა ბიბლიოთეკის უსპეტაკეს თანამშრომლებს, დოდო ჩიკვაიძესა და ლაურა დათიაშვილს. ყველა ჩვენგანისათვის მტკიფნული იყო, რომ ის ბიბლიოთეკა გაუქმდა (გაქრა იშვიათი წიგნები, განადგურდა ლიტერატურულ ჟურნალთა მრავალნიანი კომპლექტები), მწერალთა სასახლე გაუცხოვდა, ძველი იერი დაკარგა. ეს და სხვა ბოროტებანი უხვად ჩაიდინა ნაცების მავნებლურმა ხელისუფლებამ, რომლის სამარცხონო, გულისამრევი ნარჩენები ახლაც ფართხალობენ, რომ კვლავ მართვის სათავეში მოექცნენ და საქართველო ბოლომდე გაანადგურონ.

ზაალ ბოტკოველმა აურაცხელი საშინელებანი, სხვა პატიოსან ქართველ მწერლებთან ერთად, ნებისყოფის უკიდურეს დაძაბვით გადაიტანა და მხნეობა არასოდეს დაუკარგავს. ოთხი წლის წინ გამოსკა საუკეთესოდ შედგენილი და გაფორმებული, რამდენადმე თავისი მოღვაწეობის შემაჯამებელი წიგნი – „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“... მასში ჩართულია მურმან ჩაჩუას და დემიკო ლოლაძის ფოტო სურათები, რაც ჩვენი ახლო წარსულის მიმზიდველ პანორამას ქმნის. მოკლე წინათქმაში რედაქტორი, ჩვენი ცონბილი პოეტი მაყვალა გონაშვილი საესებით სამართლიანად წერს, რომ ამ წიგნის ავტორი, დღიდან მუშაობის დაწყებისა „...მუდამ ლიტერატურული მოვლენების ეპიცენტრში იმყოფებოდა“.

ჩემი უმცროსი მეგობრის თვალსაწინერი საკმაოდ ფართოა და ამჯერად ნაწილობრივ შევეხები წინამდებარე წიგნის ლირსებებს. რაზედაც არ უნდა წერდეს ზაალ ბოტკოველი, იგი ყოველთვის ბუნებრივად ავლენს თავის სანაქებო უნარს – გამოავლინოს ძირითადი, უმთავრესი ნიშანი ნებისმიერი მწერლისა და მის დამსახურებას ხსნებული კუთხით შეხედოს.

მისაბაძი, სამაგალითოა მისი მიდგომა ჭაბუა ამირევგიძისადმი. მწერლის მთელი შემოქმედების ღრმად შესწავლის საფუძველზე გამოიტანა ეჭვმიუტანელი დასკვნა, რომელიც ზოგიერთ სკეპტიკოსს შესაძლოა შიშველ განცხადებად მოეჩვენოს, მაგრამ დრომ უკვე დაამტკიცა ასეთი აზრის ჭეშმარიტება და მომავალი კიდევ უფრო გაამყარებს აქ გამოთქმულ შეხედულებას: „ჭაბუა ამირევგიძმა არა მარტო გაამდიდრა ქართული მწერლისა, არამედ განვითარების ახალ საფუძურზეც აიყვანა“.

ძვირფასი ზაალი მრავალჭირნახულ, იშვიათ პიროვნებას „საქართველოს ბედისწერის მემატიანეს“ უწოდებს და ცალკე გამოყოფს მის ორ რომანს, ნამდვილ შედევრებს, რომელთა მთავარი გმირების გამო პირუთოვნელად აღნიშნავს: „...დათა თუთაშია და გორა მბორგალი ქართველი ხალხის ზნეკეთილობის, მისი სულიერი სიმტკიცის სიმბოლოებად იქცნენ და ასე შემოაბიჯეს XXI საუკუნეში“.

საგულისხმოა ისიც, რომ ზაალ ბოტკოველმა მოკრძალებითა და სიყვარულით აღსავსე სიტყვები ბიბლიურ ასაკამდე მიღწეულ მწერალს სიცოცხლეშივე გააგონა, როცა არაერთი უგვანი საზიზღარ ჭორებს ავრცელებდა რაინდული სულის გაუტეხელ ადამიანზე, ვინაც ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურის სიამაყეს წარმოადგენს.

ასეთივე სიყვარულითა და თანადგომით არის გამასჭვალული ის ცირიე და ბევრისადამტევი წერილები, ქართული მწერლობის უთვალსაჩინოეს წარმომადგენლებს რომ ეძლვნება და სადაც ყოველი მათგანის უმთავრესი მოგონებებია წარმოჩენილი. ამათგან ნაწილს მაინც დაგასახელებ, რადგან პატარა მოცულობის მასალებში, ჩემს სათქმელს ვერ გაერთიანები. აი, ეს მუდამ მაღლიერებით მოსახსენიებელი, პატივმისაგები სახელებიც; „მოზარე საქართველოისა“ (მოთა ნიშნიანიძე), „ლამაზი ცრემლების მომგვრელი“ (რეზო ინანიშვილი), „მზის შვილი“ (ნოდარ დუმბაძე), „ჭირისუფალი“ (რეზაზ ჯაფარიძე), „ვერ საქართველო ვახსენოთ...“ (არჩილ სულაკაური), „მზიური სულის ანარევლი“ (გურამ ასათიანი), „იყალთოელი ბიჭები“ (ლადო მრელაშვილი), „მთავარი პროფესია – ერისაკაცი“ (ელგუჯა მალრაძე), „ვარ შინაარსი შენი სახელის“ (გივი ძნელაძე), „სამოთხის სული“ (გიორგი ხორგუაშვილი), „უფალთან ახლოს... სიანთლის წრეში“ (გივი გეგეჭკორი), „რაინდი“ (გურამ ფანჯიკიძე), „მის გულში მზე ჩახჩახებდა“ (ზაურ ბოლქვაძე), „განწირული... დიდი სიყვარულისთვის“ (გივი ჭიჭინაძე), „სწროვენ დაუსრულებლოვ“ (ჯგუმსულ დვინჯვილი), „ნათლის ყვავლები“ (გაუადანიძე), „ცთების და ცთების“ (დათო კახაბერი), „საქართველოს ღრუბლების მწყემსი“ (ზურაბ კუხიანიძე), „ყადიმი მალე გამოჩენება“ (თემურ აბულაშვილი), „ჩემი მეგობარი“ (ბადრი ჭოხონელიძე)...

შეუძლებელი იყო, ზაალ ბოტკოველს შესისხლხორცებული, გათავისებული არ ჰქონდა გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა (ასე ეთაყვანება იგი გიორგი ლეონიძესაც) და მის გენიას პატარა, დაფრთიანებული ესსე უძღვნა – „ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი...“ ერთი აბზაცის მოტანაც იკმარებს, რომ ნატიფად წერის





## მადლი ვიგრძნოთ:

„მაღლა აფრიალებულ დროშასავით დაატარებდა თავის სულა – სანთელა. სულ უფრო და უფრო უჭირდა ამ ცოდვილ დედამინაზე მისი შეჩერება. მერე მარტის ერთ ქარიან დღეს, ამაღლდი სულოო, უპრძანა საკუთარ ალტერ ეგოს და... ამაღლდა, მოხილა სიმაღლე ლაუგარდთა, ვარსკვლავთა სიმაღლე, სიმაღლე ზამბახის და სამუდამოდ იქ დაივანა. ქარი კი ტიროდა, კვდებოდა ქარი...“

არც ის გახლავთ შემთხვევითი, რომ ზაალ ბოტკოველმა შესაფერი პატივი მიაგო სიცოცხლეში უგულ-ვებელყოფილ და დაუფასებელ დიდად ნიჭირ, მისატიური ხილვებისა და ქრისტიანული მსოფლჭვრეტის მეტად თავისებურ პოეტს ნიკო სამადაშვილს („შეჩ ჩემში უსტვენ ვით საყდრის ჩიტი...“)

სიყვარულით ანთებული ფურცლები უძღვნა ზაალ ბოტკოველმა ნაადრევად დალუპულ ლადო ასათინ-სა და სიჭაბუკეშივე მუხანათურად დახვრეტილ კოტე ხიმშიაშვილს – ქართული მწერლობის დამამშვენე-ბლებს, რომელთაც თავიანთი, ღვთით ბოძებული ნიჭის ბოლომდე გაშლა არ დასცალდათ. სამწუხაროდ, ასეთივე მნიშვნელოვანი ერგოთ – მირზა გელოვანს, ალექსანდრე საჯაიას, გიორგი ძიგვაშვილს... ყველა მათგანს ვერ ჩამოთვლი.

დღევანდელი იუბილარი მუდამ აღფრთოვანებას გამოთქვამდა მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული, სასიქადულო ძმების – თამაზ და ოთარ ჭილაძების უდიდეს ამაგზე, რაც მათ ქართულ მწერლობას დას-დეს.

ზაალს ბევრი აქვს დაწერილი თამაზ წივნივაძის უშედავათო ბრძოლაზე, ვინაც ათეული წლების მან-ძილზე გაბედულად აძჟარავებდა, ძირფესვიანად თხრიდა ქართულ მწერლობასა და დღევანდელ ყოფაში ფეხმოქიდებულ სიმახინჯეებს და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე თავისი მრნამსის ერთგული დარჩა.

ზაალ ბოტკოველმა არც ცოცხალ თანამედროვეებს დააკლო სითბო და ყურადღება; მათგან ნანილს ამ წიგნშიც შეხვდებით (აკაკი ბრეგაძე, თემურ ლანჩჩავა, ვანო ჩხიფაძე, ზაურ კალანდია, თემურ ჩალაპაშვილი, მანანა ჩიტიშვილი, ნინო ქუთათელაძე, ია სულაბერიძე და სხვები).

სრულიად განსაკუთრებულია ზაალ ბოტკოველის მონიშება საქართველოს ეკლესიის შეუდარებელი საჭეთმპურობელის, ერის ჭეშმარიტი მამის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორესადმი, ვინც ჩვენს თავს დატეხილი უამრავი განსაკდელი უძლრტკინველად გადაიტანა (მარტო 2008 წლის აგვისტოს მუხა-ნათურად მოკლული, უაზროდ დახოცილი ბიჭების დატირება და ჭირისუფლობის გახსენებაც საკმარისია). პატრიარქზე დაწერილი სამადლობელი ასე მთავრდება:

„ვაგლახ, რომ გვერდით არც დავით აღმაშენებელი ჰყავს და არც გიორგი ბრწყინვალე.

მით უფრო დიდი პასუხისმგებლობა აკისრია, მით უფრო მძიმე ტვირთი აწევს მხრებზე.

ლმერთმა უცოცხლოს საქართველოს მისი თავი“.

ზაალ ბოტკოველმა, სამაგალითოდ აღზრდილმა ოჯახიშვილმა, ყველასა და ყველაფრის ფასი იცის. საიუბილეო თარიღების დროს თუ ისედაც, მასავით ცოტა ვინმე თუ მოფერებია ქართველ მწერლებს. სულეთის გზაზე დამდგრებსაც, მრავალს გააყოლა ცრემლიანი სიტყვა, სანთელ-საკმეველი არ მოაკლო.

ამავე დროს სისაძაგლესაც არავის პატიობს, სიავის ჩამდენს, მუდამ საკადრისად პასუხობს. ერთმა ზნედაცემულმა პიროვნებამ (არ მინდა მისი გვარ-სახელი ვახსენო), დიდ პოეტობაზე გაქაჩულმა და მომხ-ვეჭელობაში შემჩნეულმა, ბოროტი ცილი დასწამა ზაალ ბოტკოველს და მისი აბურად აგდება სცადა, მა-გრამ მან შეურაცხმყოფელს ისეთი ალიყური აჭამა, წირვა გამოუყვანა, თუმცა ზნეობის ფარგლებს არსად გადასცდენია, კულტურულად გააძრო ტყავი, მხოლოდ ის უწოდა, რისიც ლირსია. ამის დასტურად შეგი-ძლიათ წაიკითხოთ „მაქცია, მეტასხელად ლუსი“. თვალნათლივ იხატება უტყუარ ფაქტებზე დამყარებული ამაზრზენი პორტრეტი პირნავარდნილი გაიძვერას.

აქ აღარაფერს ვამბობ მის უზადო თარგმანებზე, ასევე შესაშური ოსტატობით დაწერილ სხვა პოლემი-იურ წერილებზე, სადაც ზაალ ბოტკოველი უნიჭი, არამეტიხ პოლიტიკურების შემოტევებისგან, სამგალი-თო შემართებით იცავს, აურაცხელი მტრების მიერ დაჯივებნილი საქართველოს ინტერესებს. ცალკე თემაა მისი საუცხოო პუბლიცისტიკა, რომელსაც ასევე ვერ განვიხილავ მცირე მისალოც წერილში.

ცხოვრებამ არაერთი უმძიმესი ტრაგედი მარგუნა და მუდამ ვგრძნობდი ზაალ ბოტკოველის, მისი ულამაზესი ოჯახის თანადგომას. ზაალი შემომივლის ხოლმე, მინდა ცოტათი გაგახალისო, ამ ჩაბუთულ ქალაქს რამდენიმე საათით გაგამოროო; თავის ახლო მეგობრებთან – დიდად ნიჭირ ფოტოხელოვანთან და მხატვართან, ქართული ფეხბურთის დაუღალავ ამაგდართან დემიკო ლოლაძესთან და შესანიშნავ, ყვე-ლა სიკეთით შემკულ ვაჟეაცთან, თამაზ ყიფიანთან ერთად წავუყვანივარ მცხეთაში, სადაც ჩვენებურად მოგვილენია. ზაფხულობით იქ გატარებულ რამდენიმე, ძალზე სასიამოვნო საღამოს ხშირად ვიგონებ და სწორებ ამანერინა პატარა ლექსი, რაც ვფიქრობ, ოდნავ მაინც შემატებს ფერს სახელოვნად გავლი-ლი მისი სამოცდაათწლიანი ცხოვრების გზას:



## 308სენაპ ერთად ყოფნას

### ზაალ ბოტკოველს

გამიჭირდება მოთმენა მეტის,  
სათქმელის ვეღარ ვამბობ ნაწევარს,  
შემოგარენი მოგველის მცხეთის,  
მომინდა შენთან ჭიქის აწევა.

ბევრი ლრიჭინი არ უნდა ამას,  
არ გვაწყენს და არც გაგვემტყუნება,  
შევეხმიანოთ დემიკოს, თამაზს,  
გამოვიყეთოთ, კვლავაც, გუნება.

ნიავი ცაცხვის სურნელს გვაკმევდა,  
მზე იჩქაროდა დასამალავად...  
კვლავ დაგსხდეთ, ოთხი, ლია სარკმელთან,  
გაეხედოთ სვეტიცხოვლის გალავანს.

5



### ეპზარ პვიტაიშვილ

## გული მისცეს გულისათვის

ზაალ ბოტკოველი – ეს სახელი და გვარი, 50 წელია, ქართულმა მწერლობამ სითბოთი და სიყვარულით მიიტანა გულთან, – 50 წელია, რაც ქართული მწერლობის დუღილში ტრიალებს და თავის მარილიან, მადლიან და, როცა საჭიროა, პილპილმოყრილ, მახვილიან, საჭირისუფლო სიტყვას არ იშურებს: ერის, ქვეყნის, ხალხის ტკივილსა, თუ, სიხარულზე, ამ მინის სანთლად ანთებულ სახელებზე, ასეთია საყოველთაო აზრი...

დიახ, ჩემო ძმაო და მეგობარო. ამიტომ, შენი სეფე სიტყვა მალამოც არის და სატევარიც.

შენი ღვთიური კალმით, შარავანდედით შემოსე და მადლიანი გვირგვინი დაადგი ისეთ სანთელ-სახელებს, როგორებიც იყვნენ სასიქადულო: სოლომონ დოდაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, კოტე მაცხშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ჭაბუა ამირჯიბი, შოთა ნიშნიანიძე, ნოდარ დუმბაძე, რეზო ინანიშვილი, გურამ ფანჯიკიძე, არჩილ სულაკაური, ელგუჯა მაღრაძე, ჯანსულ ლვინჯილია, ოთარ და თამაზ ჭილაძეები, ლადო ასათიანი, გვიო ჭიჭინძე, ლადო მრელაშვილი, გურამ ასათიანი, ზაურ ბოლქვაძე, კოტე სიმშიაშვილი, ნოდარ გურეშვიძე, დავით მჭედლური, ზეზვა მედულაშვილი და ბევრი სხვა, – გულმხურვალე შემოქმედი და მამულიშვილი...

შენ მადლიანი სიტყვა შეაწიე, აგრეთვე: მაყვალა გონაშვილს, თემიურაზ ლანჩავას, ტარიელ ჭანტურისას, თემურ ჩალაბაშვილს, თემურ აბულაშვილს, მანანა ჩიტიშვილს, ია სულაბერიძეს, სხვებსა და სხვებს...

ძვირფასო ძმაო, ზაალ, როცა საჭირო იყო, არც გესლიან ისარს იშურებდი, – ამის ნათელი მაგალითია „მაქცია, მეტსახელად – ლუსი“, „შემზარავი ცილისწამება“ და სხვა, რითაც მთელი არსით გააშიშვლე ადრესატები და გააცამტვერე...

ასევე, უაღრესად, აქტუალური, პრინციპული და საინტერესოა შენი პუბლიცისტიკაც, რაც, ეგზომ, სხივმოსილია – პატრიოტული სულისკვეთებაცა და პროფესიონალიზმიც.

ეს სიტყვები: „საქართველოს მეციხოვნე“ ეგრე რიგად გიყვარს მზიან შემოქმედს და... ასე მგონია, უპირველეს, თვითონ ხარ ლამაზი სულის რაინდიცა და ერის ჭეშმარიტი მეციხოვნეც, ფარნაგაზის, გორგასალის, დავითის, თამარის, გიორგი ბრნებინგალეს, ერეკლე მეორის, დედაქართულის, ქართველობისა და სულის სიდიადის მეციხოვნე... 70 წელია მამულსა და მამულიშვილობას, ჭეშმარიტებას – ეფერები, ელოლავები, ესანთლები; დღეგრძელი და მზეგრძელი იყვე შენი მარადიული დევზითი: „გული მისცეს გულისათვის“. შენთვის, ეს, 70 წელი, მხოლოდ წელთა ათვლა კი არა, 70 გამარჯვებაა... კვლავ, მრავალ, მრავალ, მრავალ წელს, მუხიგულავ, წრფელო, ალალო, მართალო, ჯიგრიანო, – შე, მართლა, კახელო!..

ვარნა რაინა  
მწერალთა ასოციაცია  
„ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარე

ოქტომბერი, №3, 2020



## ერთი ღირსეულთაგანი

ადრეული სიყმანვილის წლებში გავიცანით ერთმანეთი. მაშინაც ის ზალიკო იყო, ის ზაალ ბოტკოველი, რაც დღეს არის – მეგობრული, ზრდილი, მისანდო და რაც ყველაზე ნიშანდობლივია, – საქმიანი. მასზე უბრალოდ „საქმიანსაც“ ვერასძროს იტყვი. ხომ არსებობს ცნობილი ფრანგული ფილმი „ადამიანი ორკესტრი“, ზალიკო კი ჩვენთვის, და პირადად ჩემთვისაც, არის „ადამიანი საქართველოს მწერალთა კავშირი“, მისი ნამდვილი და ერთგული მემატიანე, მის აწმყოსა და წარსულში ყველაზე ღრმად ჩახედული და გათვითცნობიერებული. „ზალიკოს კითხეთ“, „ზალიკო გეტყვით“, „ზალიკოს ეცოდინება“ – ასე მესმოდა გამუდმებით სხვადასხვა დროს, მთელი ამ წლების მანძილზე, ჩვენი მწერალთა კავშირის ნებისმიერი თანამშრომლისა, თუ ხელმძღვანელი პარისგან. და მართლაც, ზაალ ბოტკოველმა ყველაფერი იცოდა, ყველაფერზე ჰქონდა კომპეტენტური და ამომწურავი პასუხი, არაფერს დაიზარებდა, გორჩევდა, დაგაკვალიანებდა, გაგყებოდა კიდეც, სადაც საჭირო იყო და რომ იტყვიან, „ზედაც გადმოგვცებოდა“ ყოვლად უანგაროდ და დაუყვედრებლად. ასე იყო, ასე არის და მჯერა, კიდევ დიდხანს იქნება ასე. მიხარია, რომ ასე იქნება, რადგან რასაც მისი ხელი და გამჭრიახი გონება შეეხება, უსათუოდ გაკეთდება, თანაც, გაკეთდება უზადოდ, გულით და უსაყვედუროდ. ამგვარი პასუხისმგებლობა, ასეთი დამოკიდებულება და პატივისცემა ქართული მწერლობის ნებისმიერი თაობის ნებისმიერი წევრისადმი, ასეთი თანადგომა მოყვასისა ჭირსა და ლხინში და ამგვარი თანალმობა, მხოლოდ ღირსეულთ სჩევერიათ და ზაალ ბოტკოველი სწორედც ერთი მათგანია. ქართველ მწერალთა ყოველი თაობა კარგად გრძნობდა და აფასებდა ამას, ყველასთვის მისანდო და შენაური გახლდათ და დღესაც ასეა. მდიდრულ პარტამენტებს ან მაღალ შემოსავალს არ შერჩენა ზაალ ბოტკოველი ათეული წლებით საქართველოს მწერალთა კავშირში, სიყვარულს შერჩა და სიყვარულით შერჩა. ეს ყველას კარგად მოეხსენება. დღემდე მისი თანამდებობრივი სტატუსი არც კი ვიცოდი, საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ყოფილა. არ ვიცოდი, რადგან ნებისმიერი მწერალი და, მეც მათ შორის, რაც არ უნდა დაგვჭირვებოდა, ზალიკოს ვაკითხავდით, რადგან ბოლოს ყველა მაინც მასთან გაგვგზავნიდა – „ზალიკომ იცი... ზალიკოს კითხეთო“ და ისიც, ქვენის გადაბრუნებაც რომ დასჭირვებოდა, გულნაკლულსა და უწუგვებოს არავის გამოგვიშვებდა. დღესაც იმნაირვე ზალიკოა, მასში არაფერი შეცვლილა, თუმცა თვით მწერალთა კავშირიცა და მისი ფუნქციებიც მნიშვნელოვნად შეიცვალა. მისი ნიჭის, უნარისა და პასუხისმგებლობის ადამიანს არ გაუჭირდებოდა უკეთესი სამუშაო კაბინეტისა და გაცილებით მაღალხელ-ფასიანი ადგილის მოძიება, მაგრამ მთელი ეს ათეული წლები ზაალ ბოტკოველი მწერლობის თავ-დადებულ მსახურად და თავისი მრნამსისა და სიყვარულის ერთგულად დარჩა. დახმარების, ჭირსა და ლხინში თანაზიარობის უამს მისთვის განსხვავებული თაობები, რანგები და რეგალიები არ არსებობს, ერთნაირად გულ-ნრფელი თანამგრძნობი და გამზიარებელია ყველას ჭირისა, თუ ლხინის, ყურადღებიანი და გულისხმიერი, რომ არ იგულმავინებს არაფერს და გვერდზე არ გაგიდგება. ნებისმიერი საქმიანი ქაღალდი, რაც საქართველოს მწერალთა კავშირში შეიდა მოხმარებისა თუ გარე ორგანიზაციებთან საურთიერთოდ იყო საჭირო, სიხარულის, მწუხარების, მილოცვა-დაჯილდოებების ყველა ტექსტი, მისი ნაკალმარია, მისი სითბოსა და გულითადობის კვალი ატყვაი. მისი ლიტერატურული წერილების კრებულიც ამგვარივე მადლითა და განწყობით, მშენიერი ლიტერატურული გერმოვნებითა და ოსტატის ხელით არის შექმნილი. რამდენი კარგად დავინებული სახელი გაახსენა მკითხველს, რამდენს გადააცალა დროის ბინდი და ლექი, რამდენ თანამედროვეს მოეფერა და ღირსეულად წარმოაჩინა, თუმცა არც პრინციპულობა და პირუთვნელობა მისთვის უცხო. თუმცა იგი აქაც ზომიერია, თავის მოსაზრებას მტკიცე პოზიციებიდან იცავს და არც ლიტერატურული პოლემიკის საზღვრებს სცილდება. ახლახანს ქართული პოეზიის ანთოლოგის თრომიული შეადგინა და გამოსცა ავტორთა თითო ლექსით, უძველესი დროიდან დღემდე. აქაც ბევრი მივიწყებული და დროის მტვერნაყრილი პოეტი გახადა მკითხველისთვის საჩინო. ვფიქრობ, პოეზიის ბევრ მოყვარულს დააინტერესებს ამგვარი კრებული, არაერთი გარდასული ავტორი დაბრუნებს ოდინდელ სახელსა და ბრძოლგანვითარებას. ზალიკო, ჩემი ძვრფას მშაო და მეგობარო, მეც ბევრჯერ გამომიცდია შენი თანადგომა. შენს გამუდმებულ ყურადღებას გაფუხარებივარ და ახლა სავარიოდ გეუბნები მაღლობას ამდენი წლების მეგობრობისა და გულისხმიერების, სითბოსა და მომფერებლობისთვის შენ ყველასთვის ასეთი ხარ, ასეთი იყავი და ასეთივე დარჩები მომავალშიც. გილოცავ ძალზე მნიშვნელოვან თარიღს, თუმცა წლებს მაინც არ გავამხელ! არ გავამხელ იმიტომ თუნდაც, რომ გარებულად ხომ ისეთივე ზალიკო დარჩი, მაგრამ ამ მძიმე წლებში კიდევ უფრო ფასეული – სულის სინრფელე და კეთილშობილება, სიყვარული და უშურველობა შეინარჩუნება და ესაა სწორედ უმთავრესი. ჩვენ ერთმანეთის პატივისცემა არ გვესწავლება, ერთ დროში, ერთ არეალში ვიცხოვრეთ და ვიღაწეთ და იცი, რომ დასავით გახვევი, გეფერები, გლოცავ და გილოცავ! შენს გავლილ გზაზე ეკალ-ბარდსა და ლვარძლს არ უხარისა, კეთილშობილება, სხვისი სიხარულით გახარებისა და სიყვარულის უნარი არასოდეს დაგიკარგავს და კაცური ყოფა და სიცოკხლე მეტი კი არაფერია. მიხარია, რომ ჩემი მეგობარი, ჩვენი მეგობარი, ქროთული მწერლობისა და ჩვენი მამულის ერთი ღირსეული შვილთაგანი ხარ. ასწლეულის ათავება მომელოცას, იხარე, იმრავლე და იძლიერე ამ მზისა და მთვარის ნათელში!

## პიროვნება მზიანი გულით

დიდი პატივისცემით ვულოცავ საიუბილეო თარიღს ზაალ ბოტკოველს. ის 1950 წლის 23 აგვისტოს გახლავთ დაბადებული თბილისში და ამ წელს, 70 წელი უსრულდება. მან 1967 წელს დაამთავრა თბილისის 67-ე საშუალო სკოლა და შემდეგ, 1972 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1974 წლიდან დღემდე მწერალთა კავშირში მუშაობს სხვადასხვა თანამდებობაზე. ამჟამად არის მწერალთა კავშირის საორგანიზაციის უფროსი.

1974 წლიდან იწყება მისი აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობა და ქვეყნდება პირველი შემოქმედებითი ნაშრომები; ამას მოჰყვა ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, თარგმანები და პუბლიცისტური სტატიები. სხვა დანარჩენს რომ თავი დავანებოთ, ოთხი წლის წინ კვლავ გაეცნო ფართო საზოგადოება მის ახალ, საავტორო წიგნს – „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“, სადაც შესანიშნავად მუღავნდება ავტორისეული ნიჭი, ლიტერატურული, ზუსტი შეფასებისა და განსჯის უნარი, მისი ერუდიცია, კარგი გემოვნება და ამავდროულად უშურველობა თანამოკალმეთა მიმართ. მის სათნო ბუნებას ერთვის მებრძოლი პიროვნებისთვის დამახასიათებელი პრინციპულობაც. აქ წარმოდგენილ ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებსა და პუბლიცისტურ სტატიებში ქართული ლიტერატურული თუ საზოგადოებრივი „ამინდი“ ეფექტურად მუღავნდება და წიგნი დამოუკიდებელ სიცოცხლეს იწყებს.

საკუთარი შემოქმედების გარდა, ბატონ ზაალს უამრავი საქმე აკისრია, რაც განათლებისა და გონიერების გარდა, დიდ შრომას და დაკვირვებას მოითხოვს. ბოლო წლებში გამოცემული „ქართული პატრიოტული პოეზიის ანთოლოგიის“ ან „ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ ორტომეულის (ყველა წიგნს არ ჩამოვთვლით) შემდგენელ-რედაქტორის ფუნქციაც კი მიუთითებს მისი პიროვნების მნიშვნელობაზე.

ვინც ზაალ ბოტკოველს ოდნავ მაინც იცნობს, არ შეიძლება არ დამეთანხმოს, რომ მის ლიტერატურულ ალლოს, თხზვის მაღალ კულტურას, თან ერთვის ადამიანური ხიბლი, ქართული სითბო და „მზიანი გული“. სამწუხაროდ, ამ დაძაბულ და რთულ საუკუნეში, იძვიათობად იქცა, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, ყურადღება და კაცის მოკითხვა. ბატონ ზაალს კი ამას ვერავინ დაასწრებს ხოლმე. მისი გულისხმიერება და გულითადობა გამორჩეულად საგრძნობია და თითქოს გამხნევებს კიდეც, გაიმედებს. ამ ძვირფასი თვისებების შექნა ან სწავლა არ ხდება, ეს თანდაყოლილი სიკეთეა. ნუ მოუშალოს ლმერთმა, კიდევ მრავალ წელს, ახლობლებს მისი ლიმილი და ზრუნვა. ლიტერატურული სამყარო წარმოუდგენელია დღეს ზაალ ბოტკოველის მიერ განეული შრომის გარეშე. ის ლირსეული პიროვნებაა, თავისი ქვეყნის და საქმის მოამაგე; ამიტომაც არის დაჯილდოვებული ლირსების ორდენით და მედლით. მინიჭებული აქვს საქართველოს მწერალთა კავშირის, გამომცემლობა „მესხეთის“, ივანე მაჩაბლისა და იაკობ გოგებაშვილის პრემიები. არის „ქართული კულტურის ამაგდარის“ მედლის მფლობელი.

მიღებული აქეს ბუნებისგან უდიდესი „ჯილდოებიც“ – შვილიშვილები, მათ გარეშე რა ფასი ექნებოდა ცხოვრებას?!

\* \* \*

ბატონი ზაალ, იდლეგრძელეთ ოჯახთან ერთად! გენახოთ გაბრწყინებული და გამთლიანებული სამშობლო! თქვენგან კვლავ ველით ლამაზ და გონივრულ წერილებს, პირუთვნელ შეფასებებს, წიგნებს... თქვენი საინტერესო სამყაროს ირადიაციებს... უთუოდ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებთ, როგორც გამორჩეული და დახვენილი აზროვნების მქონე შემოქმედი და როგორც საოცარი პიროვნება. იხარეთ მრავალ წელს და გვახარეთ თქვენი თანადგომით.

## პითევან შეგებია

## ლვანლომსილი მნერალი!

ჩემს მეგობარს, შესანიშნავ მწერალს, – ლიტერატორს, კრიტიკოსს, საზოგადო მოღვაწეს, მწერალთა კავშირის საორგანიზაციის განყოფილების უფროსს ზაალ ბოტკოველს 70 წელი შეუსრულდა!....

ზაალს ახალგაზრდობის წლებიდან ვიცნობ და, შემიძლია თამამად ვთქვა: მართლა ვიცნობ.. ეს არის სიყვარულისთვის, ერთგულებისთვის, სამშობლოს და ოჯახის მსახურებისთვის დაბადებული კაცი და, რაც მთავარია, ქართული მწერლობის მსახურებისთვის დაბადებული კაცი!..

არ მეგულება ვინმე მეორე მწერალი, რომელიც იმდენჯერ მოფერებია თავის კოლეგებს, იმდენი უზრუნველი მათ კეთილდღეობაზე როგორც ბატონ ზაალს.

ამის დასტურია, თუნდაც მისი, ბოლო წლებში გამოცემული ძალიან საინტერესო წიგნი „რაც ერთ-



ელ ცხოვლად სულს დააჩნდების“, რომელშიც არაერთ მწერალზეა (უფროსი თაობის წარმომადგენელი იქნება თუ ახალგაზრდა) გამოქვეყნებული თბილი და საგულისხმო წერილი: ზალი არის ყველა მწერლის საიუბილეო, მნიშვნელოვანი მოვლენის შემფასებელიც და მეისტორიეც, ჩვენგან წასული მწერლებისთვის ბოლო ტკივილიანი სიტყვის გამყოლებელი.

რაც მთავარია, ის არის პროფესიონალი, ნიჭიერი, თავდადებული მწერალი, რომელმაც 70 წელი გა-მოიარა ღირსეულად და ახლა შემოქმედებითი ცხოვრების მოსავალს იმკის, რომელიც „არს ფრიად მნიშ-ვნელოვანი და დასაცასებელი“.

გილოცავ, ძმაო ზაალ, შენს ლამაზ 70 წელს და გისურვებ – ახალ გამარჯვებებს!... ღმერთი გფარა-ვდეთ, შენ, შენს ოჯახას და შენს მონაგარს.

ძმური სიყვარულით  
**პალათერ არაპული**

8



## ზაალ პოტკოველს – თანამედროვე ქართული მთერლობის გემატიანეს!

ჩვენს ძვირფას ზალიკოს თურმე 70 წელი შემოჰპარვია. ნუ გაგიკვირდებათ და მე უფრო მეტის მეგონა, განა ასაკის გამო, არა, მისი შემოქმედებითი ცხოვრების გამო. ჯერ კიდევ რა ხნიდან მესმოდა მისი სახელი და გვარი. მას თავი არასოდეს შეურცხვენია. დაუკინძურია მისი თავგანირული ბრძოლა მწერალთა ოჯახის შეურაცხმყოფელთა წინააღმდეგ. ვის აღარ მოჰყერებია, მოჰყერებია და გამომშვიდობებია თავისი მართა-ლი კალმის ნაჟურით. მე მას თანამედროვე ქართული მწერლობის მემატიანეს ვეძახი.

სიყვარული და პატივისცემა ჩემს ძვირფას ძმას, იყალთოელ მარად ჭაბუქს – 70 წლის ზაალ ბოტკოვ-ელს. დიდხანს სიცოცხლეს, სიტყვისა და კალმის სინედლეს ვუსურვებ ჩემს ერთგულ მეგობარს.

**თემურ ჩალაპაშვილი**

## სიყვარულით ზაალ პოტკოველს

გულრწფელი სიყვარულით, პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით მივესალმები ზაალ ბოტკოვ-ელს, ვულოცავ საიუბილეო თარიღს, ასე ღირსეულად განვლილი წლების მადლით ეცხოვრის და ელვანოს კიდევ რამოდენიმე ათეულ წელიწადს მისთვის და ყველა ქართველისათვის სულზე უტკბესი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ზაალ ბოტკოველი იმ უნიჭიერეს მწერალთა შორისაა, რომელთაც უფალმა შემოქმედებით ნიჭიან ერთად დიდი ადამიანობა, ღირსება, სიკეთის ქმნის ხელოვნება და უშურველობა რომ დაანათლა. მისი წიგნი „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“ მაგიდაზე მიდევს, თაროზე დასადებად არ მემეტება, კვირაში ერთხელ მანც გულდასმით გადავხედავ და სულს ვიმშვენიერებ. ლამაზი წერა იცის, ლექსისაც და პროზისაც. განსჯის, შეფასების საიცარი უნარი აქვს, პირდაპირიც არის და შეუვალიც.

ჩინ-მედლებს დახარბებულ ერთ მის მეგობარ პოეტს არ აპატია 2011 წლის საშინელი 26 მაისის შემდეგ 27-ში პარადზე რომ მივიდა და იმ „ბართლომეს ღამის“ მთავარ შემოქმედს, მთავარ ჯალათს მკერდი მიუშვირა ჟეტონის მისაბენევად.

არა მგონია ქვეყანაში თუნდ ერთი ადამიანი მოიქებნოს ზაალ ბოტკოველზე აუგი წამოცდეს. ვამაყობ, მის მრავალრიცხოვან მეგობართა შორის მეც რომ ვარ. ვწუხვარ, პანდემიის გამო, მის საყვარელ ბათუმში, აჭარის მწერალთა სახლში საიუბილეო საღამოს რომ ვერ ვუმართავთ.

მადლობა უფალს, მადლობა მის მმობლებს ასეთი რაინდი შვილის გაზრდისთვის.

დღეგრძელი იყოს ზაალ ბოტკოველი.

ბედნიერება, ჯანმრთელობა, ხვავი და ბარაქა მას და მის ოჯახს.

ისევ და ისევ ძმური სიყვარულით, პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით მისი

**დავით თემორაძე**

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი  
კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე



## მთერალთა კავშირის გემატიანი

შენც შემოგდნობია შეიძი ათეული. ეს წლები მსუბუქად, ჰარი-ჰარალით არ გიტარებია, ობლის ხვედრი, ბედისნერამ რომ გარგუნა, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ასაზრდოვა შენი თითოეული ნაბიჯი ცხოვრებაში, შემოქმედი მამის ნაადრევი გარდაცვალების შემდეგ შენს თვალებში ჩასახლებულმა სევდამ, ადრეულ ასაკშივე მოგამზადა უკაცოდ დარჩენილი ოჯახის გასაძლოლად.

ასეთ მძიმე, ტკიფილიან სამჭედლოში გამოიკვერა შენი სული და როდესაც მწერალთა კავშირის სამსახურში სრულიად ყმაწვილი ჩადექი, შენი მოვალეობისადმი გაძლილის უნარით, ერთბაშად მოიპოვე ყველას ნდობა და სიყვარული.

ათწლეულების მანძილზე თითქმის არ გასულა მწერალთა კავშირიდან არც ერთი საქმიანი ფურცელი, შენი „ხელი“ რომ არ გამოევლო.

თარგმნიდა, აქვეყნებდი მწერალთა კავშირში მიმდინარე ლიტერატურული პროცესების ამსახველ საგა-აზეთო ინფორმაციებს, საიუბილეო მილოცვებს, მერე და მერე ლიტერატურულ წერილებშიც მოსინჯე კალამი და, როგორც შეგფერის ჩვეული პასუხისმგებლობით გამოაჩინე შენი ალლო, გმოვნება, ნიჭი და შესაძლებლობა... როცა საჭირო გახდა არც ზეპირ თუ წერილობით პაექრობებში დაგიხევია უკან და შენი მართალი სიტყვა გითქვამს – ალბათ, რომ შეიკრიბოს, ვინ მოთვლის რამდენ ტომს მოიცავს შენი დაუღალავი კალმის ნაყოფა...“

ჩემი სიტყვა არ გახდავს სუფრის ემოციით თაგბრუდახვეული სადლეგრძელო, ხვალ რომ აღარ მებ-სომება – სამოცდათანი წლებიდან მოყოლებული მხარი მხარზე გვაქვს მიყრდნობილი და ეგრე მოვდივართ.

ამიტომ, ვიცი რას ვამპობ, რატომ ვამპობ და ვის ეკუთვნის ჩემი გულწრფელი მილოცვა.

ასაკს თავისი პრობლემები მოაქვს, სასიხარულოს თითქოს ბერეს არაფერს გვიტოვებს, გარდა ერთისა – ჩაფიქრების უამს, უკან გახდევის, განვლილი ცხოვრებისათვის თვალის გასწორების არ უნდა შეგვრცხვეს!

შენ ერთი ასეთი კაცთაგანი ხარ!

„ხე თავისი ნაყოფით შეიცნობა“.

იმედია, მაჩაბლის ქუჩაზე, შენი ერთგული ხელჩანთით, მწერალთა კავშირის ათწლეულების ბევრის მხილველ მემატიანეს, კიდევ ბევრჯერ გიხილავთ.

„არაფერია დაფარული, რომელიც არ გაცხადდება და საიდუმლო რომელიც არ შეიტყობა“ – ბრძანებს უფალი.

მწერალთა კავშირის მართალი ბიოგრაფია დამწერს ელოდება.

იმედს ვიტოვებ, რომ ბევრი რამ საინტერესო, რაც მაჩაბლის ცამეტს ახსოვს, მიზეზთა და მიზეზთა გამო აქამდე „დაფარული“, სწორედ შენი კალმით „გაცხადდება!“

## ვანო ჩიხეპავა

### ზე მშვიდ და კეთილ იუპილარს,

### გატონ ზაალ პოტკოველს

ჩემში, ამ ბოლო ათეულ წლებში: ქართველთა ღვთივეურთხეული ურთიერთობა ძალიან გაცივდა. ამ ცეცხლოვან ერს რატომ მიუნავლდა სიცოცხლის ამმალლებელი მუგუზალი? დადგა საშინელ-საცოდავი დრო, მხოლოდ პირადი დიდების და გამდიდრების ბიუსტებს დგამენ, მაგრამ საბედნიეროდ შემოგვრჩა მრავალნი თუ არა: – მათგან ბატონი ზაალ ბოტკოველივით სულისმიერი წმიდანივით მზრუნველი ხასიათ-თვისებების, კეთილ მოსიყვარულე, ნიჭიერი როგორც პროზა-ხელოვნებაში ასევე სიცოცხლე-ცხოვრებაში, რომელსაც ის ეპოქალური სენი არ გაჲკარებია. თვისებით შეგნებული და საამო პატრიოტი, ქრისტიანულ სითბოს რომ აფრქვევს ირგვლივ. როგორი საიმედო მართალ-კანონიერი ხალხის შვილი გვეყოლებიდა პარლამენტში ბატონი ზაალივით რამოდენიმე კაცი რომ ბრძანდებოდეს, უპირველესი საზრუნავი ხომ მათ-თვის ერი, ეკლესია და სამშობლო იქნებოდა ჩვენდა საამაყოდ...

ნეტავ ბატონი ზაალ თქვენისთანისგან და ჩემისთანისგან ბედნიერი იყოს მამული ჩვენი, პირადი სიღარიბის ფონზე, რათა მხოლოდ ერის და საზოგადოების სიმდიდრე-საძლიერება ბედნიერება და არა ვიღაცის...

ბატონი ზაალ სამოცდაათი წელი ეს ის ასაკი გახდავთ რომ იტყვიან – ოო! როგორ დალვინებულა ქვევრისმდიდრე უმაღლესი და დიდებული ტანინით! მე მჯერა თქვენ ბევრ სიკეთეს შექმნით მომავალში და ბედნიერებას მოჰვრით სულიერ-ფსიქოლოგიურად ყოველ ჩვენთაგანს და საკუთარ ოჯახს.

ასოც წლამდე ქრისტესმიერად განევრცე შენს დალონებულ მამულ-ქვეყანაში, წინანდებურად კვლავ



გააღვივე სიცოცხლის მიწიერ-ვარსკვლავეთური, სიკეთე-სიყვარულის მარადიული ცეცხლ-ხანძარი ბატონი ზაალ...

ჩემო კეთილო მეგობარო, გილოცავთ ულამაზეს იუბილეს; თქვენისთანა ადამიანებს მონატრებული.

## რეზო ადამია

### თავმდაპლობით გამორჩეული შემოქმედი

ჩვენო ზაალ, ჩვენო დიდებულო და ერთგულო მეგობარო,

დღიდან ჩვენი გაცნობისა, რომელიც უკვე ორ ათეულ წელზე მეტს ითვლის, ხშირად მიფიქრია და მიკვირს, – იმ ადამიანებს შორის, რომელსაც მე ვიცნობ და ისინი არცთუ ისე ცოტანი არიან, როგორ შეინარჩუნეთ ამ ხნის მანძილზე ასეთი სიდინჯე, თავმდაპლობა, განმონასწორებულობა, ყველასადმი პატივისცემის განწყობა.

თქვენ დიდი ხანია ქართველ მწერალთა ცხოვრებით ცხოვრობთ და მათი საფიქრალი გაგითავისებათ, ყველა კარგად გრძნობს და ხედას, როგორი გულდია, ალალი, მზრუნველი ადამიანი ბრძანდებით და მარადის იმის ცდაში ხართ, მათდამი პატივისცემა გულის სითბოთი გამოხატოთ და დაუმადლებლად მიაგოთ პატივისცემა გარშემო მყოფთ.

უსაზღვროდ თბილია ქართველ შემოქმედთა მიმართ თქვენ მიერ მომზადებული ის ლამაზი წერილები, რომელსაც ერთგული მყითაველები ხშირად ეცნობიან ქართულ სალიტერატურო უურნალ-გაზეთებში, მაგრამ თქვენ, უპირველესად, დიდებული მწერალი, პუბლიცისტი, მენეჯერი და შეუდარებელი მეგობარი ბრძანდებით. ამიტომაც არის, რომ 70 წლის იუბილეს ქართველი მწერლები წრფელი გულით და დიდი სიყვარულით გილოცავნ.

ვინც იღნავ მაინც იცნობს ქართულ მწერლობას, ალბათ, დამეთანხმება, რომ თქვენ ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენთ საქართველოს მწერალთა კავშირში და ყოველთვის ფუტკარივით შერმობთ, რათა ქართულ მწერლობას დაუბრუნდეს ის ლირსება, ავტორიტეტი, დაფასება, პატივისცემა, რომელიც შემოქმედებით კავშირებს შორის ყოველთვის თვალშისცემი და ყველაზე გამორჩეული იყო.

სწორედ ამ დიდი სიყვარულით, პატივისცემით ვუერთდები თქვენს თაყვანისმცემლებს და სამცხე-ჯავახეთის შემოქმედებითი ინტელიგენციის სახელით მოგილოცავთ, ჩვენო ზაალ, ლირსეულ იუბილეს.

ღმერთმა ქვეყნის სამსახურში ყოფნა კიდევ დიდხანს შეგაძლებინოთ, რათა თქვენი ლამაზი შემოქმედებით, კაცურკაცობით, უდრტვენველად გაგენიოთ ის მძიმე ჭაპანი, რაც დიდებულ მწერალს და ქართული მწერლობის მოჭირნახულეს, დაგაკისრა განგებამ.

მიიღეთ ჩვენი გულწრფელი მილოცვა. ღმერთმა ჯანმრთელობა, ტანმრთელობა და შემოქმედებითი წვანე მოგაკლოთ, ზაალ ბატონ!

## ავთანდილ გერიძე

საქართველოს მწერალთა კავშირის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი,  
გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორი

### დიდი გულის კაცი!

წინამდებარე საიუბილეო მისალმებებიდან კარგად იკვეთება მწერლობაზე, სამშობლოზე მზრუნველი, თავადაც ჩინებული მწერლის პორტრეტი და შევეცდები ეს პორტრეტი რამდენიმე ცხოვრებისეული შტრიხით შევავსო.

ამ რამდენიმე წლის წინ ოჯახით გონიოში ვისვენებდი, როდესაც ჩემი მეუღლე მოუღლოდნელად რამდენიმე დღით ბათუმის სავადმყოფოში დააწვინეს. ბათუმში შესანიშნავი მწერლები ცხოვრობენ და საჭიროების შემთხვევაში ყველანაირად დამებრავებოდნენ. მათი ტელეფონის ნომრები თან არ მქონდა და ბატონ ზაალს დავურეკე. მან ეს ამბავი რომ გაიგო ყოველდღიურად მეხმიანებოდა და არათუ სულიერად მამხნევებდა ფინანსური თანადგომისთვისაც მზად იყო – ეს რამდენჯერმე გამიმეორა. ბედად ყველაფერი კარგად დამთავრდა და ბათუმელი კოლეგა-მეგობრების შეწუხება არ დამჭირდა. ბატონი ზაალის ეს თანადგომა კი არასოდეს დამავიწყდება.

ახლა საქმისადმი მის ერთგულებაზეც ვიტყვი. შარშან ისე მოხდა რომ „ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის“ (ზაალი ზედიზედ შვიდი ფესტივალის უცვლელი თავმჯდონარე) დაჯილდოების დღეს



ბატონი ზაალი საავადმყოფოში იწვა და ფესტივალის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე დამ მოიყვანა – მაჯაზე წვეთოვანის შესაერთებელი ეკეთა. ეს ისეთი ფესტივალია არ ელალატებაო, თქვა და თავმჯდომარის ადგილი დაიკავა.

ადამიანის ცხოვრების ხანგრძლივობა დაბადებითვეა განსაზღვრული და ჩვენს სურვილზე არ არის დამოკიდებული, ამიტომ ერთ რამეს გისურვებ, ის წლები, რაც უზენაესმა განგისაზღვრა ჯანმრთელად გეცხოვროს და შემოქმედებითი აღმაფრენა არ დაგეკარგოს. შენი გულის სითბოს წლები რომ ვერ გაან-ელებს ამაში დარწმუნებული ვარ და შენი დიდი გულით ყველას გაგვათბობ და გვანუგეშებ.

## აკაპი დაუშვილი

### ზაალ პოტკოველისადმი მიძღვნილი ლექსეპი

11



#### პერალ ინჯია

#### მეწროე მუწერა

„არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა  
წამებითა ცრუითა“.

ზაალ ბოტკოველს

აერია საზომები  
აკვანს, ერს და რასას,  
ადამის ძე სასოებით  
უფროთხილდება რასაც.

აშკარად თუ ნამალევად  
მართლისა და მრუდის  
საზომების ამ არევას  
ლეშის სუნი უდის.

მოგვიმრავლდა სარეველა –  
ცილისმნამებლები,  
სოფელს ჭანგა არ ელევა,  
თბილისს – მწარე ბლები.

ძალუყურძენა დაიტოტა,  
გაიძულებს ის, რომ  
ღერო ფეხქვეშ დაიდო და  
ერთიანად სრისო.

ღირს კი იმის აღნიშვნა, რომ  
შორსა დგახარ მათგან?  
ძმაო, ესეც არ გიშარონ,  
ისეთი დრო დადგა.

არა და რა მთვარე ნათობს  
ძველი სიჩახჩახით,  
ვინ არის, რომ არ ემართოს  
სინათლე ამ ჭალის?!

არა და კვლავ ინიშნება  
დედამიწა ცაზე.  
სილამაზის მინიშნება  
სხვას რას ძალუძს ასე?!

გამწვრივებულ წეროების  
ნივილს წავებმები.

რას დაგვაკლებს ლეროები  
ცილისმნამებლების.

მეშვიდე ცა ლმერთს მერცხლებმა  
ჩვენთვის სთხოვეს, ზაალ,  
სიწმინდისკენ მეცხრე მცნება  
უმოკლესი გზაა.

2000. 20 მაისი

#### გივი ჭიჭინაძე

\* \* \*

ერთხელაც იქნება ზაალ,  
უეცრად ჩამოჰკრავს ზარი...  
(და ეს არ მოხდება ძალით),  
ნინ კიდევ ეკლიანი გზაა,  
მერე კალთებია მთათა,  
მაღლა ვულკანები სდუმან,  
სადაც გულყინულა ზამთარს  
ცეცხლოვნი გაზაფხულის უმალ  
შეძრავს უჩვეულო ბათქი,  
ყველაფერი აღიგვება მყისვე  
რათა წმინდა ნინოს ადგილს,  
ო, რა უგერგილოდ მისმენ,  
კვლავაც იყვავილოს იამ,  
ბედმა გაგვილიმოს მზისებრ...  
და ნანატრი იბერია  
ქართველთ დაგვიბრუნდეს ისევ.  
ერთხელაც იქნება ზაალ,  
უეცრად ჩამოჰკრავს ზარი...  
ეჭვი? ეჭვი მეც მზარავს,  
ეჭვი არ გინდა, არა.

#### ზევა მეღულავილი

#### ძუნიჭირო ჭანიძაკი

ზალიკო ბოტკოველს  
მეცა მსურდა, ძმაო, შენთვის  
და მიგრძნობდა ტანიც აკი,  
პრემიას რო აგკიდებდა  
ძუნიჭირო ტანიძაკი.

ოლქ, №3, 2020



სიგრძე საკმარისი გქონდა,  
მოგემატა განიც აკი,  
ძმად ხო ისეც გემობოდი,  
გავხდი შენი ფანიც აკი!  
იფქლი არი შენი ფქვილი,  
ვერავინ თქვას: „არი ქატო!“  
ძუნიტიროს ათას ერთი  
მადლობა და „არიგატო!“  
მაღარიჩი შენზე არი,  
სახინკლეში არიქა, ტო!

ამაყად დახვალ საქართველოში  
კაცი ნაღდი და ალალ-მართალი.  
ღმერთმა დალოცოს შენი ოჯახი!  
ყველას ექცევი წრფელად, კახურად,  
კაცს დარბაისელს, სიკეთით საგესას,  
სინდის-ნამუსის ქუდი გახურავს.

12



ԵՐԵՎԱՆԻ ՊԱՇՏՈՒԿԱՑՅՈՒՆ

# የኢትዮጵያውያንድ

სიკეთისტოის, ღირსებისტოის  
ეს ხომ მწერლის გზა არი,  
სიამაყით რომ მიჰყვები,  
სიმართლის გზას – ზალი.

ქრისტეს ჯვარი რომ მიგიძლვის  
ნინ ალდეომის ბზა არი...  
წარმატება გქონდეს, მუდამ, –  
მამულისთვის, – ზაალი.

სიკეთე და თანადგომა  
შენი ფიქრის ზღვა არი,  
სიკეთის სივის სუნთქავ, მუდამ,  
ქედუხრელი – ზაალი.

სიყვარული გულს გინთია  
მზეს ადარებ – ცხრათვალას;  
შენი ღვანწლი, – ღირსეული,  
ნიტები, ვინ დათვალა?!

სამოცდაათ წელს გილოცავთ,  
მრავალ სურვილს დავათვლით,  
იმზეგრძელეთ და იხარეთ, –  
სამჯერ სამოკადაათი.

CP019 ፳፻፲፭

## რაჭილ ზავალ ბოტკოვილს

გშვენის კახური სიდარბაისლე, მუდამ იქცევი დინჯად, კაცურად, თავმდაბლობით და სიკეთით სავსეს სინდის-ნამუსის ქუდი გახურავს. ბილწმა დროებამ ვერ აგიმღვრია სულის სინმინდე და სიანკარე, გაუტანლობა, შური და ლიქი შენს სახელს ახლოს არ მიაკარე. სულყველასათვის საჩინო გახდა შენი (კოვრების სუფთა დაგთარი,

ნათელა გორელაშვილი

## የኢትዮጵያውያንስ

მოკრძალული კაცი,  
ნიჭიერებით სავსე,  
ფრთხილი ნაბიჯით დადის  
მწერლის სახლს ხალისა მატებს,  
მისთვის უცხოა სხვისგან  
დითირამბების ქმევა,  
მეგობრის შესაქებად აქვს  
ღამეების თევა.

პატიოლსნებით სავსე,  
სამშობლოს წვა და დარღი,  
პროზაკულის ხიბლი  
ზაალს აქც ძალზე კარგი.  
მისი კალამი მუდამ  
თანამოკალმეთ აქებს,  
დადის ჩუმი და წყნარი,  
თბილის სიკეთით აკესებს...

କୁଳାଳୀ ପାଇଁ

## የኢትዮጵያውያንስ

ადამიანი უნდა იყოს სიტყვის პატრონი,  
თუ არ ასრულებს დანაპირებს, მიღი, მოსთხოვე-  
ეს ყველას გვესმის, მაგრამ შენ ხარ ჩემი ბატონი,  
არა სჭირდება შეგონება ზაალ ბოტკოვილს.

იცის ზაალმა, კარგად იცის, ცხოვრების არსი,  
იცის რა არის ჭეშმარიტი, რა არის ფარსი,  
ის მწერალია, ოქროპირი ენაწყლიანი,  
დაუზიარელი, დიდებული ათამიანი.

არ ვარგა საქმე უგერგილო, არც ქექვა ნაცრის, არ უნდა გქონდეს ქედმაღალი კაცის იერი. ზაალს იკითხავთ? არის იგი გულისხმიერი, ლირსების კაჯი, სიტყვის კაჯი, კაცური კაჯი.

ვიტყვი ამ კაცის სადლეგრძელოს და მკლავებს გავშელი.  
ამშენებებს ზაალ ბოტკოვიჩი მწერალთა კანიკირს!

...ფარნით ექებდა დიოგენე – სწავლული ბრძენი, კაცს, ადამიანს, ვისაც ეცხო ღვთიური მადლი... და მანც: ზაალ ბოტყვოველი, ბრძენ-კაცი ჩვენი, უნდა იჯოდე, საძირარი რომ არის სანთლით.



# ამონარიდები ზაალ პოტკოველის ნერილებიდან ქართველ მრეკლებზე

## შაბუა ამირაჯიგზე

შეიძლება ითქვას, რომ სულ ახლახან დავემშვი-  
დობეთ XX საუკუნეს.

დიახ, ისტორიის ანალებში გადაინაცვლა  
მრისხანე, უსასატიკესმა, სისხლიანი კატაკლიზმებით  
აღსასესე საუკუნემ, ერთმა დიდებულმა პოეტმა შეღ-  
ამებათა საუკუნე რომ უწოდა.

გაივლის ხანი და როდესაც ჩვენი შორეული  
შთამომავალი შეკითხვით მიმართავს ამ საუკუნის  
საქართველოს, თუ რა შესძინა მან ცივილიზაციულ  
სამყაროს, რითი გაამდიდრა მსოფლიო მწერლობა  
და ხელოვნება, რა სახელები შემატა კაცობრიო-  
ბას, იმ მცირედთა შორის, ვისი სახელებითაც ჭეშ-  
მარიტად შეგვეძლება თავის მოწონება, უეჭველად  
დასახელდება ჭაბუა ამირეჯიბი და მისი შემოქ-  
მედებითი მემკვიდრეობა.

ჭაბუა ამირეჯიბი!

მწერალი და პილიგრიმი, რომელიც საოცრად  
ამართლებს ამირეჯიბთა საგვარეულო გერბზე გა-  
მოსახულ გოლგოთაზე აღმართულ ჯვარს – სიმბო-  
ლოს რომ წარმოადგენს სამშობლოსათვის, სარწმუ-  
ნოებისათვის მოწამებრივი თავგანწირვისა...

## რეზო ინაივანილზე

ეს ის მწერალია, ბატონებო, რომელმაც შეძლო  
მისი ქვეყნის მარადიული არსებობის საიდუმლოს  
შეცნობა და ფორმულად ჩამოყალიბება:

„ქართველები ან ისე ცოცხლობენ, როგორც  
მათ სურთ, ან სულ არ ცოცხლობენ. გაქვავება ურ-  
ჩევნიათ ულამაზოდ ყოფნას“.

მისმა ტანჯულმა და ამაყმა სულმა როგორც კი  
შეამჩნია, რომ საქართველოში ულამაზოდ ყოფნის  
დღეები იწყებოდა, შავბნელი და ბედკრული დღეე-  
ბი, მაშინვე უკეთეს საქართველოში ისურვა ყოფნა  
და განეშორა ბინითა და მზაკვრობით გაუღენთილ  
ამაოებას ამაოთა...

ბატონმა რეზომ ისეთი სწორუპოვარი ჰიმნი  
უძღვნა ქართულ სოფელს, ჩვენი სახელმწიფოსა და  
სახელმწიფოებრიობის ჭეშმარიტ ხერხემალსა და  
ბალავარს, ისეთი გალერეა შექმნა ქართული სულის,  
ქართული გენის ნებისმიერი გამოვლინებისა, რომ  
იმ გალაქტიკაში რეზო ინანიშვილის გალაქტიკა რომ  
ჰქვია, მხოლოდ ფეხაკრეფით და სუნთქვაშეკრულმა  
უნდა შეაბიჯო, რათა შენდაუნებურად რამე არ დაა-  
ზიანო, რამე არ შერყვნა და არ წაბილწო...

13



## შოთა ინაივანილზე

...შოთა ნიშნიანიძე ბიბლიური საუკუნეების  
უდაბნოში მოხეციალე, გადაღლილი, გადაქანცული  
ხალხის შვილი, ხელში კვერთხივით რომ ეჭირა ქარ-  
თული სიტყვა და სადაც კი ამ კვერთს მოიქნევდა,  
იქ ღვთაებრივი ნექტრის სურნელი დატრიალდებო-  
და ხოლმე...

როდის იყო შოთა ნიშნიანიძე ბედნიერი? რო-  
დის და როცა ერთ მისთვის აგრერიგად სასურველ  
კეთილ ჯადოქარს ხვდებოდა, მარტოობა რომ ერ-  
ქვა სახელად. როგორ გაილადებდა ხოლმე მაშინ  
მისი სული გალუმპული ხილვების თქეშით, როგორ  
ამსხვრევდა პირობითობის ბორკილებს და თავის  
ყველაზე სანუკვარ ზმანებებში გლადიატორივით  
ებრძოდა უსამართლობას, ავკაცობას, უზნეობას,  
ებრძოდა და იმარჯვებდა კიდევაც. სწორედ მარ-  
ტოობის უამს სტოვებდა მისი სული სხეულს და  
შორნეულ გალაქტიკებს მიაშურებდა – იქ (ციური  
ბილიკები ეცყრა კვერთხად, ფეხზე ქაოსი ამოეც-  
ვა, წელზე კი ქამრად ელვა ჰქონდა შემორტყმული,  
მიწის სული, ცის ფიქრი ღრუბლად მოებურა და  
თუ ერთი წამით მაინც წარმოიდგენთ ამ სანახაო-  
ბას, მიხდებით, რომ შოთა ნიშნიანიძე სწორედ იმ  
გალაქტიკების მკვიდრი, იმ გალაქტიკების ბინადარი  
გახლდათ.

## ცოდარ დუმპარეზე

თუ თქვენ გსურთ ეზიაროთ ჭეშმარიტ ქარ-  
თულ იუმორს, ცინცხალსა და განუმეორებელ ქარ-  
თულ იუმორს, იყითხეთ ნოდარ დუმბაძე;

თუ გსურთ ნახოთ როგორ იბადება ცრემლი,  
ნაღდი და ყოვლისნამლეავი ცრემლი, იყითხეთ ნო-  
დარ დუმბაძე;

თუ გსურთ მიხვდეთ, თუ როგორ უნდა გიყვარ-  
დეს სიცოცხლე, ეს ღვთიური ჯილდო, გინა ბედ-  
ნიერება, იყითხეთ ნოდარ დუმბაძე;

თუ გსურთ დარწმუნდეთ იმაში, საქართველოს  
მართლაც რომ ანდამატის ძალა აქვს უცხოტომელ-  
თათვის, რომელთაც განგებამ ამ მიწაზე დაბადება  
არგუნა წილად, იყითხეთ ნოდარ დუმბაძე;

იყითხეთ ნოდარ დუმბაძე, მისი ბრწყინვალე  
რომანები („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე  
ვხედავ მზეს“, „მზიანი ღამე“, „ნუ გეშინია, დედა“,  
„თეთრი ბაირალები“, „მარადისობის კანონი“) და  
უბრწყინვალები („ძალი“, „დიდრო“, „სისხლი“, „ჰელადოს“, „ჭინკები“, „ბოშები“, „ხაზ-  
არულა“, „მზე“, „ნუ გააღვიძებ“, „ყანნი“, „ასტყან! ინჩუ ჰამარ...“) და მერწმუნეთ, სხეულში რაღაც  
ისეთი ჩაგელვრებათ, რომ თან გავათბობთ და თან  
სულ სხვა თვალით დაგაკვირვებთ თქვენს გარშემო  
არსებულ სამყაროზე, ბევრ რამეზე ჩაგაფიქრებთ,  
გაგწმენდთ, უფრო უკეთეს გახდით, სიკეთისა და  
მადლის ქმნის წყურვილს აღვიძრავთ, ყველაზე დიდ  
და უტყუარ ჭეშმარიტებთან გაზიარებთ.

ოქტომბერი, №3, 2020



## გივი გეგეტკორჩე

გივი გეგეტკორი, XX საუკუნის დიდი ქართული პოეზიის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამშვენებდა ქართულ სამწერლო ოჯახს და მართლაც რომ ნორმა და ნიმუში გახლდათ იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვორო, როგორ უნდა იღვაპო, როგორი დუღაბით უნდა შეკრა ის წმიდათაშმიდა ცნებები, სახელად სიყვარული, სიკეთე, სათნოება, რწმენა, ერთგულება რომ ჰქეია.

14



ბატონ გივისთვის სამშობლო ხომ მხოლოდ შეჩვეული პეიზაჟი არ იყო, ტყივილიც იყო და სიხარულიც, ურუანტელის მომგვრელი სიხარული, ერთანმინდის სპეტაკ სიოს ელმუნებოდა მისი სული და გული, ნოსტესა და ხოვლეს სანახები იყო მისი შთაგონების უპირველესი წყარო, აქედან დანახული საქართველო ეიმედებოდა და ძალას მატებდა...

მისი შემოქმედება სხვა არა არის რა, თუ არა ყველა კაცში უმანკო ბავშვის გაღვიძების თავგანწირული მცდელობა.

## გურამ ფაჯიიქიძე

გურამ ფაჯიიქიძე ქართველი მწერლი გახლდათ, ათასეუთასწლოვანი მწერლობის ტრადიციებზე, „ვეფხისტყაოსნის“ იდეალებზე აღზრდილი შემოქმედი და გულის ფიცარზე ჰქონდა აღბეჭდილი შეგვნება „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“. სახელს კი მშობელი ქვეყნის, მშობელი სალხის, მშობლიური მწერლობის უებრო, მართლაც რომ რაინდული მსახურებით იხვეჭდა.

გურამის რომანები შორი მოქმედების ბომბებივით სკდებოდა იმდროინდელ საღათას ძილს მიცემულ საქართველოში და აფხიზლებდა ქართველობას. მწერალი ამ ნაწარმოებებით ეპოქის მსაჯულად მოგვევლინა, მყაცრ, დაუნდობელ, მაგრამ სამართლიან მსაჯულად.

## მანანა ჩიტიშვილი

მანანა ჩიტიშვილი მართლაც რომ მზის შვილია, ასე მართლად, ასე მშვენიერად რომ დაბიჯებს პოეზიის საუფლოში და მზით ავსებულ ლაუკარდებში შერევა სურს; მაშინაც კი, როცა ზამთარს უმღერის, მზისკენ რჩება ყელი გაწვდილი, სულიც ქართული მზითა და მთვარითა აქვს სახსე.

გაკრულია მარტობისა და შეჩვენების ჯვარზე და ივსება სისხლის წვეთებით, ცრემლებიც კი გაქვავებია და ფერად კენჭებად ჰყური ამაოების ერთ დაუსრულებელ გზაზე.

... თონის პურივით წატეხილი სიიბო და სალამი ენატრება, ენატრება ერთი ობლად ამოსული სოსანი, ქვეყნის თვალ-მარგალიტს რომ გადაწონის...

კიდევ ის სურს, რომ მისი მშობლიური ქსნის პირას დაბადებული სიმღერა ცაში ვარსკვლავთან აიჭრას და იქ დაივანოს. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პოეტისათვის ქსანი ის წმიდათანმიდა დედამდინარეა, საიდნაც იგი სიკეთესა და სათნოებას ეწაფება, ქსნისა და ცხმორის ციხეების ქვითკირითაა ჩადუღაბებული მისი მშვენიერი პოეზიის ქონგურები. სწორედ ამ ქონგურებიდან შლის ასე მძლავრად და თამამად ფრთხებს იმ ქარის მოსახელთებლად, ცაში რომ ღრუბლის მოქათქათე აფრა გაშალა...

საქართველო მისთვის ობლის ერთი ცრემლია მაცხოვრის თბილ ხელისგულზე ჩამოღვენთილი და მის ნაბილნვას, მის იავარქმნას არავის აპატიებს...

## გივი გეგეტკორჩე

სულმნათ შიო მღვიმელს უნატიფესი მაყვალა მრევლიშვილის შემდეგ არ ჰყოლია ისეთი სულიერი მემკვიდრე, როგორიც გივი ჭიჭინაძე იყო, ქართველი ბავშვების უფაქიზესი სულების დიდი მესაიდუმლება...

მისი შემოქმედება წყაროსთვალივით კამკამებს XX საუკუნის ქართული საბავშვო პოეზიის ცისკიდურზე და ყველას კიდევ ერთხელ შეგვახსენებს საყოველთაოდ ცწობილ გამონათქვამს, რომ ბავშვებისათვის ისე უნდა ვწეროთ, როგორც დიდებისათვის, ოღონდ უფრო უკეთესად.

გივი ჭიჭინაძე შეჰქმნა საკუთარი ზღაპრული სამყარო, რომელიც დაასახლა ისეთი ბინატრებით, სამუდამო მეგობრებად რომ ექცნენ ქართველ ბავშვებს და ცხოვრება გაუხალისეს, მათი პირველი ნაბიჯები „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტში“ უფრო ხალისიანი და ხალასი გახადეს.

## ჯანეულ ღვინჯილიაზე

თავისი არცთუ ისე ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში ჯანსუდ ღვინჯილიას, ჭეშმარიტი მამულიშვილის, ცხოვრების უმთავრეს მიზანს, მისი არასებობის უმთავრეს გამართლებას იმ წმიდათანმიდა იდეალების ერთგული და მუხლისაუხერელი მსახურება წარმოადგენდა, რომლებიც საქართველოს გადარჩენის ერთადერთ გრანტად ესახებოდა... ამ იდეალებისთვის არასოდეს უღალატია, არასოდეს გადაუხვევია ერთხელ არჩეული გზიდან და ამის უმშვენიერეს დასტურს წარმოადგენს მისი მრავალმხრივი, მრავალნახნაგოვანი შემოქმედება, რომლის უმთავრეს დანიშნულებად ქართველი ერის გამოფხიზლება, მისი ერთ სულად და ერთ ხორცად შეკვრა, ეროვნული ბაირალების ქვეშ გაერთიანება მიაჩნდა...



გურამ ასათიანი რენესანსული აზროვნების შემოქმედი იყო. ჯერ ერთი ის, რომ იგი არათუ მხოლოდ ხალხური სტიქიის წილის ყველა მღვიმესა და ხევხუც იცნობდა სილრმისეულად, დაგემოვნებით, არამედ ათასხუთასწლოვანი ქართული მწერლობის მხრებზე იდგა ამ ცნების საუკეთესო გაგებით და იქიდან, იმ თვალუწვდენებით სიმაღლიდან ჭვრეტდა მისთვის აგრძელებას და საუსავი საუფლოს შუქ-ჩრდილებს. მერე კიდევ ის, რომ აზროვნების საკუთარი ლალი, ძალაუტანელი მდინარებით ბევრ დილემას, საფიქრალს, საკამათოს სთავაზობდა თანამოკალმეებს და თვალსაწინერის გაფართოების, ახალი პორიზონტების დაპყრობისაკენ მოუწოდებდა.

ბობოქარი, დაუცხრომელი სულის პატრონი გახლდათ. ძიებებით, ეჭვებით, საოცარი მიგნებებით, წარმატებებით, ადამიანის სულის იდუმალ ხვეულებში წვდომით გამოწვეული შემოქმედებითი სიხარულებით სავსე ცხოვრებით იცხოვრა და ქართული სულის, ქართული სულიერების ერთ უმშვერიერეს გამოვლინებად იქცა.

## ლადო ასათიანე

### ძლიერი!

ეს სიტყვა უყვარდა, ამ სიტყვას ეთაყვანებოდა. თავის ფიქრებსა და ხილვებში ელაციცებოდა იმპერიის მარწუხებში მგმინავი სამშობლოს ძლიერებას. საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს, ერთს ვაჟუაცურად დასჭექებდა და თავსაც იმედებდა და თანამოძმეთაც ამ იმედით, უკეთესი, გაბრწყინებული საქართველოს იმედით ჭირთათმენას უადვილებდა... მისი პოეზია ქართულ ფესვებზეა ამოზრდილი, მისი ლექსის მდინარება ვულკანური კრატერიდან ამოხეთეილ ლავას წააგავს, რომლისთვისაც არ არსებობს არანაირი ჯებირი, არანაირი წინაღობა, ისე ლალად და დაუბრკოლებლად აღწევს ქართველი კაცის გულამდე და იქ თავისუფლების, სილალის, უშუალობის უმშვერიერეს ყვავილად ამოზრდება.

იგი იმ ლალი და ქედუხრელი ხალხის შვილია, ვისაც ვერასოდეს აბერებს ცხოვრება, ვერასოდეს ვერ უმსხვრევს ერთი შეხედვით ნაზსა და სათუთ ხერხემალს.

უკვე ათწლეულებია, რაც ლადო ასათიანი მკითხველს აოცებს და აჯადოებს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ძლიერი განცდის შინაგანი სიღრმით, თვალისთვის თითქმის შეუმჩნეველი ფარული სევდით, რომელიც საოცარ მომზიბელებისა და სიფაქიზე მატებს მის ვაჟუაცურსა და ომახიან პოეზიას.

### ამაყი იყო!

ან კი რატომ არ უნდა ყოფილიყო ამაყი? იგი ხომ იმ ჯიშისა და მოდგმისა გახლდათ, თავისი სიტყვა რომ ეთქვა ჯერ კიდევ უხსოვარ დროში, იმ მოდგმისა, დარუბანდის კარი რომ ჩამოეხსნა თამაშ-თამაშით, სვეტიცხოველი რომ აღეშენებინა, დიდგორში სასანაულები, ძლევაი საკვირველი მოეხდინა და ისე გაეტანა ლელო.

დიახ, ამაყი იყო, ზნეეთილი, უღალატო და უკომპრომისო, ნორმა და ნიმუში ვაჟუაცობისა, ქედუხრელობისა. მასთან სიახლოვე კათარზისის დარ შედეგს იძლეოდა. ამას ყველა აღიარებდა, დიდი თუ პატარა, მასთან მეგობრობა, მისი ყურადღების დამსახურება უკვე აღიარებას ნიშნავდა, კაცობის ემბაზში განპავას და გაკეთილშობილებას.

მთელი ცხოვრება სიცოცხლისა და თავისუფლების კულტის დამკვიდრებას შეალია და თანაცროდის – საბჭოთა ტოტალიტარიზმის მძვინვარების ეპოქაში.

მისი შემოქმედების უმთავრეს პრობლემას სულის გადარჩენის პრობლემა წარმოადგენდა. თავადაც ზნეობისა და კაცობის გაკეთილებას უტარებდა მოყვასთ.

## მაყვალა გონავილება

მაყვალა გონაშვილის ლექსების პირველ კრებულს „ყაყაჩოების კოცნა“ ჰქვია და შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ მისტიურმა, ფერწიულმა კოცნამ ისეთი კოცონი დაანთო, რომ მისი მხურვალება და სინატიფე დღემდე ლაიტმოტივად დაჰყვება პოეტის შემოქმედებას. არსაგამრიგემ თითქოს სხივით ნაქარგი ქალამნები ჩააცვა ფეხზე, გიმრის თმაზე ჯილა დაადგა და ისე გაუშვა პოეზიის უღრანებში სახეტიალოდ და თან მიანიშნა, რომ სახიფათო, ფათერაკებითა და ტკივილებით სავსე გზებით ევლო, თუ უნდოდა, მისი შემოქმედება ნაღდი პოეზიის ტვიფარით ყოფილიყო აღბეჭდილი. თუ რამ ჩაიბეჭდა სულში ამ მშვენიერმა პოეტმა, რომლის შემოქმედების გარეშეც დღეს უკვე წარმოუდგენელია XX-XXI საუკუნეების გზაგასაყარის ქართული პოეზია, ის ჩაიბეჭდა, რომ მისთვის უპირველესი საფიცარი და საესავი მიწის ის ბელტია, სამშობლო რომ ჰქვია სახელად, ოცნებებით უხედნავ ქარებს ადევნებული ქვეყანა, კაცობრიობის მადლია და მირონს რომ წარმოადგენს — და კიდევ დედამინის მარილს, რომლის გარეშე პერი და ელვარება მოაკლდებოდა ჩვენს ცისფერ, ულამაზეს პლანეტას.

განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა მარტიან, მისტიკური დამოკიდებულება.

თითქოს მთელი არსებით გრძნობდა, რომ სწორედ ამ თვეში უნდა დატრიალებულიყო XX საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მისტერია.... გრძნობდა და ემზადებოდა კიდეც საამისოდ, ემზადებოდა მთელი ცხოვრების განმავლობაში სფინქსის გამოცანად ქცეული ეს მარტოხელი და მარტოსული ტრუბადური მაცხოვარის სხეულივით დაჯიჯვნილი ქვეყნისა.

მაინც ვინ იყო გალაკტიონი? ქაოსებში შემოჭენებული აპოკალიფისის მძაფრი მხედარი თუ ქალაქში, მტვერში უდვოთოდ წაქცეული უმანკო, უმნეობავშვი? იქნებ ორივე ერთად!?

მაღლა აფრიალებული დროშასავით დაატარებდა თავის სულს – სანთელს. სულ უფრო და უფრო უჭირდა ამ ცოდვილ დედამინაზე მისი შეჩერება. მერე მარტის ერთ ქარიან დღეს, ამაღლდი სულიო, უბრძანა საკუთარ ალტერ ეგოს და... ამაღლდა, მოიხილა სიმაღლე ლაუგარდთა, ვარსკვლავთა სიმაღლე, სიმაღლე ზამბახის და სამუდამოდ იქ დაივანა. ქარი კი ტიროდა, კვდებოდა ქარი....

დღეს მისი ლექსი, ნატიფი და ჰაეროვანი, ანდრომედას ნისლეულივით იდუმალი, გალაქტიკიდან გვიგზავნის საოცარ იმპულსებს, საოცარ შეტყობინებას დიდი პოეტის მარადიული უკვდავებისა...

### ოთარ ჭილაძე

ოთარ ჭილაძის შემოქმედება ღრმა დაფიქრებაა ქვეყნის წარსულზე, მის აწმყოსა თუ მომავალზე, რომელზეც იგი ასეთი სევდანარევი სიყვარულით წერდა. ოთარ ჭილაძე მთელი არსებით გრძნობდა, რომ ღვთისმშობლის წილხვდომილი მისი სათაყვანებელი სამშობლო საოცრად ჰგავდა წმიდა მარიამის ერთადერთ ძეს – იგის ქრისტეს, მასავით მარადიულად ჯვარზე იყო გაკრული. ოთარ ჭილაძე ქეშმარიტი ჭირისუფლის დარად სალბუნად ედებოდა მის სისხლმდინარე ჭრილობებს და თავის სწორუპვარ შემოქმედებაში სწორედ იმ გზებსა და საშუალებებს ეძებდა, რომლებიც ისტორიის ანალებში ჩაკარგვისაგან გადაარჩენდა მის სათაყვანებელ მამულს.

ჩვენ სამახსოვროდ თავისი უმშვენიერესი შემოქმედებითი მექვიდრეობა დაგვიტოვა, დაგვიტოვა, როგორც განძი და, უპირველეს ყოვლისა, როგორც გაფრთხილება, რომ არავის არ დავანებოთ საჯიჯვნად საქართველო – ამაყი, ქედუხრელი, ერთან და ბერთან მართალი ქართველების საუფლო.

ასეთი კაცები ცოტალა შემორჩა საქართველოს. კაცები, რომლებსაც ქუჩაში მოკლული ბებერი ძალის დატირება შეუძლიათ, რადგანაც ეს საზარელი აქტი მათვის კაცთა ერთგულების დასჯას წააგავს... კაცები, რომლებიც გაზაფხულივით ისებიან შემოდგომის მშვენიერი სევდით... კაცები, თოლიებს რომ ჰევანან, დაღლილსა და დანალვლიანებულ თოლიებს, ზღვის უკიდეგანობაში გამომწყვდეულთ... კაცები, რომლებსაც პაპის დაკორილი და ნაჯაფარი ხელისგული საქართველოს რუკას აგონებთ, დაჩქინილსა და დამცრობილ რუკას...

თავადაც სამშობლოს წააგავს. თითოეული ღარი, თითოეული ნაოჭი მის სახეზე იმ უბედულებისა და უსამართლობის შედეგია, რაც ჩვენს თავზე წისქვილის დოლაბივით დატრიალებულა.

მაინც ღირსებითა და პატიოსნებით სავსე დააბიჯებს სათაყვანებულ მამულში, ამაყია და ქედუხრელი, ვერავინ შეატყობს, რამე თუ უჭირს, იმიტომ, რომ გულის ფიცარზე აქვს აღბეჭდილი, რომ პოეტს მის ბერიავ სამშობლოზე უკეთ ცხოვრების უფლება არ აქვს.


### თემურ ლაჩავაზე

თეიმურაზ ლანჩავამ კარგად იცის, რომ იმათი ჯიშისაა, ვინც სიტყვის სრა-სასახლეებს, ეკლესიებსა და ტაძრებს აგებს და თუ ცხოვრობს, სიტყვასთან ჭიდილში ცხოვრობს, სიტყვა მისი სიხარულიცა და ტკივილიც, მისი მაღამო და სალბუნი, სიტყვასთან, უფლის ხელისგულზე ნანინავებ სიტყვასთან ერთად გლოვობს წუთისოფლის გაუტანლობას.

ისიც იცის, თანაც კარგად იცის, რომ პოეტი თუ ვინმეს უნდა ჰგავდეს, მხოლოდ საკუთარ თავს უნდა ჰგავდეს, საკუთარი ვნებების, საკუთარი ზმანებების საუფლოში უნდა მეფობდეს მორქით...

მართალი უნდა იყოს ერთან თუ ბერთან, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავთან, რომელსაც ვერ მოაცყუებს, ვერსად დაემალება, ვერსად წაუვა...

მისი ადგილი იმ კაცების გვერდითაა, რომელთა ალალ ქედზე გადადის ამქვეყნური ჭირვარამი, იმათ გვერდითაა, ვისაც ოქროდ უღლის დილის ცვარ-ნამი, ვისაც ზეციდან ჩამოთოვილი სევდითა აქვს სული საცე და ეს სევდა გუდასვით გადაკიდებული დააქვს მუდამ.



Եշեն

# მერი ზაალიშვილი

# საქართველოს დამსახურებული ურნალისტი

ნერილებს თეატრზე მაღლე მოქადა მისი გასაკორად  
შთაბზუდავი გამოხმაურებელი თანამედროვე ქრონიკი  
შრერლონბის ფილმული წარმომადგენლის, ჩვენი საა-  
მაყო თანაქალაქელის ზარია არსენიშვილის შესანიშნავ  
ნიგნებზე, მის გამომაურებულ რომანებზე... შემდეგ თა-  
ვისი წაკალმევით ქალაქის თუ ქვეყნის კულტურული  
წოვრებიდან, სხვადასხვად უანძლი დაწერილი შპენიერი  
ნერილებით უურნალი „ოლე“ დაგვიძლვენა, მერე ლესპურ-  
ლიკურ უურნალ-გაზეოებში გადაინაცვლა...

ඒ. ත්‍යාගක්ෂිත



## არ დავიწყებისა...

ლია წერილი უკრნალ „ოლეს“ რედაქციას დიდი ქართველი კინორეჟისორის ელდარ შენგელაიას კინოგ-  
მირის მიბაძვით - ჩემო სამშობლო, მე უკვდავი ვარ და მიჩურნია ეს უკვდავება შენთვის, – რომ ბრძანებს!..

ნანული კუპატაძე მე აღმოვაჩინე ჩემი გაზე-  
თისათვის, როგორც თეატრალური მიმომხილველი,  
როგორც ჩვენი თელავქალაქის კულტურული ცე-  
ნოვრების შვენიერი ქორონიკოსი, წიგნის რეცენზი-  
ენტი თუ კიდევ ბევრი საინტერესო წერილის ავტო-  
რი, მაგრამ თურმე ძალიან საინტერესო მწერალი  
ქალბატონისათვის ამილებინებია კალამი ხელში და  
მიჩურინა თელაველ მწერალთა გაერთიანებისათ-  
ვის მწერალი ნანული კუპატაძე და მისი შვენიერი  
წიგნი ორიგინალური სათაურით „ფიქრი/ნ/ანული“  
და მცირე პროზის ნამდვილი შედევრი ამ წიგნიდან:  
ოჯახი – ჩემი ჯიხესიმაგრე

„როგორც საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი იღია || გვმოძღვრავს, ოჯახის თავიაცი არის მამა, მამაკაცი, ხოლო ოჯახის სინმინდის სახე – დედა, დედაკაცი. ...და ჩემი ოჯახის ეს თავიაცი დილაუთენია მიდის აღზევანს; მე კი კერიასთან ვზიგარ და კოჭიბს ვათუხუებებს, თან დაფრთხიანებული შეილებისათვის წინდებასა ვქსოვ და გულის ფანცქალით ველოდები სატელეფონო ზარებს მათი ოჯახებიდან – ჩევნი ოჯახის ფილიალებიდან, რაც ჩემი ოჯახის ელექტრი და მალამოა.

სანამ კაცი არ დაბრუნდება, ჩემი შექმანდი უმარილო და უგემურია, მაგრამ როგორც კი კარს შემოხსნის და მარილს მოიტანს ბროლსა��, ყველაფერი გაცოცხლდება, ბუხარი გამხიარულდება, კოჭობიც სიხარულით ათუხხოუხდება; მეც მარჯვე-და მაქვს მომარაგებული ნაირ-ნაირი სუნელები და ისე შეეგმაზავ შექმანდს, რომ თითებს ჩაიგვენეტთ; თანაც ისეთ სურნელს გამოსცემს, რომ ბუზი ბაღ-დადიდან მოფრინდება. მაშინ უნდა ნახოთ ბუხრის აგიზგიზება და ოჯახის მხიარულება, როცა ახლობლები და მეგობრები გვიწევიან.

ახალბედა დიასახლისებს ვურჩევ: არ გამოილ-იოთ ოჯახში თაფლი და შარბათი, ტბილი სიტყვა



ნანული კუპატაძე

და თბილი გული, თუ გინდათ, რომ თქვენი ბუხარი  
ნიადაგ გიზგიზებდეს და ოჯახის კოჭობი გემრიე-  
ლად თუხთუხტებდოს.

მარილზე კი ოჯახის თავკაცი იზრუნებს.“  
სიყვარულით  
თქვენი ნანული კუპატაძე  
ამბავი კი ნანული კუპატაძის მწერლად აღმო-  
ჩენისა ასე დაინტერ:

ମୋତ୍ରଫୁଲାରୁତ ତଗଳାକୁଳି ତଗାତିରିଳି ପ୍ରଗମିଗରିଦାନ





და მოვლაპარაკობთ... მე შენ გეტყვი, არა გვაქვს სალაპარაკო დიდი ისტორიის თელავის თეატრის, მისი მსოფლიოში განუმეორებელი მაჩაბელის ლეგენდარულ დასით თუ არაერთი საქვეყნოდ განთქმული რეჟისორითა და მსახიობებით, არ გვანებივრებს თეატრზე შეეცარებულ მაყურებელს ერთმანეთზე უკეთესი სპექტაკლებით, თეატრალური სამყაროს სიახლეებით, რეჟისორული მიგნებებითა თუ სცენიურ გმირთა გაცოცხლების დიდოსტატობით!..

ჰოდა, მოვდივართ პრემიერიდან და მოვლაპარაკობთ. უფრო სწორად, ნანული ლაპარაკობს, ჩვენი მეგობარი ნანული კუპატაძე; მე და ცირა – ქალბატონი ცირა აფციაური ვუსმენთ მის შთამბეჭდავ, სიყვარულით და პროფესიონალის მიგნებებით სავსე საუბარს სპექტაკლზე, მსახიობებზე, მხატვრობაზე, რეჟისორულ ხელნერაზე და თეატრზე, საერთოდ!..

ჟურნალისტები და მითუმეტეს რედაქტორები (მე მაშინ თელავის ტრადიციული გაზეთის „ალაზნის განთიადის“, შემდეგ „თელავის მოამბის“ რედაქტორი ვიყავი) ხომ ერთგვარი მომხვეჭელობის ნიჭით გამოვირჩევით – როგორც კი შევამჩნევთ ვინჩეს, რომ წერის ნიჭი აქვს, ეგრევე იღვიძებს მომხვეჭელობის ინსტიტი და ვცდილობთ აუცილებლად მოვიზიდოთ, საგაზეთო საქმიანობაში ჩავაბათ! წერა ხომ გასაოცარი ფენომენია და თუ ეს ნიჭი დაგამადლა ბუნებამ, აუცილებლად უნდა წერო კიდეც. თანაც, გაზეთს ხომ ხატავს და ხატავს ავტორთა სიმრავლე, წერის მრავალფეროვნება! ჰოდა, ვუსმენ ჩვენი თეატრის პრემიერაზე ნანულის შთამბეჭდავ საუბარს და მოხიბლული ვეკითხები:

– ნანუკო, რასაც ახლა ლაპარაკობ, შეგიძლია დაწერო მეთქი?! – რასაკვირველიაო, – მეუბნება ნანული და მეორე დღეს უკვე მაქვს არაჩეულებრივი წერილი ნანული კუპატაძისა ჩვენი საყვარელი თეატრის, მისი ნიჭირი შემოქმედებითი კოლექტივის მორიგი წარმატების შესახებ.

რეცენზირება რთული საქმეა, და მას თავისი პროფესიონალი ჰყავს, მაგრამ რაიონულ გაზეთებს პროფესიონალი რეცენზენტები არ გვანებივრებდნენ თავისი ნახელავ-ნააზრევით. ამიტომ ჩვენ ჩვენი შესაძლებლობებით ვცდილობდით შევხმანებოდთ დიდი, განუმეორებელი ისტორიის ჩვენს საყვარელ თეატრს ერევლეს „ეზოის თეატრიდნ“ რომ მოუყვება გზას და ნანული კუპატაძეც ნამდვილად შესამური ერთგულებითა და ოსტატობით უძლვებოდა ამ რთულ უბანს ჩვენს გაზეთში წლების მანძილზე.

წერილებს თეატრზე მალე მოჰყვა მისი გასაოცრად შთამბეჭდავი გამოხმაურებები თანამედროვე ქართული მწერლობის დიდებული წარმომადგენლის, ჩვენი სამაყო თანაქალაქელის ზარა არსენიშვილის შესანიშნავ წიგნებზე, მის გახმაურებულ რომანებზე... შემდეგ თავისი ნაკალმევით ქალაქის თუ ქვეყნის კულტურული ცხოვრებიდან, სხვადასხვა უანრში დაწერილი მშვენიერი წერილებით

ჟურნალი „ოლე“ დაგვიმშვენა, მერე რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში გადაინაცვლა... განსაკუთრებით ხშირად იბეჭდებოდა თამაზ წივნიგაძის „ლიტერატურულ საქართველოში“ და ქართველი საზოგადოებისათვის საყვარელ ამ გაზეთს ნანული კუპატაძის ნაკალმევიც სძენდა თავის განუმეორებელ ხიბლს.

ამ ცოტა ხის წინ ნანული კუპატაძისა და როინ ჭიკაძის ტრადიციულ ოჯახში, სადაც ყოველთვის ისმის ჩვენი სამეფო ქალაქის ფეხისხმა, სადაც დაუთვლელ ადამიანს – ჩვენს თანამემამულეს თუ სტუმარს სხვა ქვეყნიდან დაუგემოვნებდა ადამიანურ ურთიერთობათა ნაყოფი ტებილი და ცხოვრების საგზლად გაჰყოლია ქართული სტუმარ-მასაპინძლობის ხიბლი, – ისევ დაგვიძახეს, ისევ შევიკრიბეთ ჩვენი რწმენით მორიგ, ტრადიციულ თავშეყრაზე! მაგრამ არა, ბატონებო, არა! წინ თურმე დიდი, სხვა უანრის შეხვედრა-სიამოვნება გველოდა: – ნანიკოს და ბატონი როინის მშვენიერ ქალიშვილებს ნინოს და მაგდას შეუკრებით სხვა-დასხვა ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი დედის ნაკალმევი და წიგნად აუკინძავთ მშვენიერი, ორიგინალური სათაურით – „ფიქრი/ნ/ანული“...

ამ ადგილზე შევჩერდი, ველარ გავაგრძელე წერა, რადგან წიგნის რედაქტორის – ცნობილი მეცნიერის და საზოგადო მოღვანის გიორგი გოგოლაშვილის შესანიშნავი წინასიტყვაობა მინდოდა მომეშველიებინა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ სახლში ერთი წიგნიც აღარა მაქვს, სულ გამიჩქებია. გასაყიდად წიგნი ოჯახს არ გამოუტანია, სულ საწუქრებად მოგვიძლვნეს ნაცნობ-მეგოპრებს.

თელავის, თელაველების სიყვარულით დაწერილმა ამ წიგნმა ბევრი, ძალიან ბევრი დაანტერესა და ვინც ქალბატონ ნანულის და ბატონ როინს ვერ უბედავდნენ წიგნის თხოვნას, მე მირეკავდენე: – სად, როგორ მოვინაგროთ ეს წიგნიო!.. მეცნიერებიდი და გრუქნიდი ამ სიამოვნებას ჩემს თანაქალაქელებს და როცა დამტკირდა, აღმოჩნდა, რომ ერთიც აღარა მაქვს სახლში. არადა, ბატონი გიორგი გოგოლაშვილის არაჩეულებრივი წინასიტყვაობის გარეშე ველარ ვაგრძელებ წერას და ცირას ვურეკავ – შენც ჩემსავით ყველა წიგნი თუ არ გაგიჩქებია, მათხოვე ნანულის „ფიქრიანული“ გიორგი გოგოლაშვილის წინასიტყვაობა მჭირდება აუცილებლად მეთქი. აღარ მინდოდა ქალბატონი ნანულისათვის ან ბატონი როინისათვის მეთხოვა წიგნი, მოულოდნელად გვინდოდა წაეკითხა ჩვენი წერილი ჟურნალ „ოლეში“ (აბა „თელავის მოამბე“ აღარ გამოდის და!“)

სამწუხაროდ, ძალიან, ძალიან, სამწუხაროდ წერილს ველარ ვაგრძელებ, რადგან სრულიად მოულოდნელად, მოწმენდილ ცაზე საშინელ გაელვებასა და ჭექა-ქუხილივით დაგვატყდა თავზე დიდი ტკივილი – ნანიკო აღარ გვიყვას!

მართალია, ტრადიციულ საოჯახო შეკრებებზე





ბევრი ვესიყვარულეთ მშვენიერი წიგნის ავტორსაც, ქვეყნის ნამდვილ ფორპოსტს – ქართულ ოჯახს, მათ არაჩვეულებრივ ქალიშვილებს – ნინოს და მაგდას, მათ ოჯახებს... იყო შემოქმედებითი ტკბობა-და-ფასების ძალიან, ძალიან შთამბეჭდავი დღე, მაგრამ ურნალ „ოლედან“ (კიდევ ერთხელ გულისტყვივილით გაზეთი „თელავის მოამბე“ აღარ გამოიდის“ და...) გვინდონდა შევხმანებოდით, მოვფერებოდით მშვენიერი წიგნის ავტორსაც და მის სულისჩამდგმელებსაც.

სამწუხაოდ, აღარ დაგვცალდა...

ახლა, ქალბატონი ნანული კუპატაძის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ცირა ისევ იხსენებს ჩვენს დაწყებულ წერილს ნანული კუპატაძის მშვენიერ წიგნზე: – „ჯარისკაცის მამადან“ ხომ გახსოვს – კარგი მუსიკის მოსმენა ძილშიც შეიძლებაო და მაგულინანებს დავასრულო წერილი...

მეც ვაგრძელებ წერილს...

ბატონი გიორგი გოგოლაშვილის წინასიტყვაობაზე შევჩერდით. იქიდან გავაგრძელოთ:

„ – ნუ გაიკვირვებთ: – ბრძანებს ბატონი გიორგი – ამ წიგნის ავტორი, ქალბატონი ნანული კუპატაძე, ბიოლოგი (მიკრობიოლოგი); მაღალი რანგის პროფესიონალი! სამეცნიერო ხარისხი დიდი წარმატებით დაიცვა (ცვინის მიკრობიოლოგიაში) კარგა ხნის წინათ იმპერიის ცენტრში (მოსკოვში)... მერე დიდხანს მსახურობდა (თუმცა მანამდეც) მელვინეობა-მევენახეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თელავის ფილიალში.... უმაღლეს სასწავლებელში ლექციებს კითხულობდა გენეტიკაში... მერე და მერე ოჯახმა მეტი დრო მოითხოვა და...

მაგრამ ამ წიგნში ვერ შეხვდებით საუბარს პიოლოგიაზე; არც მიკრობიოლოგიის დარგში ქალბატონი ნანულის მიერ შექმნილი სამეცნიერო ნაშრომები იძექდება აქ... (თუმცა მელვინეობას „ხარკ იმით უხდის“, რომ ქართული სუფრის შესახებ საინტერესო წერილებს...)

ქალბატონი ნანულისათვის პირველი დიდი სკოლა მისი მამისული ოჯახი იყო; ცნობილი მსახიობის, თელავის თეატრის ერთ-ერთი ფუქრმდებლის, ალექსი კუპატაძის ოჯახში მიიღო სწორედ „თეატრალური განათლება“... კულისებში ვიზრდებოდი, იტყვის და კულისებიდან დანახული და აღქმული თეატრალური ცხოვრება რომ სხვაა, ნალდი და ღრმა, ამ წიგნიდანც ჩანს!.. ჩვენ გვესაუბრება და თავის შთაბეჭდილებებს, შეხედულებებს, სურვილებს გვიზიარებს ნიჭიერი თეატრმცოდნე, ნალდი პროფესიონალი!..

დიახ, ამ წიგნში გვესაუბრება „თვითნასწავლი“ თეატრმცოდნე და „თვითნასწავლი“ ლიტერატურათმცოდნე; „თვითნასწავლი“ პოლიტიკოსი... ეს ტერმინი არსებობს, თორემ „თვითნასწავლობა“

უხერხულიც კი არის ასეთ მაღალპროფესიონალურ მსჯელობასთან...

ვთქვი, ლიტერატურათმცოდნე-მეთქი... ქალბატონი ნანულის მეუღლე, ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი როინ ჭიკაძე, ხუმრობით სწრდა ერთ-ერთ რედაქტორს, „ცოლი გამიფილოლოგდაო“... და არ იყო ეს შემთხვევითი: მთელი შეგნებული ცხოვრება ფილოლოგების წრეში მოუხდა ტრიალი...

ჩემი პირველი სტუმრობა ამ ოჯახში ორმოციოდე წილის წინ მაშინ მოხდა, როცა სუფრას აკადემიკოსი შოთა ძიძიგური თამადობდა; სუფრას უსხდნენ აკადემიკოსები ქეთევან ლომითათიძე, ივანე გიგინეიშვილი და მრავალი საქეცენოდ ცნობილი პროფესორი... ეს არ იყო რიგითი ლხინის სუფრა – ეს იყო გაგრძელება იმ დაძაბული სამეცნიერო დღია, სამეცნიერო ფორუმისა, თელავის უმაღლესმა სასწავლებელმა რომ უმასპინძლა... ჰოდა, ამგვარი სტუმრობების, საქმიანი შეხვედრების, დისკუსიების მასპინძელი ქალბატონი ნანული ხშირად ყოფილა... სწორედ ეს იყო ის ფილოლოგიური გარემო, რამაც „გააფილოლოგა“ ნანული კუპატაძე... თუმცა მხოლოდ ეს „გარემოებები“ არაა მიზეზი იმისა, რომ წიგნი ასეთი საინტერესოა; როგორც პოეტი იტყოდა, „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი!!!! ნიჭიერება, განათლება, ორიგინალური ხედვა წერის მაღალი კულტურა ყოველ წერილმანში ჩანს...

ქალბატონი ნანული ღიმილით, სიკეთით სავსე თვალებით ხედავს სპექტაკელს, კითხულობს წიგნს და გვიზიარებს შთაბეჭდილებას... იქაც კი, როცა რაღაც არ მოსწონს, მისხალ ღვარძლსა და უსიამოვნო გამოხედვს ვერ დაიჭირს მეითხველი; თანაგრძნობითა და დანანებით საუბრობს ნაკლიეც... დიახ, ქალბატონი ნანული გვასწავლის – ასე უნდა გიყვარდეს თეატრი, წიგნი, მოყვასი... სამშობლო, მშობლიური ქალაქი...

მოკლედ: აქ დაესვამ წერტილს, თორემ ვხედავ, მიჭირს გაჩერება... ჯობია, ქალბატონ ნანულის მოვუსმინოთ“...

გიორგი გოგოლაშვილი

ჩვენც აქ დაესვამთ წერტილს!

მანამდე კი, მანამ ეს წერტილი „ოლეში“ დაიბეჭდება, ხელნაწერით მივდივართ ხოლმე ჩვენს ნანიკოსთან, რომელიც თავისი ღვთაებრივი სიცილით ისევ ისე გვეგებება, ისევ ისე ვსაუბრობთ ოჯახზე, სამშობლოზე, მის ნარსულზე, ანმყოზე, მომავალზე... სულს მოვითქვამთ ხოლმე უთვალავი პრობლემებით სავსე ყოველდღიურობით დაღლილი და ისევ ავიგსებით ხოლმე ნანიკოსთან ურთიერთობის სილამაზით!..

ხო, სიცოცხლე გრძელდება!



## გამუკა ვაშაპიძე

20



საქართველოს მთავრობის პირები ჰელოვანობა – არა, მანამ თავისი ერევანი, ამათის სხვანაირადა დალაპარაკება საჭიროო და... ერთ-ერთი ძლიერი ეკონომიკური მიმომზილველი იმპერია სუვიდა, ერთობ როგორც და როგორ იციან „სახათარალოს“ – თავისი კალაბი სარკაზმ-იუმორ-ფილების ქვეზე აღინია და დაინტენი, მაგრამ რა დანაყო. ქართულ უურნატლისტიკაში შემოვიდა ახალი უურნატლისტი, იუმორით და პირდაპირობით, „შეარე ენია“ და ქილიკი, ფილოსოფით და წოდორისეული გამოწილებით, მოყვარეს პირში უძრავს პრინციპით, მისი უფიფერულესობა ოფია ჩართოლანით.

ქ. ვაჟაპეტი


## ღიმილით მეპრძოლი კალმოსანი

### შტრიხები მეგობარი კოლეგის პორტრეტისთვის

ოცდაათი წლის წინათ გადავინაცვლებ...

ეს ის დროა, როდესაც ეროვნულმა სიომ იქარბუქა და სასიამოვნო სიგრილესთან და გამოიტიზებასთან ერთად გრიგალივით გადაუარა საქართველოს. სოკოებივით მომრავლებულ პარტიებსა და დაჯგუფებებს (როგორც ქართველებს გვიჩვის) არა მარტო თავთავიანთი დროშები, ემბლემები, გერბები, პიმნები ჰქონდათ, არამედ თავიანთი შიდაპარტიული გაზეთებიც – ზოგი სერიოზული, ზოგი არაფრის მთემელი, მაგრამ სოლიდური სისქე-სიდიდისა, ზოგიც პრო-ლაბაციასავით ციცქანა. სწორედ ამ დროს ქართული პრესის ცნობილ და მრავალწლიანი გამოცდილების უურნალ-გაზეთებს შეემატა ყოველკორეული გაზეთი „რესპუბლიკა“, რომელშიც სრულად ახალგაზრდამ (გულახდილად რომ ვთქვა, ამ სფეროში გამოუცდელ-მა), ყოველგვარ პროტექციისა და საგამოცდო ვადარეკომენდაციების გარეშე დავიწყე მუშაობა გაზეთის გამომშვებად, მაგრამ თავდაპირველად შიკრიკობამ მომინია. გაზეთი ოფიციალურად საქართველოს მინისტრთა საბჭოს ორგანოდ ითვლებოდა, რედაქციაც ახლანდელი პარლამენტის ბოლო სართულზე, უფანჯრები სხდომათა დარბაზში გვქონდა მოწყობილი და დღეში რამდენჯერმე მიხდებოდა მაშინდელი „ლენინის მოედნიდან“ ლენინის ქარის დასანყისში, ვერაზე მდებარე გამომცემლობაში (შემდგომში გამომცემლობა „სამშობლო“ და ახლა სასტუმრო „სტამბა“) მასალების წალება და იქედან უკვე გამზადებული ანაწყობების წამოლება.

შეიძლება ვინმეს ზედმეტად მოეჩვენოს ჩემს მიერ ჩამოთვლილი იმდროინდელი ქართული უურნალისტიკის მეტრების გვარების ჩამოთვლა, მაგრამ ამ მოგონება-მოფერების მთავარი გმირისთვის მათი გახსენება დიდი სიყვარულისა და სითბოს გამოხატულება იქნება, რადგან ისინი მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი არიან. ბატონი ჯემალ ნინუა, გაზეთის მთავარი რედაქტორი, არმაზ სანებლიძე, რუსლან რუსია, გივი თევზაძე, კოტე ინანიშვილი, კოტე გურგენი-



ოთარ ხუციშვილი

ძე, ელგუჯა ბერიშვილი, ვალიკო სიმონიშვილი, თამაზ სულაძე, ვახტანგ ნადირაძე, კახა სიხარულიძე, გალინა ხარებაშვილი, შოთა მაჭარაშვილი, გელა შაიმელაშვილი, მაყვალა ინასარიძე, ციცინო მჭედლიშვილი, ფერიდე ბინაძე, ნათელა თუთისანი. აი, ასეთ პროფესიონალებთან მომინია მუშაობის დაწყებამ. ბევრის გვარ-სახელი მხოლოდ გაზეთებიდან და ტელევიზიიდან იყო ჩემთვის ცნობილი.

სწორედ იმ დღიდან გავიცანი, დავუახლოვდი, დავმეგობრდით და დღემდე ვაგრძელებთ მეგობრო-



ბასა და იმ მადლიან ტრადიციაზე დამყარებულ ურთიერთობას, რომელსაც უფროს-უმცროსობა ჰქვია, მე და ჩემი ივანიჩი, საქართველოს დამსახურებული უურნალისტი, საქართველოს უურნალისტთა შემოქმედებითი კავშირისა და საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, უურნალისტიკაში სხვადასხვა პრესტიული პრემიების ლაურეატი, დიდი ოჯახის მამა, პაპა და უზარმაზარი სამეგობროს გული და სული, პირდაპირი, უკომპრომისო, ალალი, დიდი დარღისა და სიხარულის მატარებელი კაცი ოთარ ხუციშვილი.

ზემოთ ჩამოთვლილ თანამშრომელთაგან ბევრი ნაადრევად გარდაგვეცვალა, ბევრმა სხვადასხვა გაზიეთებში დაინყო მუშაობა, ბევრმაც პროფესია შეიცვალა, გადავიტანეთ თბილისისა და აფხაზეთის, ორჯერ სამარაბლოს ომი, ბევრი უბედურებაც ვნახეთ, გამოგვმვეს გამომცემლობის შენობიდან, შეჩერდა გაზიეთი, მაგრამ დარჩენილებს ერთმანეთის სიყვარული, პატივისცემა და ერთგულება არ დაგვიკარგავს. ეს თითოეული ჩვენთაგანის დამსახურებაც არის და თუ დამსახურებაზეა საუბარი, ლომის წილი ივანიჩისაც უძევს. როდესაც წლების შემდეგ უმუშევრად დარჩენილი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავრმა რედაქტორმა არმაზ სანებლიძემ თავისთან მიმინვია, პირველი რეკომენდაცია ივანიჩმა გამინია – თავისი მშობლიური, კახური სიდინჯითა და კახურივე კილოთი დაასკვნა სეფე-თათბირზე – ეგა, ისეთი ბიჭია, არ გილალატებსო... თანაც დიდი ხანია, ვიცნობთ ერთმანეთსაო.

მისი სიტყვაც ერთ-ერთი გადამწყვეტი იყო.

მისი სიტყვა გადამწყვეტი იყო თავისი დროზე ჩემი უურნალისტთა კავშირში მიღების დროსაც.

მისი სიტყვა გადამწყვეტი იყო ჩემი მწერალთა კავშირში განევრიანების დროსაც...

მისი სიტყვა გადამწყვეტი იყო ჩემი შემდგომი წინსვლების დროსაც...

**რატომ?**

აფასებენ ოთარ ხუციშვილს, ჯერ როგორც პროფესიონალს, საქმის დიდ მცოდნეს, აფასებენ როგორც ობიექტურ პიროვნებას და აფასებენ და სვერათ მისი, როგორც კაცისა.

ახლა, როდესაც ოთხმოცს კარგა ხანს გადაცილებული ჩემი მეგობარი თანმედროვე ცხოვრების რიტმს აჟყვა და „ონლაინრეზიმში“ გვეთანამშრომლება, კვირაში ორჯერ მაინც დამირეკავს, მიკითხვ-მოკითხვის შემდეგ დაამატებს – რაღაც გამოგიგზავნე და...

– ვნახე, ივანიჩ...

– ჰო, აბა მიხედე, თუ ვარგა... – სიტყვას ვაწყვეტინებ.

– ხვალ დილით ჯიხურში ჩადი ივანიჩ.

თავადაც კარგად იცის, „თუ ვარგა...“ ზედმეტია, ვარგა და მერე როგორ. კითხულობ და გგონია ეს დაუდლელი კაცი, ახლა რომ ცათამბჯენში თითქმის ბოლო სართულზე მოუწია ცხოვრებამ, ცაში კი არა, მართლაც საქართველოს ყველა კუთხე-კუნძულში და-ფუსტუსებს. ზეპირად იცის, რა უჭირთ დასვლეთსა თუ აღმოსავლეთში, ზეპირად იცის, რას იტყუებიან

პარლამენტში, რის გაკეთება ძალუბით და რისი ვერა, ან არა. ზეპირად იცის, რომელი თანამდებობის პირი რითი სუნთქავს, რისი შნო აქვს. იცის ივანიჩმა, იცის იმიტომ, რომ ცხოვრება აქვს გამოვლილი, იცოდა და ახლაც იცის, როდესაც რესპინდენტი ერთს ეუბნება და იცის გულში რას ფიქრობს. ივანიჩს ვერ გამოაპარებ.

ოთარ ხუციშვილი პროფესიით ფილოსოფოსია. ეს ცოტა მოგვანებით გავიგე, ისევ მისგან. საუბრისას ნამოსცდა – ამ ხალხს, ფილოსოფოსობა ტრაქტატების და ტრომეულების წერა ჰერნიათ, ფილოსოფოსობა ცხოვრება – გახედე, ჩაწვდი რა ხდება, ამაზე კარგი ფილოსოფია სად უნდა ეძებო, ყველაფერი ხელის გულზე გიდევს მზამზარეული. თქვა და...

თქვა და... დაინყო ივანიჩმა.

ამ ხალხს (თანამდებობის პირები პყავდა მხედველობაში) გინდა ურჩიე, გინდა – არა, მაინც თავისას ერევებიან, ამათთან სხვანაირადა დალაპარაკება საჭიროო და... ერთ-ერთი ძლიერი ეკონომიკური მიმომშილველი ოთარ ხუციშვილი პარალელურად მეორე სფეროსაც შეეჭიდა, ერთობ რთულსა და როგორც იტყვიან „სახათაბალოს“ – თავისი კალამი სარკაზმულორ-ფელეტონის ქვაზე აღესა და დაინყო... დაინყო, მაგრამ რა დაინყო. ქართულ უურნალისტიკაში შემოვიდა ახალი უურნალისტი, იუმორითა და პირდაპირობით, „მწარე ენითა“ და ქილიკით, ფილოსოფიითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით, მოყვარეს პირში უძრახეს პრინციპით, მისი უდიდებულესობა ოტია ჩართოლანი (მოგვიანებით ბატონმა ოთარმა რამდენიმე მოზრდილი კრებულიც გამოსცა თავისი ფელეტონებისა და ძალზედ საინტერესო წიგნებიც მართლაც მკითხველისთვის ახლობელი გახდა).

ყველას ეცოდინება, ვინც „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველია, ოტია ჩართოლანის გასული საუკუნის მიწურულიდან დღევანდლამდე ჩაწერილ-გაგონილ დამუშავებული ქალაქ-სოფლური მოარეული ამბები. პირველი გმირი ბატონი ერბონონაშვილი გახლდათ, თავისი „ორიგინალური რჩევებითა“ და სიტყვა-პასუხით. ხალხიც ბევრს ხარხარებდა და ჩვენც ვმხიარულობდით ერბონონაშვილის ფილოსოფიაზე, მანამ, სანამ რედაქციაში ერთი პატივცემული პიროვნება არ გვესტურმა და ბატონი ოტია ჩართოლანი არ იკითხა. გაცეცხლებული იყო კაცი – სულ ორიღდე ოჯახი ერბონონაშვილები ცხოვრობთ საქართველოში და რაღა ჩემი გვარი აირჩია საქილიკოდ ჩართოლანმა. ბევრი უმტკიცა ბატონმა ოთარმა (სხვათა შორის გაბრაზებული მამაკაცი თურმე დიდ პატივს სცემდა ოთარ ხუციშვილის შემოქმედებას), ჩართოლანი ეს მე ვარ, ხუციშვილი და ერბონონაშვილი ჩემს გმირს შემთხვევით მივწერე, არც ვიცოდი, ასეთი გვარი თუ იქნებოდა საქართველოში და ისიც ჩემს მშობლიურ კახეთშიო. მოლბა კაცი, ძმაო, ოლონდ ეგ გვარი შეცვალე, ბალლები სკოლაში სირცხვილით არ დადიანო. ასე გადაიქცა ერბონონაშვილი ოქრონონაშვილად. დავმშვიდდით ჩვენც, ჩვენმა ივანიჩმა კი ჩვეული რიხით გააგრძელა – „ხედავთ, ჩემს წერილებს სად არ





კითხულობენი” და თავის ჩვეულ რუბრიკას „ელამ სარკეს“ ოქროწონაშვილის ცხოვრებისეული ფილოსოფით გაუკვალა გზა. ესეც არ იქმარა, შეინურებზეც გადმოვიდა, არავინ დაგვინდო და ასე გაჩნდნენ „ელამ სარკეში“ ბენიტოები, ჭიმიები, გუბაზები, გვივიოები, კურკა, ჭოპელა და ვინ მოთვლის ან ვინ გასწვდება ივანიჩის ფანტაზიას. ზოგს სწყინდა, ზოგი იცინდა, ბევრი იმასაც ეხვერებოდა ჩემზე დაწერე რამეო.

უცნაური ხალი ვართ ქართველები, რაზეც იუმორით წერდა ივანიჩი, ყველამ სერიოზულად მიიღო (განსაკუთრებით მათ, ვისაც ყურად უნდა ედოთ იგავური რჩევა-დარიგებანი), თავად იქცნენ ოქროწონაშვილებად. პატარა მაგალითისაც მოვიყვან ბარებ და ამით დაგამტკიცოთ, რა ძალა აქვს პროფესიონალი უცნაულისატის კალამს. ოქროწონაშვილი ქადაგებდა – „კარგია პარლამენტში ბიზნესმენების, ფულიანების, მაქინატორების შეყვანა, აღარ მოიპარავენ და იმასაც შეინარჩუნებენ იმუნიტეტის ძალით, რაც აქამდე ხალი უყვლეფიათ“. ასე ყველაფერი კარგი აგიხდეთ, სანამ ივანიჩი და მისი მეგობრები ოქროწონაშვილის ფილოსოფიასა და დაკვირვებულობაზე ვხითხითებდით, აივსო პარლამენტი ბანკირებით, ბიზნესმენებით, ქურდებით, თაღლითებითა და ათასი ჯურის კრიმინალებით, ამოეფარნენ პარლამენტარის

იმუნიტეტს და ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად.

მოუნია ბატონ ოთარს რუბრიკის შეცვლა – ეს რაღა „ელამი სარკე“, უკვე „თითქმის ნატურიდანა-აო“. ხელმოწერასთან ოტია ჩართოლანთან ერთად ჩვენი მეგობრისა და ცნობილი კარიკატურისტის ზალიკ სულაპაურის ივანიჩის მეგობრული შარული გაჩნდა, ხოლო ჩემი ნაცოდვილარი კარიკატურები და ჩანახატები (ბატონი ოთარის თხოვნით მის ფელეტონებს კარიკატურებით მე ვაფორმებდი), უკვე ფოტოებმა დაიკავა – რაღაც ნატურა, ნატურა იყოს.

ცხოვრება და რეალობა ისე აითქმიფა სარკაზმაა და იუმორში, რომ ხშირად გვეშლება, ოთარ ხუციშვილი გვამუნათებს თუ ოტია ჩართოლანი. ჩემთვის კი ეს ცხოვრება ნატურაა, ნატურაში ვიცნობ ჩემს უფროს მეგობარს, უნიჭირეს უურნალისტს, ფილოსოფისს, უერთგულეს ადამიანს ოთარ ხუციშვილს, რომელიც ყოველთვის მზადაა, ხელი გაგიმართოს, დაგემმაროს, შეგებმიანოს, შეგაგულიანოს, მოგიწონოს, კახური სიდარბასილითა და სტუმარ-მასპინძლობით მოგალნინოს, გაცინოს, გაგახაროს და... საფიქრალიც მოგცეს, რომ ნალდ „ნატურაში“ იგრძნო თავი – იცოდე, ვინცა ხარ, რადგან ელამ სარკეში არ დაინახო ცხოვრება. ზემოთ აღვნიშნე – ონლაინ რეჟიმში მუშაობს-მეტეი – ამ პანდემია-კორონამ ყველა სახლში გამოგვეტა. ხუმრობს ივანიჩი – მე კიდევ „დარჩისახლში“ მინდოდა, ისედაც ცათამბჯვენში ვარ გამოკეტილიო და თავის წერილებს შვილიშვილის ოთარ II ხუციშვილის დახმარებით გვიგზავნის. ახლა მშობლიურ კახეთშია და იქიდან გვეხმიანება.

გაიხარე ჩემო ივანიჩ, ჩემო ოთარ ბატონი!

P.S. შევედი უკვე იმ ასაქში, როცა ხანდახან მოგონებების წერაც უნდა დაინტერესონ, ისე შენთვის. თუმცა ჩემი პროფესიის წყალობით ისეთ დიდებულ ხალხთან მქონია ურთიერთობა, სირცეზილი კი არა, დანაშაულია, მათზე თუ არ დაწერ, რა თქმა უნდა, თუ წერა შეგიძლია. რამდენიმე დღის წინ ბატონი ფარნაოზ რაინაული შემებმიანა, დიდებული პოეტი და ადამიანი, მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარე, უურნალ „ოლეს“ ერთ-ერთი რედაქტორი – იქნებ რამებ ნოველა გამომიგზავნოთ. ვიცი ეს უურნალი, ვიცნობ მის მთავარ რედაქტორს ბატონ აკაკი დაუშვილს, შესანიშნავ ნოველისტსა და მთარგმნელს – არც მწერლები აკლია, არც პუბლიცისტები და არც პოეტები. შესანიშნავი უურნალია, რადგან ჩემს უსაყვარლეს კუთხეში – კახეთში გამოდის, დაფიქრდი და ამ კუთხის პირდაპირ და ვაჟეც ხალხ არაფერი მქონდა დაწერილი, გარდა ჩემი სტუდენტობისდროინდელი ჩანაწერებისა, რომელიც გრემის მთავარანგელოზისა და ქულბაქების უბნის აღდგენა-რესტავრაციას ეხებოდა. ამიტომ ჩემი უფროსი კოლეგა-მეგობარი და მასწავლებელი, ჩემი ოთარ ხუციშვილი გამახსენდა, მოფერება მომინდა და თუ ბატონი აკაკიც დასტურს იტყვის, იქნებ მისი მშობლიური კუთხიდან მომაფერებინოს „ოლეს“ ფურცლებით ივანიჩზე!

3mgbns

ଓଡ଼ିଆ  
କବିତା

ମେଘରୀ –  
ୟୁଗମନ୍ତରୀ,  
ଶବ୍ଦିକ୍ଷେରକ, ଶୈଖ୍ଯପାଦ...  
ଶୋଭନ୍ତଲ୍ଲେ:  
ଚରଣ୍ୟାଳ୍ପନୀ,  
ଶକ୍ତ୍ୟାଳ୍ପନୀ,  
ଅରଧାଳ୍ପନୀ...

სხეულში –  
სული  
არარ მეტობა,  
მინდა გადავწევა  
ყველა –  
ნუკიარტი...

ଓ. ৰାଜନ୍ଦନ



ପ୍ରାତିକାନିକା

ଶ୍ରୀକୃତ୍ସନ୍ -  
ଲମ୍ବାଣି...

სტრიქონში  
მინდა ჩავსვა  
ერთიან –  
ამ, დედამიწის  
სიბრძნე, –  
ყოველი...  
ირწმუნონ – მწედ,  
რომ...  
სიტყვაც –  
ღმერთია,  
ადამიანი გახდეს –  
ცხოველიც...  
**31. VII. 2020**

豫鍼灸推拿學系  
醫學系  
中醫系...

ქვეყნის კანონად –  
გონის  
ბნედა როდი უცვიათ?!...  
ვინ ნახავს –  
სიბრძნეს  
და... სიყვარულს, –  
ფულზე ალესილს?!..  
საქართველოა:  
ჩემი –  
დედაკონსტიტუცია, –  
უპირველესიც,  
უმთავრესიც,  
უზენაესიც...  
**20. V. 2020**

ნიქოს  
სმ ჩანს...

ბურუსში დროის, –  
გლობალიზმის,  
ვანამებთ –  
გულ-მყლავს...  
ცერ-რით მოვერგეთ:  
შემოგდებულ,  
შენილბულ –  
ფარჩას...  
სალამურს ვუკრავ, –  
ჩემს –  
ჯადოსნურ სალამურს  
ვუკრავ,  
მაგრამ...  
მშველელი, –  
ჩენი მხსნელი,  
წიქარა –  
არ ჩანს...  
**25. III. 2020**

ପାତ୍ରଙ୍କଳିନୀ,  
ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ...

გაჭირვებაში  
ჩანს სუფველა, —  
ყველაზე,  
უკეთ,  
დღეს, სამყაროში,  
ჯოვანხეთი ტრიალებს, —  
ერთობს...  
სულმადლიანთ და  
გულმადლიანთ  
მზემადლი  
ვუძეთ, —

რომ დაგვანახე:  
ვინ –  
ვინა ვართ,  
მადლობა,  
ღმერთო...  
**26. IV. 2020**

၁၂။ မြို့သုတေသန...

ვერ გავხდით  
ჩვენი თავის  
მმართველი,  
გზას –  
სამამულეს  
ვეძებთ, –  
მართლისა...  
არ მეგულება  
ნალდი –  
ქართველი,  
რომ არ სტკიოდეს  
ბედი –  
ქართლისა...  
**27. IV. 2020**

მსოფლიოს –  
ახალი დევიზი...

როდის იქნება, —  
აღარ იყოს:  
დრო, —  
წყევლის,  
კრულვის,  
ზეობა ფულის, —  
ცათა სწორთა,  
ქედს





როდის დახრის?!..  
„ღმერთო,  
ფულიანს –  
გული მიეც,  
გულიანს –  
ფული“, –  
აი, დევიზი:  
დედამიწის, –  
სუსკელა ხალხის...  
**6. IV. 2020**

**მთელი პლანეტა, –**  
**დედამიწა**  
**ამტკიცფა –**  
**ახლა...  
რაიც კი ვიშვი –**  
სიყვარულის,  
სიკეთის  
მზეს ვდევ,  
სხვებზე ფიქრი და...  
სხვებზე დარდი  
მნუსხავს და...  
მახლავს...  
თუ, –  
ჯვარსგაკრული  
საქართველო  
მტკიოდა, –  
დღემდე,  
მთელი პლანეტა, –  
დედამიწა  
ამტკიცდა –  
ახლა...  
**5. III. 2020**

**ნუთუ, –**  
**ხვალას,**  
**ასე იქნება?!**..

ძმობა... ერთობა –  
ველარ დადგა, –  
არსთა ამინდად...  
უფლის მზესიბრძნე  
მირაჟით,  
რატომ გვიქრება?!..  
„მე“ და...  
„ჩვენ“-ს შორის  
მოდის  
ომი –  
დასაბამიდან,  
დღესაც ასეა,

ნუთუ, – ხვალაც,  
ასე იქნება?!..  
**20. III. 2020**

**ჭერბარიჭერის**  
**აქსიომა...  
დრო გახსნის**

ყველა –  
იდუმალ ბოქლომს,  
ავს –  
ავი საქმე  
განა ჩაუვლის?!..  
თემულა:  
დუმილი  
არისო ოქრო,  
ხან, –  
დუმილია –  
დანაშაული...  
**25. IV. 2020**

**ჩემი – ფიქრი და...**  
**ჩემი – განწყერი...**

ჩემო – კარგო და...  
ჩემო – ლამაზო,  
ხან, –  
ფიქრს ვამსგავსებ –  
ალილოს ნიავს...  
ჩემი – განცდები,  
ხან, –  
ჰეგავს – ამაზონს,  
ხან, –  
ჰეგავს – მისისიპს,  
ხან, – ნილოსია...

**არ მიყვარის,**  
**არ მწამეს...**

არ მიყვარს  
მთები –  
უკუნეთის კუპრში  
ჩარგული,  
კორდი – უირმი,  
კლდე – უჯიხვო,  
ჭალა – უტურო...  
უსიყვარულო –  
სული არ მწამს  
და... არც –  
ჩვარგული,

ლექსი – სიტყვების:  
გროვა, –  
უფრთო,  
ფუჭი,  
ფუტურო...  
**21. IV. 2020**

**სულმა:**  
**უნინარეს,**  
**უადრეს და...**  
**უყვირველეს...**

დასაბამიდან, –  
რამდენია –  
ჯვარცმა და...  
ცოდვა?!..  
მე –  
ყველა მტკიცა,  
იმ ტკიცილებს  
რა დამიამებს?!.  
თუ, რამ –  
სწავლაა,  
თუ, რამ –  
სიბრძნე...  
და...  
თუ, რამ –  
ცოდნა,  
სჯობს:  
სულის,  
გულის  
მზე ვასწავლოთ  
ადამიანებს...  
**19. V. 2020**

**ყველაზე, უფრო,**  
**ახლოს –**  
**უფალთან...**

სულით მზიანს, რომ:  
ხელი ვერ –  
ახლოს, –  
დროს კი,  
რამდენი, მეფეც –  
უბალთავს?!  
მწერალი გახლავთ:  
ყველაზე –  
ახლოს,  
ყველაზე, უფრო,  
ახლოს –  
უფალთან...  
**15. IV. 2020**



**մԵլոնա –  
հԱկուր...**

դարձո, ոյ: սუլից  
ճա... շուլից –  
սովործեց: մտլագ գագանուլաց:  
ասո լուս –  
աս քյուր...  
Ծպագոտ Տույագուլից –  
մեթագ ճա...  
շուրո, դարձու Տույագուլո  
մելոնա, –  
ասջեր...  
**25. III. 2020**

**ԿՈՏԱԿԱՆ ԿՈ, –  
ՀՐ ԱԺՎԱ –  
ԿԱՑԼՎԱՐՈ...**

յաթրոս, բամցեն, վեղացո –  
մենացրեն՞ս?..  
զոյրոս ճա...  
աթրոս –  
գլուխ ցայցես:  
սեցա ზարո...  
սաթլվարո էյցես:  
պալաս,  
պալացյորս,  
Տույագուլը յո, –  
ար այցես –  
սաթլվարո...  
**14. IV. 2020**

**ՀՐԱԴ!!!..  
ՀՐԱԴ!!!..  
ՀՐԱԴ!!!! ՓՈ...  
ՀՐԱԴ!!!..**

ՅԵՐ ճացելնուտ:  
աՅ դրոս, –  
ՑԱԼԵՎԱՍ,  
ՀԱՄԱԼՄԱՆԸ,  
ՄԱԿԱՆԵՏԵ...  
ՀՅԱՆՍ, ԲԱՇՎ –  
ՅԵՐՎՈՒԹ  
ճա... ՅԵՐՆԱՄԵԹ,  
ՍՈՎԱԼՈ,

յմարա!!!!..  
Տալես – Ծյես, –  
Ըլելացե,  
Տալես – Ծյուլս ճա...  
Տալես – ՑԱՑԱՆԵԾ, –  
ՑՈՂՑՈՅԵՄՈՒՐ Ցիցօթու:  
ԱՐԱ!!!!..  
ԱՐԱ!!!!..  
ԱՐԱ!!!!..  
**13. IV. 2020**

**ՈՅ, ՅՈՆՔԵ,  
ՄՈՎՅԱՐԿ...**

մտացարո արոս –  
Տայմե, մագրամ... Ծյերտու  
Տութպաց, –  
Տույետոտ,  
Տոնքնոտ,  
Տովյառուլոտ –  
նաճազլուանո...  
ոյ, րամ:  
Թենամես,  
Թենօլացե,  
Թասենունեծ, –  
ոյ, Յոնմե,  
Թովյառս –  
Տյալմիւնոն ճա...  
Գյալմիւնոն  
աճամիւնո...  
**24. V. 2020**

**ՑՈՒՐՑՈՒՆԻ...**

Տուցուելու Տարչացե:  
Յոն –  
Տույետոտ...  
Ճա... Յոն յո –  
Ցուցուտ, –  
Գյեժամինճից –  
ԱՅՈՎ, յարշուց  
Գյրունուց, –  
ՈՐՑՈՒՈՎ...  
ԱՐՏԵՎՈՒՆԵ, տյարմե,  
Բամցենոմե ՑՈՒՐՑՈՒՆԻՇ, –  
ունուտ...  
ՑԵ –  
Տովյառուլու  
ԱՅՈՒՆԻԵՎՈՒՆ, –  
Բատ Ռորոս,  
ՑՈՒՐՑՈՒՆԻ...  
**17. V. 2020**

**ՔՐԵԼՈ ՏԱՄՊԱՐՈ...**

ՔՐԵԼՈԱ, ԵՑՑՈԹ,  
ՏԱՄՊԱՐՈ, –  
ՑՐՑԵԼՈ,  
ՑՈՆ – ՑԹՐԵՋԸ Ցցացե,  
ՑՈՆ յո –  
ՑԹԱՑԵՑԵԼ,  
ԺՈՐԸ Ցցաց...  
ՇՈՂՈՐԸ ՏՈՒԾԱՑ  
ԸՆՈՐԸ Ցցաց –  
ՑԵԼՈԹ,  
ՏԱՆՁՈԸ ՌՈԹ ԾՅՈԹԸ,  
ՌՅԱՐԵԾ –  
ՑՈՂՈՂԸ...  
**29. IV. 2020**

**ՀԱ ԵՇՎԵԼԵՔՏ,**

**ՀՐ ՎՈՐԻ...  
ՏԱԼԵՑՄ ԿՈԼՈՉԵ**

ՏԱՆԱՑ ՎԵՐԱՐՈՒԹ?! –  
ԱՐ ՎՈՎՈ, ԵՎԵՊՆՈԸ ՇԱՄԱ  
ՑՐՈԱԼԸ?..  
Տալես –  
Գալրուծլուլս ճա...  
Ճանուլուլս, –  
Թիմերալս,  
Թինավլուլս,  
ՑԹՈՐԱԼԸ?..  
ԱՐՎ –  
յա՛՛՛ ՎՈՄԵՆՏ  
ԱՐՆԻՎՈԸ,  
ԱԼԱՐՎ –  
Ծյուլծուլու  
Ցուսա,  
ՀԱ ԵՇՎԵԼԵՔՏ, ԱՐ ՎՈՎՈ, –  
Ճ ԵՆԴՈՏՈՎԵԼՍ,  
ՑՈԱԼԸ?!.  
**28. IV. 2012**

**ԳՐՈՒՍ ՀԱՐԱԳԲԱ...**

ՈՎԵԼԵՔՏ, ՑՈՂՑԵՐ, –  
ԵՎԵՊՆԱԾ,  
ՑԵՎՈ ճա...  
ԳՐՈՒՍ ԺԱՐ-ԵՎՈՄԱՎ,  
ՇՆԾԱՏ:  
ՏԱԳՈՏՈ ԱՃԱՑՈՆՈՆ –  
ՏՄՐՈՎՈԼՈ, –





ოლონდ...  
არ გაგიკვირდეთ,  
რომ მონათლონ –  
კოლო არწივად,  
თვითონ, თუ, ნებავთ,  
მაშინ, არწივს  
ნათლავენ –  
კოლოდ...  
**30. IV. 2012**

მხოლოდ:

ოჯჩერა?!

ნატვრა?!

ზღაპარი?!

ვინ?!.. და...  
ვის მისცა –  
ქრთამის უფლება?!..  
ვინ ძალმომრეობს –  
განძით, –  
ნაპარით?!..  
დემოკრატიაც,  
თავისუფლებაც,  
მხოლოდ:  
ოცნება?!..  
ნატვრა?!.  
ზღაპარი?!.  
**29. IV. 2012**

არარაობა...

გულს –  
სიყვარულის,  
როცა –  
მიწვავს მზე,  
სხივს ვანთებ –  
სულშიც,  
არა – რაობას?!..  
უსიყვარულოდ –  
სუნთქავს, –  
მიწაზე,  
მე დავარქემედი:  
არარაობას...  
**30. IV. 2020**

ახალი –

სამყარო...

დღეს გვინდა:  
სიბრძნეც,  
აზრიც –  
მშვენი და...

ვინ – მზის  
ფრაზას წერს!!!..  
ვინ – მზის  
ფრაზას შლის?!..  
ვფიქრობ, –  
სამყარო –  
ახლა,  
შევიდა:  
სიკვდილ-სიცოცხლის –  
ახალ,  
ფაზაში...

**30. IV. 2020**

გზის წყებას,  
ვლოცავ სამზეოს:  
ძეთ და  
ასულთა...  
რაღაც სამყარო,  
თითქოს,  
დასრულდა,  
რაღაც, ახალი,  
უკვე,  
იწყება...  
**29. IV. 2020**

დრო განსაკის –  
უფრო,  
უმართლესად...

დრო –  
არვის არჩევს:  
ვინ – რა ერის,  
არის – რა რჯულის?..  
და... განა, ის არს –  
უფლის ხვითო,  
ვინც ნადიმს  
მართავს?!.  
დრო არის:  
უფრო,  
ჭეშმარიტი, –  
ნალდი მსაჯული,  
დრო განსჯის –  
უფრო,

უმართლესად, –  
მტყუანს და  
მართაოს...  
**23. IV. 2020**

გულით მგონია...

უსიყვარულოდ –  
მიწყივ,  
ვინ ფასობს?!.  
ფიქრს –  
მარადისი ფიქრი  
ერთვიან...  
გულით მგონია –  
ნატვრავ,  
ძვირფასო,  
სიყვარული და...  
ღმერთი –  
ერთია...  
**12. IV. 2020**

სიკვდილს, –  
ქოქოლა –  
ვაყარო,  
სულო,  
მზის სხივით  
აცრილო,  
მივძრა და...  
მოვძრა –  
სამყარო,  
სიკეთის ცხრილით  
გაგცხრილო...  
**28. IV. 2020**

ვლორვ...  
ბედნიერების  
ვეძებთ –

**კულტურული კონკრეტულობების  
თავთავის  
რაიონული  
ცდა?!**

ზემოთ – მთა და...  
აქვე – ბარი...  
სამოთხეა, –  
სასწაულად,  
სახოტბო და  
საქებარი...

არსით,  
მიზნით –  
ბნელიკო,  
სიბრძნის,  
სიკეთის დღეთა  
მწველიკო...  
**12. V. 2020**

გონებამ, გრძნობამ,  
სასოფლო რომ –  
ფიქრი დაიგის,  
უსაზღვრო როა,  
ზე – უჩინი,  
ცოტა კი –  
ჩენით...  
სხვა სხეულებთან, –  
ზე-კოსმოსის –  
ვრცელი ტაიგის,  
პანაზინტელა გახლავთ  
მათან  
პლანეტა –  
ჩვენი...

### მიყვანა...

გულებში, ვინაც  
ბინას  
იკეთებს,  
და... ჰეავს –  
ლაუგარდს და...  
მდიდარ აისებს...  
ადამიანში მიყვარს:  
სიკეთე,  
სიყვარული და...  
სიდარბაისლე...  
**25. IV. 2020**

#### P.S.

უფლის წყალობით,  
რაც გვაქვს მინა,  
ძმაო და  
დაო,  
უნდა ვიკმაროთ –  
თავთავისი, –  
რაისთვის  
ვდაობთ?!..  
**20. IV. 2020**

### ზოგჯერ...

მწამს, – ცოდნით,  
ვინაც:  
მოკლა – ზენე-სვავი,  
მოკლა – უკუნი,  
და... ჰეავს –  
მზის სიცილს...  
ზოგჯერ, –  
მგონია:  
სოკრატესავით,  
არაფერი, რომ –  
ვიცი,  
ის ვიცი...  
**24. IV. 2020**

**სამოთხეა, –  
სასწაულად...  
ამ მზეგანცდებს  
სად ნაუვალ?! –**

### დემოკრატიის

შირმით, –  
მთავარი...  
მზე –  
ხალხისთვის, რომ  
დაიღრუბლების,  
ქრება ნათელი, –  
სხივის  
თალარი...  
დემოკრატიის,  
თავისუფლების –  
შირმით,  
ხვეჭაა, ახლა,  
მთავარი...  
**25. IV. 2020**

მძლის და...  
მანრისხებს:

„ვლადიც“,  
ველიკოც“, –  
დათვიც,  
ფოცხვერიც,  
მგელიც,  
მელიკოც, –  
სულით და...

**პორტურეტი –  
ორი...**

ვინ –  
მერმისია, –  
მარადისი,  
მისანი,  
მოგვი,  
სიმბოლო:  
სულის –  
სიდიადის,  
სიკეთის,  
ხოლო,  
ვინ კი –  
ფრიალებს  
და...  
ფაფხურობს, –  
ფუტურო –  
ზოგი,  
ქარია,  
ბუქი,  
ნაცრის მფვერის –  
ტრიალი, –  
მხოლოდ...

#### P.S.

აი, ეს არის:  
პირუთვნელი,  
პორტურეტი –  
ორი, –  
და...  
თქვენ განსაჯეთ, –  
მართალია,  
თუ –  
ცრუ და...  
ჭორი?..  
**14. V. 2020**

### მიყვანა...

მიყვარს კოსმოსის –  
სივრცე და...  
სიბრტყე,  
მზისებრ: კისკისიც,  
კოცნის –





**სულელური  
სასწაულები...**

აბორგდა სისხლი, –  
ვეღარ უძლებს –  
გული და  
ვენა,  
წერტილი არ აქვს  
ბოროტებით,  
ნამს, – წაუვლები,  
რა ვთქვა?!..  
არ ვიცი?!.  
მჭევრმეტყველი  
დადუმდა –  
ენა,  
სავსეა –  
სივრცე, –  
სულელური  
სასწაულებით...

**P.S.**

სატანას,  
ეშმაკს,  
ქაჯს ეძლევა –  
დავის უფლება,  
მართალს – საკანი,  
ბოროტებას – თავისუფლება...  
არეულია მონასტერი  
და... ისე, –  
ერთობ,  
სასონარკვეთილს  
ნამომცდება:  
სადა ხარ,  
ლმერთო?!.  
**15. V. 2020**

**სიკავილზეს კი  
მეტად...**

გრძახავთ? – თხანი, –  
ცა-ქუდანი,

**4. IV. 2020**

ცათა თავანი?! –  
ფულურო,  
ფუკი,  
ჩუტი,  
ბლენძი,  
ბრექი და...  
ბრეტა?!.  
მძულა:  
მედიდური,  
ავარდნილი,  
ამპარტავანი,  
სიმართლე გითხრათ, –  
სიკვდილზეც კი,  
უფრორე, –  
მეტად...  
**14. V. 2020**

**მზეჩაუკვალი**  
**კატერენერის –**  
**ქალით, –**  
**ფირფით...**  
სხივსტრიქონებით  
გადავხანძრე –  
სულთა  
წყვდიადი,  
ვეცადე –  
დროის ბეწვის ხიდზე,  
მევლი კაცურად...  
მზეჩაუკვალი კატრენერის  
ქალით, –  
დიადით,  
ბოსფორს,  
გიბრალტარს  
და... ლამანშაც –  
ნამში გავცურავ...  
**2. V. 2020**

**ახე მგონია...**  
დრომ, მზისქვეშეთში,  
გულის თვალი –  
რამდენს  
აუბა?!.  
არ იცის ვინაც:  
გრძნობის,  
განცდის,  
გაგების  
არსი...  
სიყვარულზე, რომ...  
იწყებს – ზოგი:  
სიტყვით

საუპარს,  
ასე მგონია:  
თვით, სიყვარულს  
უქრება –  
ფასი...  
**5. V. 2020**

**ზოლოს...**

ბედნიერების –  
ზე-მწვერვალზე,  
თქვით, ვინ –  
ავიდა?!.  
ვართ –  
კმაყოფილი, –  
ნახევრამდეც,  
თუკი,  
ავივლით...  
ვართ –  
ჰერკულესი, –  
რწმენით,  
ქალით,  
სავსე, –  
თავიდან...  
ბოლოს კი –  
ვჭერებით,  
როგორც, –  
მთის და...  
მინდვრის –  
ყვავილი...  
**4. V. 2020**

**არწ, ერთი –  
ნამი...**

რა მოგვდის, ხოლმე?! –  
ზე-სვლის ნაცვლად,  
ვეშვებით –  
რამდე?!.  
ერთხელ მოვდივართ, –  
უფლის ნებით,  
დაო და  
ქამი...  
განა, სიკეთეს –  
რამდენს ვთესავთ?!.  
და... ვცოცხლობთ –  
რამდენს?!.  
არ უნდა ვკარგოთ  
სიყვარულის:  
არც, ერთი –  
ნამი...  
**7. IV. 2020**



## სიურქზლეს ვფიჩა

სიკეთის სხივმა  
უკუნი ცრიცა, –  
საწუთო არის:  
ავ-კარგის ბრძოლის...  
ასჯერ მკვდარია, –  
სიცოცხლეს ვფიცავ,  
ცოცხალი მკვდარი,  
ცოცხალი მძორი...

**26. IV. 2020**

## როგორ – სიურქზლე და... უკვდავება...

უბელურება –  
შუღლის  
გვტირს ვნებით;  
სიბრძნე –  
სიკვდილსაც  
გაუმკლავდება...  
ჩვენ –  
ამ პლანეტას  
სიბრძნით  
ვჭირდებით,  
როგორც – სიცოცხლე  
და... უკვდავება...

**10. IV. 2020**

## როგორ ჩანს, ლმეროო...

დღეს, ვინ, –  
ვინ არის,  
ვინ, რით,  
ალავს დროს?..  
შესაცნობია:  
არ-რით,  
არ რთული...  
როგორ ჩანს,  
ლმერთო,  
როგორც –  
არასდროს,  
ვისაც –  
არა აქვს:  
სული, –  
ქართული...

**1. IV. 2020**

ჰკვიანზე –  
უფრო,  
უჭკვიანესი...

ხამს, – ყო –  
მტრისთვის,  
ძვალი – უძლესი,  
ვითარ – მზემ,  
სხივთა  
ჭურჭლით ლამე სვი...  
ქვეყნისთვის:  
ბრძენი,  
ბრძენზეც უბრძნესი,  
ჰკვიანზე –  
უფრო,  
უჭკვიანესი...  
**28. IV. 2020**

## არჩევანი...

შვებაა, სადაც,  
სილალეც –  
იქ დის,  
ვესწრაფვი:  
სულის სილალის  
მინდვრებს...  
მე –  
არჩევანში,  
ავირჩევ –  
სიკვდილს,  
აფერას,  
ლალატს,  
და...  
ჩაგვრას, –  
ვიდრე...  
**27. IV. 2020**

## ვითარ – უფროი...

სვლა: ბანარგზაზე,  
ვინ თქვა –  
ადვილი?!.  
თან, როცა დროა:  
დღეთა –  
მქუფრალი...  
ასე მგონია:  
შენ ხარ –  
ნამდვილი, –  
გულთა მხილავი,

ვითარ –  
უფალი...  
**28. IV. 2020**

## ავსული...

ზოგს უყვარს –  
სხვისი გულის  
კივილი,  
ზედ,  
ჭრილობაზეც,  
განავარდება...  
ავსულს, –  
მონატრულს –  
სხვისი  
ტკივილის,  
დრო დაუბრუნებს  
განა – ვარდებად?!..  
**27. IV. 2020**

## არვის დაჭოვებს – დაუსკელოად: დონორ და... უფროის...

ვინც –  
სხვას ბინდავდა,  
დრომ ის,  
თვითონ:  
თარსა... დაბინდა...  
ბინდმა –  
ვერ უხმლის  
და... ვერც –  
ტახტის ფარმა  
უფარის...  
ვინც –  
რა შესცოდა,  
ან, – შესცოდავს, –  
დასაბამიდან,  
არვის დატოვებს –  
დაუსჯელად:  
დროც და...  
უფალიც...  
**27. IV. 2020**

## მოთქმა...

ხალხურ მოტივზე  
ვინ მნახავს –

29

ოლქ. №3, 2020





## ფერია...

სალხური მოტივის  
რემინისცენცია

მზეს მოასხვებ,  
როცა ხსნი –  
წამწამთ,  
მიზანს კი –  
მორცხვად,  
მალავ, ფერია...  
ჯერ, –  
ცეცხლს:  
დამინთებ,  
დამნაცრავ,  
დამწვავ...  
და... მერე,  
ვითომ,  
არაფერია...

**2. VI. 2020**

## სიყვარული...

უნდა ახსოვდეს:  
ყველას,  
ყველას,  
ყოველთვის –  
ერთი, –  
ვინ –  
„სიყვარულით“  
თამაშობს და...  
მხოლოდ,  
ერთობა...  
სიყვარულია:  
სიცოცხლე და...  
წყალობა –  
ღმერთის...  
სიყვარულია:  
ფიქრის,  
გულის,  
სულის –  
ერთობა...  
**29. V. 2020**

ველად  
გაჭრილსა?!..  
გამდუღრულს, –  
განა – მტირალსა?!..  
სიყვარულისგან –  
დაჭრილსა,  
დამწვარს და...  
განაწირალსა?!..  
**5. V. 2020**

არ უნდა იყოს –  
არჩევად,  
ფაფანი...  
რატომ მომრავლდნენ:  
სულით –  
ბრმა ჭანი?!..  
ხალხთა –  
დამქცევთა,  
მკვლელთა,  
მწერავთა?!..  
არ უნდა იყოს –  
არსად,  
ჭაჭანი:  
პოლიტ...  
მეძავთა,  
ტელე...  
მეძავთა...  
**P.S.**

დემოკრატიის:  
სარმით,  
სახელით,  
ვინაც გვიბრმავებს –  
თვალებს, –  
ახელილს?!..  
**31. V. 2020**

ჟაერჭალი –  
კანამ?!

ამ პლანეტაზე –  
სიბრძნის,  
სიკეთის  
და... სიყვარულის  
რად არ სცრის  
ცა – ნამს?!..  
დემოკრატიის სპექტაკლი –  
სანამ?!..  
თავისუფლების სპექტაკლი –  
სანამ?!  
**2. VI. 2020**

განა, – პარტია?! –  
ჰოგი...

ნახირია და...  
ჯოგი, –  
ხალხს, ვინაც  
სისხლით  
ბანდა...

განა, – პარტია?! –  
ზოგი,  
არის –  
ნამდვილი,  
ბანდა...

მიკვირცა...  
მარცება...

მთას, ხან, –  
მზე ჰელიკონის,  
ბარად – ნისლია,  
წლებიც –  
ავ-კარგის  
ღადარს იცვლიან...  
სიმართლის  
მზე, რომ –  
მარადისია,  
მიკვირს,  
მაოცეპს, –  
რად არ იციან?!

**3. VI. 2020**

## რამდენჭერ?!

ზეცას –  
ცხოვრების,  
ალარ გვინთებს მზე,  
შენ კი –  
როდემდე:  
ღამის პიარო?!

კუპრის ზღვაზე და...

ბენვის ხიდებზე –

განა,

რამდენჯერ,

უნდა ვაროთ?!

**16. III. 2020**

ჰერ, –  
არ ყოფილა,  
არე არის და...  
არე ხვალ იქნება...

სიცოცხლე გვინდა:  
ღამაზ საქმედ,  
ღამაზ ფიქრებად...  
მაგრამ...  
არიან –  
სიყვარულის



დღეთა ვინ მტრებად?!...  
ჯერ, –  
არ ყოფილა,  
არც არის და...  
არც ხვალ იქნება:  
ვინე, –  
გაექცეს,  
დაემალოს  
ჭეშმარიტებას...  
**13. III. 2020**

## მტვერი...

მტვერი – სიტყვის:  
თავზე – რქებად, –  
ლექსნახლართი –  
ცხრაჯურისი...  
მტვერი...  
მტვერი – ქება,  
მაგრამ...  
აზრი?  
საჭურისი...  
**12. III. 2020**

## უნდა იქოდე...

გამოიყენო უნდა:  
სიბრძნე, –  
ხვალის ჭოგრიტად...  
და... თქვა:  
შორს – ჩემგან, –  
ავო, საქმევ,  
ავო,  
ავთვალო...  
იცოდე უნდა:  
ხვალის საქმე –  
რა, რას მოგიტანს?..  
სუყველა საქმე  
სიკეთეზე უნდა –  
გათვალო...  
**9. III. 2020**

თავს დავივიწყებ,  
მაგრამ...  
შენ – არა...  
  
უსიყვარულოდ –  
სუნთქვაც არ მწამს  
და... ან, ვინ ფასობს?!..  
უსიყვარულოდ, –

განცდამ გულიც  
ეკლით  
შენარა...  
გულმავიწყობა  
თუ, დამჩემდა,  
ჩემო ძვირფასო,  
თავს დავივიწყებ, –  
უნინარეს,  
მაგრამ...  
შენ – არა...  
**2. V. 2020**

## მე, რაჯ მაკვირვერზ და... მაოსუშს...

დამემონმება:  
ბახტრიონიც,  
ხერთვისიც,  
თმოგვიც, –  
ვინ –  
ვის სწყალობს და...  
ეფარება –  
თავსახურებად...  
ნობელიანტი –  
მე –  
მაკვირვებს,  
მაოცებს, –  
ზოგი...  
და...  
უნობელო –  
ზედიადი  
დამსახურებაც...  
**2. V. 2020**

## ნეტავ, – სადა ხარ?!

როგორ ჭრელია, –  
ირგვლივ,  
სამყარო,  
ბედნიერების  
ვის თვლის  
მზე – ღირსად?!..  
ნეტავ,  
სადა ხარ,  
ბედის –  
მაყარო?..  
მაშულს –  
შვება, რომ  
ალარ  
ელირსა?!.  
**2. V. 2020**

## მგონია...

ვპრეფ –  
სიყვარულის სხივებს, –  
წინდანინ,  
უსიყვარულო  
დარი ვის ნებავს?!..  
როდესაც –  
გულის თვალთა  
ნვიმა წვიმს,  
მგონია –  
ცა, სულ,  
დაინისლება...  
**3. V. 2020**

31



## ვერ გავეძერო – ვერა გზით...

ვერ გავეძერით, –  
ვერა გზით –  
დროს:  
ოხერსა და...  
ტიალსა...  
რაისთვის გვაჩვევს, –  
ვერაგი,  
ბედის უკუღმა  
ტრიალსა?!..  
**30. IV. 2020**

## პირველი მაისი...

ისევ მოფრინდა,  
როგორც –  
ფრინველი,  
ფიქრის,  
ოცნების  
მზეთა ყანებით, –  
მიყვარს მაისი, –  
უფრო,  
პირველი, –  
ვერცნი,  
ვლოცავ და...  
ვეთაყვანები...  
**2. V. 2020**

## ნორელის პრემია...\*

ნორელის პრემია, –  
დიადი პრემია,

ოლე, №3, 2020





არ გახდეს:  
უპრალო, –  
ძღვენად და...  
პრემიად...  
პრემია – მათ!,  
ვისაც,  
გულებთან  
მზე მიაქვთ,  
სიკეთის –  
მზე მიაქვთ,  
სიცოცხლის –  
მზე მიაქვთ...

P.S.

ნიჭი, –  
ნობელის –  
მადლითა და...  
სხივით იქსება,  
ნუ დავუკარგავთ:  
ამ მზეს,  
ამ სხივს –  
თავის ლირსებას...  
**28. IV. 2020**

\*სულითა და გულით ვულოცავ  
სახელოვან, ქეშმარიტ  
ნობელიანტებს, მაგრამ...  
ზოგ-ზოგის ნობელიანტობა  
მაოცებს, ზოგის – ნობელზე  
ნარდგენა, ხოლო, ზოგის –  
უნობელიანტობა...

### ამო იარა...

ჩემმა კატრენმა  
ოლიმპოზე  
ამოიარა,  
და... ორფეოსმაც –  
პოეზიის  
მე მცნო:  
ზე-ლირსად...  
დამაქვს:  
ამურის –  
ანთებული,  
ამო იარა...  
და...  
მზეჭრილობა  
გულის –  
გულში,  
მეგზნო,  
მელირსა...  
**5. IV. 2020**

### რაჭომ არი?!

საუკუნე არის –  
ნუთუ,  
ისევ, –  
ქვისა?!..  
ვინ – ერია,  
ვინ – ტომი,  
ან, –  
ნატომარი...  
უძირო აქვს  
ზოგ-ზოგ ველურს –  
ფულის  
ქისა...  
და...  
არ ჰყოფნის...  
რატომ არი?!

ვის – ვწების?!

მგელი, როდესაც  
ლაპარაკობს –  
ბეკეკას  
ენით,  
რისხვით –  
უსაზღვრო,  
უსასრულო  
რისხვით –  
ვივსები...  
**20. V. 2020**

**ალვინახესნილი  
დემოკრატია...\***

### ჰვრეჭა...

ადამიანი –  
ძნელად იცვლის  
სულის,  
იერსო,  
კითხულობს ოდით, –  
თუმცა, ყველა  
მოძღვართა წერილს...  
ხალხი, რომ –  
სიბრძნით,  
ზე-ავიდეს,  
ვითარ –  
იქსო,  
არა მგონია, –  
ეყოს –  
ერთი  
ათასი წელი...  
**21. V. 2020**

### რისხვით –

უსაზღვრო,  
უსაზრულო  
რისხვით –  
ვივსები...

როდი მოვედით, –  
დღემდე... ქვეყნის –  
სიკეთით,  
ლხენით?!..  
უსურვილესი  
სურვილი აქვს, –  
ისევ,

მზეს, როცა –  
ლამე  
შემოგრანტვია,  
ტოვებს გზას, –  
სულთა  
სასაფლაოსი...  
ალვინახესნილი  
დემოკრატია  
არის –  
გულ-გონით,  
ბრმათა ქაოსი...  
**20. V. 2020**

\*„დემოკრატია ტირანიის დედაა“.  
პლატონი

### არ მწამს...

ავადმყოფური –  
„მე“  
ჩემს სულში  
და... გულში  
არ ზის...  
და...  
უსამართლო მილიარდში  
არ გავცვლი –  
ნამწამს...  
მწამს პოლიტიკა:  
საგვირგვინოდ, –  
სიბრძნის და...  
აზრის...

კრიმინალური:  
მზარავს,  
მზაფრავს,  
მარისხებს,  
არ მწამს...  
**19. V. 2020**

ფიტული —

ჭიჭულით...

ნათლული არის:

ვინ — ლომის,

დათვის,

ვინ — მელაკუდის,

ხოლო,

ვინ — ტურის?!

მზის ქვეშ,

რამდენი არის —

ფიტული,

დაგვყურებს მაღლით:

ტახტით,

ტიტულით...

18. V. 2020

ჭირილი...

ფიქრმა ტკივილი

არ დამიამა,

ვარ:

ფიქრით,

დარდით —

ნადავლიანი...

მაკაკა იქცა —

ადამიანად?!

ხოლო,

მაკაკად —

ადამიანი?!

31. V. 2020

ფარატინა —

სიტყვების...

30. V. 2020

ახალი დრო...

ავი სიავეს —

ვერ თმობს,

ღვთიურს —

ვერ ვხედავთ

სამ სვეს...

სამყარო გახდა,

ღმერთო,

მორიელებით

სავსე...

30. V. 2020

33



მაგრამ...

რამდენი კვდება

ათასჯერ?!

ველტვით —

სიკეთის

მთათა ცვარ-ნიავს,

გვინდა, რომ —

შევწვდეთ

მზეს და...

ცათა ჭერს...

ერთხელ სიკვდილიც

დასანანია,

მაგრამ...

რამდენი კვდება —

ათასჯერ?!

8. IV. 2020

სიკვდილზე

მძიმე...

შევთხოვ: უფალს და...

ლამეს, —

ნაცისკრალს,

ჯალათს უქციოს:

ძილიც — წამებად...

ხომ, —

დიდი ცოდვა

არის —

კაცის კვლა?..

უფრო მძიმეა —

ცილისნამება...

მიზანი, —

ხალხ...

ცხრა მზევ,

ცხრა მითვარევ,

ცხრა ვარსკვლავო,

ცხრაჯერ,

ცხრა თვალო,

ვინ, კარგს —

ავად და...

უკუღმართი

ხედავს

ავს — კარგად...

მითხარი,

ხალხო:

ის — ცოცხლებში

ვითარ

ჩავთვალო?!

მაღლიერების გრძნობა

ქვეყნად,

ვინაც —

დაკარგა?!

14. III. 2020

ვარ მტერი და...

უმტერესი...

ვინ —

მტვერია, —

უმტვერესი,

ზღაპრებს

საქმედ —

ვინც ჰყვების...

ვარ:

მტერი და...

უმტერესიც

ზოგნი — ვმაღლდებით,

ზოგნი — ვდაბლდებით,

ხვალ —

რა იქნება, —

მზის ქვეშ,

ნეტავი?!

გაქრენენ —

„მე ვარ და...

ჩემი ნაბდები“...

ბევრი გაქრება —

რკინის

მკვნეტავიც...

2. VI. 2020

ოლქ. №3, 2020





## შნელა, მაგრამ... ვხედავთ...

მზეშიც, თითქოს,  
უკუნია,  
ხან კი –  
ელავს,  
ჰგავს ეპოქა –  
ცხენწაქცეულ  
მხედარს...  
პლანეტაზე –  
დღეს,  
რაც ხდება,  
განა, –  
ბნელა?!..  
უფრო სწორად,  
ბნელა, მაგრამ...  
ვხედავთ...  
23. V. 2020

## ხომ, გვახსოვა...

ხომ, გვახსოვს, –  
იყვნენ მათვის  
სამტრონი,  
სულს,  
ვინც უძლვნიდა:  
სიწმინდის –  
ცა-მზეს...  
ვის, კი,  
მამონას ხიბლით, –  
პატრონი –  
ნაგავსაც,  
სადმე დასვამდა, –  
სკამზე...  
26. V. 2020

## არ მწამს...

არ მწამს –  
ქვეყანა:  
ლამე,  
უმზეო,  
არც – ულაშვარდო...  
და... არც –  
უდაბნო...  
არც –  
უსულ-გულო...  
და... არც –  
უზნეო,  
არც –  
უგვირგვინო...  
და... არც –  
უდაფნო...  
26. V. 2020

## თუ...

ლაშვარდში –  
ღრუბელს  
ალავს მზე, – მიმო...  
უსხივოდ,  
გულშიც  
გვივლის ლანდები...  
თუ, –  
სიყვარული  
არა ზემობს,  
ნულია –  
მაშინ,  
მილიარდებიც...  
27. V. 2020

## წამის –

## წამერჩით...

უშენოდ, –  
წამიც  
წამებით მიქრის,  
დავხანძრე გული –  
დარდის კოცებით...  
შენთან ვარ –  
მხოლოდ,  
შორიდან ფიქრით,  
შენთან ვარ –  
მხოლოდ,  
შორი ოცნებით...

## მაორებს,

## მზაფრავს...

გაუტანლობას,  
აესულობას,  
დრო – თავზე,  
გვაცრის...  
ფიქრის,  
ტკივილის,  
განცდის,  
დარდის,  
აფუშვი –  
აფრა...  
იქნება, –  
ერთი,  
აზრის ჩარჩოს  
გადასცდეს –  
კაცი,  
მაგრამ...  
მილეთი, –  
თვალაბმული,

მაოცებს,  
მზაფრავს...  
21. V. 2020

## რაჭომ?!

რამდენჯერ, –  
უცნაურ ფიქრებში  
ვერთვები, –  
მოვიწყენ წყვდიადით  
და... მზით ვარ –  
მხნედა...  
ჩვენ შორის, –  
მიწაზეც,  
მზეობენ –  
ღმერთები...  
მაგრამ... ჩვენ:  
რატომ ვერ,  
რატომ ვერ –  
ვხედავთ?!

28. V. 2020

## რაისოვის?!

გონიერთ – სიკეთე,  
ყოველთვის,  
მზით ეპა,  
ქერქეტებით კი –  
ბევრჯერ ვართ  
მწყრალი...  
სულელებს  
რაისთვის დავუწყოთ  
მტკიცება?! –  
არ ინაყებაო,  
რადგანაც –  
წყალი...  
28. V. 2020

## როგორ –

## სიმბოლო...

ვინ – პირველია,  
ხოლო,  
ვინ – ბოლო, –  
ზე-სიყვარულის  
დიდი მადლისა...  
შენა ხარ, ჩემთვის:  
როგორც –  
სიმბოლო, –  
სულის მზისა და...  
სიდიდისა...  
3. VI. 2020



ძნელია, –  
ეგზომ...

იცვლება, როცა –  
ხალხი და...  
დროცა,  
არწივობს, როცა –  
ყიყინა  
ბატი,  
ძნელია, –  
ეგზომ,  
დრო, არის,  
როცა –  
მზის სიდიადე  
ფასია –  
პანტის...  
**5. VI. 2020**

თუ, არის  
ახლავუ?!

მრავალჯერ –  
მითქვამს, –  
თუ, არის –  
ახლაც?  
რომ იტაცებდნენ  
ცხოვრების –  
ტაბლას...  
დაბალი იჯდა –  
კუთვნილზე,  
მაღლა...  
მაღლა იჯდა –  
კუთვნილზე,  
დაბლა...  
**5. VI. 2020**

მიყვარს შენი:  
ჟყვლის –  
ხაჭი...

გამძლევ დროის:  
ყინვის,  
ხვატის...  
რწმენის,  
სიბრძნის –  
მალე მგვრელო...  
მიყვარს შენი:  
სულის –  
ხატი,  
წამებულო,  
სამეგრელო...

იმ დროს –  
ვნაცრობ...  
იმ დროს –

ვნაცრობ,  
არ იქნება:  
შური,  
შული,  
სადაც – ერთიც, –  
სატურეთი,  
სამელეთი,  
სამგლეთი და  
სადათვეთი...  
**16. III. 2020**

არ –  
ერთი წამით...

სიკეთით,  
სიბრძნით  
მინათდება –  
სამყაროს ცა მით...  
ელვარებს უფრო,  
მზეობს უფრო –  
სიცოცხლის მინაც...  
სიცოცხლის ლირსად  
არავინ მწამს, –  
არც –  
ერთი წამით,  
მამულზე,  
ხალხზე –  
გულმდუღარე,  
არ ფიქრობს, ვინაც...  
**16. III. 2020**

გინახავთ, –  
ალბათ...

თქვენც, ცხოვრებაში,  
გინახავთ, –  
ალბათ,  
ზოგი, რომ ითხოვს –  
არკუთვნილ  
პატივს...  
ვარდობენ ვარდზეც:  
ძურწა და...  
ბალბა,  
ხოლო, – არწივობს –  
ბატური  
ბატი...  
**15. III. 2020**

რაად ვაბუქეთ?!

ვით, – ანარეკლი  
ძველი –  
მონეტის,  
ხან, – მახსენდება  
ძველი დრო, –  
ახლაც...  
რაად ვაბუქეთ:  
ზოგი,  
პოეტი?!..  
რაიც არ არის,  
რად ვიცით –  
ხანხვლა?!..  
**13. III. 2020**

35



მფრინავი –  
ჭიქები და...  
თევზები...

ბახუსით... ზოგნი,  
ვხდებით, ისე,  
ვითარ –  
ჯიქები...  
ამოვიჩემებთ  
უაზრობას  
და... არ –  
ვეშვებით...  
მაშინ, – სუფრიდან,  
მიფრინავენ –  
თურმე,  
ჭიქები...  
მაშინ, – სუფრიდან,  
მიფრინავენ –  
თურმე,  
თევზებიც...  
**21. V. 2020**

ყველაზ იქოდეს...

ყველაზ იცოდეს:  
გრძნობს და...  
ხედავს  
აუგა, – ტყე-ველიც,  
ყველგან მისწვდება:  
გულის თვალიც,  
აზრის –  
მზის ხმალიც...  
მიუწვდომელი,  
დაფარული,  
გაურკვეველი,  
არსად დარჩება, –

ოლე, №3, 2020





არასოდეს,  
ერთი –  
მისხალიც...  
**18. V. 2020**

### ახლოაჯ...

ღირსება, ბევრმა,  
აქცია –  
დახლად,  
ზეიმობს –  
ზეობს –  
საქმით, –  
მზაკვრულით...  
და... რამდენი კი,  
კვლავ, არის, –  
ახლაც;  
ღირსებისათვის –  
ჯვარზე  
გაკრული...  
**18. V. 2020**

### ვიური...

წუთისოფელი  
ჭრელი არის –  
მზისაც და...  
ქვისაც, –  
ავსაც და კარგსაც,  
დასაპამით,  
აქვთ, ხოლმე,  
რიგი...  
შენ, ვერ იმეტებ –  
გასაწირად,  
სულმდაბალს, –  
ვისაც,  
დედას გიტირებს, –  
ვიცი –  
ცოცხლად დაგმარხავს, –  
იგი...  
**13. VI. 2020**

### სამი მზე...

ამ ფიქრს ვატარებ:  
ულევს, – ალერსით,  
უძლური არის –  
სათქმელად,  
ენაც...  
მე მწამს –  
მზე, ვითარ,  
უზენაესი:

ზესიყვარული,  
სიცოცხლე,  
რწმენა...  
**14. VI. 2020**

### კავკარიორბა საით მიღის?!

კაცობრიობა  
საით მიღის?!.  
ფიქრს ფიქრი –  
ერთვის,  
ტკივილი – ტკივილს,  
განცდა – განცდას,  
დარდს – დარდი  
ახლავს...  
თუ, ადრე იყო –  
ალეკონე\*, –  
სირცხვილი –  
ერთი,  
დედამიწაზე –  
ვითარ ჭირი,  
გამრავლდა, –  
ახლა...  
**12. VI. 2020**

### ფლეს – სინამდვილე, აი, ეს არი...

ვის აქვს –  
ზეობა?!..  
ვის – ხმა, –  
მკვნესარი?! –  
ვათ,  
ვაგლახით,  
თავს ქვას –  
ახლიან...  
დღეს –  
სინამდვილე,  
აი,  
ეს არი:  
რომ...  
ეს, პლანეტა,  
ერთი –  
სახლია...  
**15. VI. 2020**

### ვფიურვ...

ვფიცავ –  
სიყვარულს, –  
სხივით  
სვესამით,  
ამ ცას –  
ვარსკვლავთა  
ნამწამებიანს,  
მავსებს –  
მზესავით,  
ასე –  
შენსავით,  
არვინ,  
აროდეს,  
არ მწამებია...  
**14. VI. 2020**

### მგონია – ასე...

სიკეთე ხალხის –  
მზესავით,  
მავსებს,  
უკეთურობა –  
მტკიცა და...  
მრცხვენის...  
სიმართლე  
რომ ვთქვა,  
მგონია –  
ასე:  
წინასწარ,  
უნდა შევკაზმო –  
ცხენი...  
**9. VI. 2010**

### მიყვარს...

ბუნება, – ჩემთვის,  
განცდაა –  
ლოცვის,  
სიცოცხლე –  
ზღაპრულ  
დღეთა უბნებად...  
მიყვარს:  
მზე, როცა –  
შენსავით,  
მკოცნის,  
ხოლო,  
ნავი –  
მესაუბრება...  
**7. VI. 2020**



## თავდავიწყებით...

უძლური არის –  
სათქმელად,  
სიტყვაც,  
შენზე ფიქრებით  
ხან, – დავიწყები...  
მე –  
შენი სულის  
ჭურჭელი  
მიყვარს, –  
ვნების ცეცხლით და...  
თავდავიწყებით...  
**16. VI. 2020**

## ეჭირა ყველას –

ყოფა და...  
დედა...

ცხოვრება  
ვინ თქვა –  
ვარდივით შლილი?..  
ხან, – თუ –  
ლხინია,  
ხან, – არის –  
ბნედა...  
ვინც –  
ხელისგულზე  
დაისვა შვილი,  
ეტირა ყველას –  
ყოფაც და...  
დედაც...  
**17. VI. 2020**

უნდა – ამოვნვათ,  
უნდა – ვპანთოთ,  
უნდა – ნავპალოთ...  
**3. V. 2020**

## ყველაზე, უფრო, დიდი გამოწვდა...

რამდენი, დღესაც,  
ქვის ეპოქას –  
ვერ-რით  
გამოსცდა, –  
ვინ – ქაგულაა,  
ვინ – მზეგულა, –  
სხივად  
მფინარი...  
გაჭირვებაა –  
თურმე, უფრო,  
დიდი  
გამოცდა, –  
ყველაზე უკეთ,  
მაშინა ჩანს:  
ვინაც,  
ვინ არი...  
**2. V. 2020**

## ქრება – ლირსერა...

სული და...  
გული –  
ჭუჭყით ივსება, –  
რაა – ზნეობა?!..  
რაა – მორალი?!..  
ქრება – სინდისა,  
ქრება – ლირსება, –  
ნაფერები და...  
ნამპორალი...  
**16. VI. 2020**

## ასე ფიქრობს ჰქუით, – მქრალით...

ასე ფიქრობს  
ჭკუით, –  
მქრალით:  
თათა,  
დათა, მაშო, –  
საცოლეა –  
ზოგი, –  
ქალი,  
ზოგი –  
სათამაშო...  
**23. V. 2020**

## სანამ?!

თავისუფლებად –  
გადმოგდებულ ანკესა  
წავებით,  
ჩვენ თაგს,  
თვითონ, რომ –  
არ ვიყუდნებთ,  
ხომ არის –  
ახი?!..  
წელია, უკვე, –  
ოცდაათი:  
გვემის,  
წამების,  
თაგს, სანამ,  
უნდა ვიტყუებდეთ, –  
უპრძნესი  
ხალხი?!.  
**23. V. 2020**

## ადამიანები

არ იყვნენ –  
ისინი...

ოდიდან... ხსოვნაში,  
ავ-კარგი –  
მარად ძლებს, –  
ჩვენც გვახსოვს:  
საქმეს ვინც  
მართავდნენ –  
სისინით...  
ზოგ-ზოგნი,  
რომ ფლობდნენ:  
სკამებს და...  
სავარძლებს,  
ადამიანები  
არ იყვნენ –  
ისინი...  
**24. V. 2020**

## ზეფნიერება...

და... უზეფურება...

ადამის მოდგმას  
თუ, რამ, ღუპავს,  
ქვესული, –  
მრუმე...  
თვალებს, რომ ვახელთ  
და... მზეს ვხედავთ,  
ბუ გვემდურება...  
ბედნიერება –  
არცოდნაა, –





ხანდახან,  
თურმე...  
ცოდნა,  
სიწრფელე  
და... სიმართლე –  
უბედურება...  
**25. V. 2020**

## მუსიკით მზეობს – ლექსი...

ვით ლექსობს –  
პროზის  
პოზა?!..  
ლვინოდ ვით აქცევს  
ლექს ის?!..  
ურითმო არის –  
პროზა,\*  
მუსიკით მზეობს  
ლექსი...  
**24. VI. 2020**

ლექსში ემოციური მუხტისათვის,  
ერთ-ერთი, მთავარია:  
მელოდია, რითმა, დანარჩენი –  
ლიტერატურა (პროზა)  
პოლ ვალერი

„ურითმო არის – პროზა“...  
ოთარ მამფორია

„პოეზია, ურითმოდ, არ  
არსებობს“...  
გურამ დორიანაშვილი

## თუ, არ ჰყავდა – პატრონი...

ასე იყო:  
სამზაკვრეთი,  
სატანური, –  
სამტრონი,  
შლიდნენ მიჯრით  
და... აქრობდნენ  
ქართულ სულს და...  
იერსო,  
მზეც –  
მზე, ვითომ,  
არ იყო და...  
თუ, არ ჰყავდა –  
პატრონი,  
ხედავდნენ და...  
ვერ ხედავდნენ, –

ყოფილიყო –  
იესოც?!..  
**23. VI. 2020**

## ზედიადი – ადამიანი...

რომ ვიყოთ:  
სულით,  
მზესიკეთით,  
დიადი, –  
მზისებრ,  
ზესიყვრულით  
და ზესიბრძნით  
ნადავლიანი,  
არაფერია, –  
დასაბამით,  
დიადი, –  
ისე,  
როგორც –  
მართალი, –  
ზედიადი –  
ადამიანი...  
**18. VI. 2020**

## ვშუოთავ, ვკახიროზ, ვერ ვწერები...

გაფრინდნენ წლები, –  
რა მალე?! –  
ვითარცა –  
მალი  
მერცხლები...  
დღეს –  
ალარ მჯერა, –  
ბევრი რამ,  
რაც, ადრე –  
მწამდა,  
მჯეროდა...  
ვალაგებ,  
ვლელავ,  
ვინთები,  
ვშუოთავ,  
ვჯახირობ,  
ვერ ვცხრები,  
სამზეოს –  
სიბრძნით ვუცურებ,  
განა, – სიბეცის  
ჩეროდან?!.  
**22. VI. 2020**

## ათასკურ მითქვამს...

ათასჯერ მითქვამს, –  
მდაბლად,  
განა –  
ნაღარით,  
ბუკით? –  
ნაღვნი, ვისაც –  
საძრახისი,  
ვუმტვერეთ,  
ვუქეთ...  
ვის უნდა:  
სიტყვა, –  
ფარატინა?! –  
ბაქი და...  
ბუქ?!.  
როდესაც –  
საქმე ლაპარაკობს, –  
ყველაზე,  
უკეთ...  
**22. VI. 2020**

## ფავერით – რამდე?!

ვიყავით – რანი?!..  
დავეცით – რამდე?!..  
გზას ვუთმობთ:  
მხვეჭელ,  
ცანცარ-ბრექიებს?!..  
დღეს, –  
პარლამენტშიც,  
იხილავთ, რამდენს –  
ნურბელებსა და...  
ნაცარქექიებს?!..  
**12. VIII. 2020**

## განვრთნილი მხერი...

მამააპრამის  
ბატკნობს, –  
ზოგი, –  
ჩამდენი ცოდვის,  
სურთ –  
საბნელეთი  
და... არ ნებავთ:  
ნათელი, –  
მზე – ცის?!..  
თუმც, –  
საუკუნე არის:  
ტელე,  
ნიგნის და... ცოდნის,



პოლიტბაზარში  
გამოიწვრთნა  
რამდენი –  
მხეცი?!..  
**22. VI. 2020**

## იფრთხილე...

შენ, რომ დარგე,  
მოყვარე ჭრის:  
იმ ვაშლებს და...  
იმ თხილებს...  
ნიღბიანის  
შეცნობა ჭირს, –  
ენდე, მაგრამ...  
იფრთხილე...  
**22. VI. 2020**

## რაიგ კი ვიშვი...

რაიც კი ვიშვი,  
და... მინაზე,  
რაიც –  
ვიმკვიდრე,  
ვლელავდი,  
ვწუხდი,  
ვიმდულარე,  
ვინც, რამე,  
სცოდა...  
ზოგი, თუ, იხვეჭს:  
მიწებს,  
ქვეყნებს,  
განძს და...  
სიმდიდრეს,  
მე –  
ზესიყვარულს,  
რწმენას,  
სიბრძნეს,  
იმედს და...  
ცოდნას...  
**20. VI. 2020**

პოეზია –  
ბუუტურია  
განა?!..  
პოეზია –  
სალაროა, –  
სიბრძნის...

## P.S.

პოეზია უფარიათ,  
რწმენას,  
იმედს  
ტოვებს, – სვიანს...  
პოეზია უფალია,  
სულის მზეა –  
პოეზია...

**2. VI. 2020**

\*ენიგმა (ბერძნ.) გამოუცნობელი,  
ბურუსით, საიდუმლოებით  
მოცული...

## მიყვანს...

ცას –  
სიყვარულის  
სხივით ვფარავდი,  
სტრიქომი –  
სიტყვებს ვწევდი  
დროშებად...  
მიყვარს –  
სიკეთის,  
სიბრძნის პარადი,  
ლექსის დროშებზე,  
როცა –  
დრო შრება...  
**21. VI. 2020**

## დიღი სიჩრდნე...

დღო არის:  
ოქრო,  
მისი ძარცვით –  
რამდენი  
სცოდავს?!..  
დაფიქრდეს უნდა –  
სამზეოზე,  
ყრმაცა და...  
ბერიც...  
ის კი არ არის  
უმთავრესი:  
ბევრით თქვა –  
ცოტა?!...

სიბრძნეა დიდი:  
ცოტათი, რომ –  
თქვა, –  
ჯფრო,  
ბევრი...  
**20. VI. 2020**

სიმართლემ –  
ჯვარცმის გზებით  
იარა:  
სიავის,  
შარის,  
და... შულლის, –  
მკაცრის...  
უუნინარეს,  
თვალით  
კი არა,  
მზეგულით  
უნდა ხედავდეს  
კაცი...

**3. VIII. 2020**

ვითარე –  
უფლის ნება, –  
დიადი...

მზე –  
სიყვარულის  
თუკი,  
დია დის,  
ნრფელმა, ვითარცა –  
ცამ და...  
მიწამო...  
ვითარცა –  
უფლის ნება, –  
დიადი,

## ჟაფანური – ფრო...

თუ, –  
სატანას  
ვერ ვეხებით,  
გველი ჯდება –  
კრუხად...  
მაშინ, –  
დუმან –  
ქვემეხები,  
ბუმბულები –  
ქუხან...  
**21. VI. 2012**

## პოეზია...

მზელექსები  
ენიგმებს\* არ –  
ჰგვანან,  
პოეზია –  
სულის მზისთვის  
იბრძვის...



უნდა –  
გინამო...  
უნდა –  
მინამო...  
**9. VI. 2020**

## როგორ სცოდავენ?!

ბრძენი – ბრძენობენ,  
ბრიყვნი – ბოდავენ,  
ზოგჯერ, –  
ნმინდანობს –  
ავის მოთავე...  
სცოდავენ, –  
მერე,  
როგორ სცოდავენ?! –  
მტყუანი არის,  
როცა – მოდავე?!

**4. VI. 2020**

## აა მწამს...

სიცოცხლეს –  
ვფიცავ,  
და... ვფიცავ –  
ამ წამს,  
ისმინე ღმერთო:  
ვედრებაც,  
ლოცვაც,...  
ქვეყანა –  
არ მწამს,  
სიცოცხლეც –  
არ მწამს, –  
სანატრელია –  
სკვდილი,  
როცა...  
**9. VI. 2020**

## ჩეფნიერზე – ჩეფნიერი...

რაიც გვჭირს,  
განა,  
ბედი ერია?!.  
ამას გვარიგებს –  
პეჩორაც,  
დვინაც...  
ის –  
ბედნიერზე,

ბედნიერია,  
აც-კარგის განსჯას  
არ კარგავა –  
ვინაც...  
**3. VIII. 2020**

## ხომ ხდება?!

ხან, – ეჩვენებათ –  
ბრილიანტად,  
მაგრამ... იქ,  
ქვა ზის...  
ფრთებია –  
ფიქრის,  
ფარატინა,  
ფრთაქარის, –  
ფუჭის...  
ხომ, ხდება –  
დიდი ცდომილებაც, –  
რამდენჯერ,  
აზრის?!..  
მაღალ-დაბალის  
წვდომა –  
რამდენს,  
რაოდენ,  
უჭირს?!

**19. VI. 2020**

## ჩვენ – ქართული საქართველო გვინდა...

წინაპრები  
თავს სწირავდნენ –  
მა, რად?!.  
მზეს და...  
ნათელს  
თუკი, ვაქცევთ –  
ბინდად?!.  
უპირველეს,  
უწინარეს,  
მარად,  
ჩვენ –  
ქართული საქართველო  
გვინდა...  
**3. VIII. 2020**

აზრის სიდიადეს –  
ვეთაყვანე...

მუსიკით,  
ფერწერით, –  
ახალუხლით,  
მსურს ვმკიდე:  
მზესიბრძნის –  
ველთა ყანებს...  
მე  
არ მიყვარს:  
ფუჭი –  
რახარუხი,  
აზრის სიდიადეს  
ვეთაყვანე...  
**2. VIII. 2020**

## მარჯებს...

ამ სამყაროში –  
რაოდენი,  
მზაებარი,  
ცრუა, –  
მონა –  
ამ დროის,  
სისასტიკის,  
სიფლიდის,  
ბაზრის...  
ადამიანი, –  
ეს, მზესიტყვა –  
მაოცებს, –  
თუა –  
სადმე,  
კვლავ,  
ისევ,  
ზეგვირგვინი:  
სულის და...  
აზრის?!

**26. VII. 2020**

## განწირულია სიმართლე, სადაც...

ხან, და... ხან, –  
ავი,  
ბედი გვერევა,  
ჯვარცმად გვექცევა –  
ზესიბრძნე, –  
სადა...  
იქ, არ არსებობს –







ଓଡ଼ିଆ  
ସ୍ମରଣୀ

— მისუ, ვის ურტყამ... მათთველებელია ცო, თანაურ უზხოვლი!

სრული ქარხოფან ჭავარნას ხმა მარკევეს... აზელიილი  
მსა ფაზლივით იშლება ჩალკეულ ნანილებად... სხვა  
სკოლელის მოქნეული დანა შზებე ელავს და ნამით ჭა-  
ვარნას სხეულს უნდა გრძელოს ონტცებუნივით, ომზ ჰუფი  
მკეთრ ნახოდის აკეთებს მუფონივით და ონგორე გა-  
მოწილი ბოლიგანდა, მთელი ტანით ეფარება ჭავარნას...  
ორივენი მინაზე ერტმიან...

ଓ. যুদ্ধসংক্রান্তিক

## „Why not?!”

აპა მე ისეთი რა უნდა დავწერო პედაგოგებზე, რაც აქამდე არავის უთქვამს... თუმცა მე ხომ ჯეფზე ვწერ... ჯეფი კი ჩევეულებრივი პედაგოგი ხომ არ არის?... ალალია შასზე გაამბოთ ეს ამბავი, რომელიც შარშან მოხდა და სამუდამოდ დარჩა ჩემს მეხსიერებაში...

„Why not?!“ – როგორც იტყოდა „ჯეფერსონა“, რომელიც უკვე კარგა ხანია გასცდა მდგმურობის ოფიციალურ სტატუსს და თქვენ წარმოიდგინეთ, არათუ მეგობარი, უფრო მეტიც, ჩემი ოჯახის ანგარიშგასანევი ნევრი გახდა. „ჯეფერსონა“, იგივე ჯეფრი, იგივე ჯეფი და მე ერთად ვმუშაობთ საჯარო სკოლაში, ის ინგლისურს ასწავლის, მე – სპორტის გაკვეთილებს ვატარებ და ამ წელიწად-ნახევრის ნინ, როცა ჩვენმა სკოლის დირექტორმა გულნაზ დიასამიძემ სამასაწავლებლოში გასაცნობად შემოგვიყვანა ეს ბრგე და წარმოსადეგი ამერიკელი მოხალისე და იკითხა – ვის აქვს სურვილი და შესაძლებლობა ეს კაცი თავისთან აცხოვოს? – არც დავთიქრებულვარ, ისე წამოვიძახე – ლამროსთან გამატანეთ – ცივ ნიაქს არ მიაკარებს-მეტქი.

- „შენ ან ნამდვილი მეგობარი ხარ, ან ძალიან  
ჰგავხარ ნამდვილ მეგობარის!“ - ექუმრება დილილ-  
ლობით ჩემი რძალი კატო და კისკისით გულდასმით  
უძრავდებს საუზმეს ჯეფს, რომელსაც „ქალი კუხნაში“  
ჯერაც ვერ აქვს დამულამებული და ყოველ ჯერზე  
რძალ-დედამთილს ანუ კატოს და დედაჩეჩ ლამროს  
ემუდარება, ერთხელ მაინც მოუშვან გაზის ქურასთან  
თუნდაც უწყინარი და უმარტივესი ომლეტის მოსამზა-  
დებლად... ლამარა ამაზე სიცილით კვლება და ყოვ-  
ელ ჯერზე ნიშნისმოგებით პასუხობს: „მანამ არაფერი  
ჭამოს შეწმა პირმან!“ - ერთი პანია ნაბიჯითაც არ  
თმობს ქართველი დიასახლისის განმტკიცებულ პოზი-  
ციას სამზარეულოში, სადაც მთავარმართებელიცაა და  
გუბერნატორიც და თავიდან ბოლომდე მიყავს „პარა-  
დი“, ანუ მიჩნია, რომ ჭეშმარიტ მამაკაცს „ქუხნაში“  
არაფერი ესაქმება, თუ რასაკვირველია ონეანი არ  
არის შესაქეთებელი ან პირსაბანის ნიურა და წყლის  
მილი გამოსაცვლელი... კატოც, დედამთილის ფეხის  
ხმას აყოლონი, ცდილობს, აამოს სტუმარს, რომელიც

კორიაში სამჯერ უფასოდ ამეცადინებს ინგლისურში  
მის ორ შვილს – სიცელქით სახელგანთქმულ და ლამ-  
როს ტერმინოლოგით, ღვთისგარეგან და „წითელკა-  
ნიანთა ბელადებს“ – ლაზარესა და გვანცას... ჯეფი,  
უკვე მერამდენედ, იძულებულია, დამორჩილდეს  
მასპინძელთა წეს-ტრადიციას, საპასუხო მადლობას  
დასკვერდეს და ინგლისურის უფასო გაკვეთილები ლა-  
მარსასაც შესთავაზოს, რაზეც ლამარა მთლად სიცილ-  
ით ბეჭირდება:

– ბიჭო, ანი მე რომ მიყურებ, ბატყაანი მაქვს ფეხზე გამობმული და რაღა დროს ჩემი ინგლისურია, თუ გიყარდე?!...

- რათომ? უნდა ჩევნთან დაფლატიურ და ამერ-იკაში რომ ჩამორცვალ და ჩემი მშობლები გაიცნობ, ლაგად და უკომიტულესოდ ეპაასები...

- კი, როგორ არა? – სიცილით უბრუნებს პასუხს ლამრო, – ჩამოვირონიერ პატარა და ეგება დაჩამიჩებულ დენიროს ან აღ პაჩინოსაც ქე გამოვეკა ხელი...
- დაჩამიჩებულ? – ეგ რას ნიშნავს ლამარა დეი-

- რას და ამ ქიშმიშს ხედავ? - ლამარა მუჭით  
აყრის ხარშვისგან ობშივარადენილ ბრინჯის ფლავს  
ქიშმიშს და კარაჟთან ერთად გემრიელად გადაზიელს,  
- აგი ქიშმიში და ჩამიჩი ერთიდა იგივეა და დამჭერას  
ნიშნავს, გიოგი?

— „ქაშმიში“... ინიშნავს უბის წიგნაკში ჯეფი ახალ სიტყვათა ანალოგიას, — და „ჩამიჩი“ არის ერთი და ივიზუ — სო „რაისინს “! — გავიგა!

— ჰოდა, ჩემი ჯეფერსონ, რაკი ამცერი ჭკვით  
და აზროვნებით გაპენტილი ბიჭი გვყავხარ, ეს ფლავი  
მიირთვი და, აბა შენ იცი, ლუკმა არ დატოვო საინზე,  
თვარა ქორწილში უშნო პატარძალი გაყოლება...

დედაქარებს, ნარმოშობით სამტკრედიელს, „ჩამოსულის“ სინდრომის სოლიდარობა აერთიანებს ჯეფ-თან, რადგან ამ 45 წლის წინ თავადაც იმერეთიდან ჩამოცხოვრდა აღმოსავლეთში და კახელების რძალი გახდა. ნიჭიერმა და ცქრიალა იმერელმა გოგომ ყველაფერი საუკეთესოდ შეითვისა, აქაური წესები და ძვირები, სამზარეულო და სალამ-ქალამი, ის კი არ-

და, სამეზობლო-სადაქალო-სანათესავოს თახთახა იმ-ერული ხატაბურის ცხობა და ღომის ამოყვანა ასწავ-ლა, თითებს რომ ჩაიკენეტ, იმგვარის, მაგრამ მძაფრად გამოხატულ დასავლურ აქცენტს ვერაფერი მოუხერხა და მის ნამდვილ სავიზიტო ბარათად დარჩა კახელები-სათვის, რომელთაც ზედმეტ სახელად „პოულუსტა“ ლამარა შეარქეს... ლამროს ყველაფრით მოსწონს ეს ვიკინგური გარეგნობის დახვენილი ამერიკელი, ერთა-დერთი, რასაც ვერა და ვერ შეეგუა ჯეფის მხრებამდე დაყრილი ხშირი და ხვეული თმა და ცალ ყურზე შე-კონიალებული საყურეა, რომელსაც სკოლიდან თავი-სუფალ დროს განუყრელად ატარებს...

— ე ბიჭო, უთხარი, მეიკვეცოს აგი დალალ-კავი, არ ცხელა მაინც დალოცვილს რო დარონიობს შორე-ნა კოლონკელიძესავით შუკაში?! — ოხრავს ლამრო და ენერგიულად ურევს ღომის ქვაბს... — აგი საყურეც რა უბედურებაა?! რომელი კატუშა ჭავჭავაძე ეგ მყავს, ტატომ ლექსი გამოუთქას მადლიზა?! ბაღებს რა მაგალითს აძლევს ბედაგოგი კაცუ?!!...

მე მეათასედ ვუხსნი ლამარას, რომ გრძელი თმა სულაც არ აკნინებს ჩვენი ამერიკელის ცოდნის კომ-პეტენციასა და პედაგოგიურ ცენზს და, საერთოდაც, სრულებით არ უშლის ხელს ჯეფის ფილოლოგიურ ერუდიცია-მეთოდოლოგიასა და მოსწავლებთან კო-მუნიკაციას, პირიქით, ეს არაორდინარული ვიზუალის, უაღერსად განათლებული და კრეატიული ჰედაგო-გი დიდ სიმპატიას იწვევს დიდ-პატარაში, უმცროსკ-ლასელები აჩრდილივით სულ კუდში დასდევენ, უფროსკლასელი გოგონები და ახალგაზრდა კოლეგები დაუფარავად ეპრანქებიან, მამრებს, ძირითადად, შურთ მისი თავისუფალი მანერების, ჩაცმის სტილი-სა და მომწვანო ზღვისფერი თვალების, რომელთა სხივი ნებისმიერ ყველაზე გულება გოგონას გულში გრძნობათა ყინულის ასბერგს გურვანის ნაყინივით ატებობს და ადნობს... „ჯეფერსონა“ კი მე შევარქვი ჯეფს, რომელიც ტომასა გვარად — 33 წლის მეხუთე თაობის ამერიკელი. ისიც ტომას ჯეფერსონივით ვირ-ჯინიელია და მისი მესამე პრეზიდენტივით, რომელ-მაც საკუთარ ხალხს დამოუკიდებლობის დეკლარაცია აწერს, თავისუფლად და ამაყად შეუძლია გაიმეოროს ლეგენდარული ფრაზა: „მე არ შემიძლია წიგნების გა-რეშე ცხოვრება“. ჯეფი ნამდვილი წიგნის მახრაა და მის ქონება-ცხოვრებას ტანსაცმელზე და სხვა პირად წვრილმანზე მეტად საქართველოში შექნილი თუ ვირ-ჯინიდან ნაწონიალები წიგნები შეადგენს. ჯეფი ქა-რთულის სანავალას სრული სერიოზულობით ეკიდება და მინდა გითხრათ, მშვენივრად გამოსდის კიდეც... მხოლოდ აქცენტი ლამროსავით უკიდურესად კოლ-ორიტული აქვს და ისე საყვარლად გამოთქვამს ქარ-თული უღერადობის ბგერებს, სიცილით მოკვდებით... სამაგიეროდ, სუფთა ლიტერატურული ენით საუ-ბრობს, რადგან ენას მეტნილად წიგნებიდან სწავლობს, სალაპარაკო სლენგსაც აკვირდება და უარგონულ ფრაზების დამახსოვრებასაც ცდილობს... „ათრაკებს!“, — ეს ჯეფის საყვარელი ფრაზაა და ყოველთვის, როცა ვინები იწყებს და აღარ ამთავრებს ტვინის ბურღვას, მის სლენგურ ვერდიქტს იმსახურებს... ჯეფი კიდევ ერთი



43

#### შხატვარი სოფიო ჭელიძე

გატაცებით ჩამოჰვავს მის სეხნიას — ტომას ჯეფერ-სონის მსგავსად ჭუუა ეკეტება ღვინოსა და არქიტე-ქტურაზე, ეს უკანასკნელი კი კახეთში, მოგეხსენიათ, იმდენია და იმდენნაირი, მთელი ცხოვრება რომ მოან-დომოს, მაინც ვერ აუვა ყველა ისტორიული ძეგლისა თუ კენჭის ალბეჭდვას, თუნდაც ფოტოობიექტივით და ვერც იმ ღვინოებს დააგემოვნებს ბოლომდე, რაც ჩამ-ოსსმევა ჩვენში ყოველ ახალ სეზონზე.

— იოსებ, ჩვენი სიცოცხლე მეთისმეთად ჰანმოკ-ლეა იმისათვის, რომ ცუდი გვინო დავლიოთ! — განა ეგრე არ არის?

...როცა სრული სახელით მომმართავს, ვიცი, სე-რიოზულად ამბობს სათქმელს, სხვა დროს, კი ლაზ-ლანდარობისას კობას მეძახის, სტალინის მეტსახელს, რაჟი მსოფლიო დიქტატორისა და ბელადის მსგავსად იოსები მეჭვა და ამით, თავის ჭუუაში, უმორით მელ-ლაბუცება, თუმცა მშვენივრად მოეხსენება, რომ სოსო ჩემი დიდი პაპის სახელად დამარქვეს და არა იოსებ სტალინის სახსოვრად...

ჯეფი მესამე წელია მოხალისედაა გამწესებული საქართველოში და საერთაშორისო პროექტის ფარ-გლებში ინგლისურის მასწავლებლად მუშობს საჯა-რო სკოლაში. თავიდან სამეგრელოში მოუწია მას-წავლებლობა, ერთი წელი ასწავლიდა სენაკის მეორე საჯაროში, მერე მცხეთაში გადაისროლეს დესანტად, ბოლოს კახეთში ჩამოვიდა და როგორც თავად ამბობს, გადაწყვიტა საბოლოოდ აქ ნახოს „ძვალთშესალაგი“, რადგან მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჯორვებაში, თან კახეთში, და მით უფრო თელავში „მაგრად ასწორებს!“

— ეს „ძვალთშესალაგი“ რა პონტია? — თქვენთან ხომ კრემაცია მოსულა? — ეკითხება მიკლუხო-მაკლაი,

ოლქ. №3, 2020





ჩვენი გეოგრაფიის მასწავლებელი რეზო გამხვეტელაშვილი, რომელიც ჯეფმა სიყვარულით მონათლა ასე...

— ეს სიტყვა რათომძაც ძალიან დამევასა! — ამბობს ჯეფი და მობილური ტელეფონით მეასედ უღებს ფოტოს კვირიკეს ციხის გოდოლს:

— თქვენ, ქართველები მაგარი ჯიგარი ხალხი ხართ, მაგრამ ამასთანავე მაგარი არაფრაქტიქული... თქვენი ფასი არ იცით და სულ სხვა ერის ფასეულობები გითაცებთ... ესეთი მინა, ესეთი პური და ლვინო, ესეთი ისთორია, ესეთი ფოლეკი, ესეთი მანდილსნები, მეტი რა უნდა ადამიანისგან თანამედროვე ფროგრესს? მაგრამ ცოთა სიზარმაცე, ცოტა უქედო ამპარტავნება, ცოტა ცოდნა და კულთურული შოკის დეფიციტი...

— ჯეფ, მოდი, დალიე და ნუ... როგორ ბაზრობ ხოლმე?!

— ვათრაკებ ხო, იოსებ?! — იცინის ჯეფი და თვალ-მოჭუტული წრუპაცს საფერავს...

— „ზის იზ თრუ!“ — ვმაიმუნობ ზალიკო ბერგერის სტილში...

— აი, ვინ ათრაკებს ჩეშმარითად! — უბრნყინდება თვალები ჯეფს, — ეს არის ბომონდ!

— გინდა ვიმღეროთ? — ვგრძნობ, რომ არ მსიამოვნებს თუნდაც გადამთიელი მეგობრისაგან ჩემთვის მიუღებელი, მაგრამ მაინც მშობლიური პერსონის კრიტიკა და თემა სხვაგან გადამაქვს

— გიტარის აწყობას ვცდილობ, რომელსაც ენა რომ ჰქონდეს, მიჩივლებდა, ისეა სუფრებზე ნათრევი და ნანამები, ვჯახირობ, ვწვალობ და ბოლოს, როგორც იქნა იმ სიმღერას ვინებ, მე და ჯეფმა პირველი გაცნობისას ერთად რომ ვიმღერეთ და რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, პირველჯერობაზევე შევენივრად გამოგვივიდა:

— საყვარლის საფლავს ვექებდიით..., — ვანიშნებ, რომ მეორე ხმაში ამყვეს...

უკვე შეზარხოშებული ჯეფიც თავს ანებებს ფილოსოფოსობას და მომენტალურად მყვება... მღერის გატაცებით და გემრიელად და ისე გრძნობს ამ გაცვეთილ ნახევრად სალონურ სიმღერას, ლამის ეროვნულ პიმნად რომ ვაქციეთ ქართველებმა და მინიმუმ მსოფლიოს მეხუთედი ავამღერეთ, მუდმივად გაოცებულს მტოვებს... ტექსტი ხომ იცის და იცის, არც ფრაზებს ამახინჯებს და რომ არა მისი ბრედ პიტივით დაყრილი თმის მზისგან გახუნებული ხშირი კულულები და უცხოურად მზედანაკრავი სახის ხორბლისფერი, მხოლოდ მოსმენით ვერც მიხვდები, რომ ვარინკა მაჭავარიანის „სულიკოს“ არაქართველი ასრულებს... „სულიკოს“ იმერული პოპური მოსდევს საფირმო „შექარივით დავდნებით!“ რასაკვირველია, ლამროს ხათრითა და „საპატივაცემოდ“ და ისიც, კმაყოფილი, მართლა, ხელში გვადნება შაქარივით...

— შენ დეინვი, შენ! შე, რაფერ ზუსტად მღერის? — მერამდენედ იკვირვებს ლამრო და მხრებზე დაყრილ კულულებზე ეფერება ჯეფს.. — აგი თმა მომცა!

— რად გინდა, ლამარა დეიდა? — მისამღერის პაუზაში ეკითხება რეზო-მიკლუხო-მაკლაი...

— დედა?! — იცხადებს ლამრო — რად მინდა და, შევიჭრიდა! რად უნდა მინდოდეს აბა?!

ყველას გვეცინება და ყველაზე მეტად თავად ჯეფს...

— ხომ ვამბობ, რომ თქვენ ქართველებს გიჩირთ განსხვავებულ ფერომენთან ადაფტაცია, არადა, ნახეთ ძეველი მათეანები და ეთრატები, ფრესკები და მინიათურები — თქვენი მეფეები და დიდებულები სულ გრძელი თმა ათარებენ და სხვათაშორის, ყურზეც საყურები უკეთიათ...

— ჩვენ, ქართველებს, ჩემო ძმაო, ჩვენი მუფეებიც გვიყვარს და განსხვავებულიც, ჰოდა, აგერ, დამილიე ერთი... — საშეა ყანწს პირთამდე უცსებს ჯეფს და ლიმლით ანვდის...

— არა, ამას ვერ დავლევ, პონტია, მაგრამ სიამოვნებით გეტყვი, რომ მე ძალიან შემიყვარდა თქვენი ქვეყანა და ხალხი, იმიტომ რომ აქ მე სხვა სული და გული დავინახები... მეგობარი უწყოდე სამი ჯურისაო, — გვამბობს სადაც სუფრაზე გაგონილსა და დახსომებულს ჯეფი, — ერთი პურისაო, მეორე — ენის, მესამე — სულისაო... პურის მეგობარს ჯერ პური და მერე პანგურიო! ენის მეგობარს ენით გაუქარცყლე დარდი გულისაო და თუკი სადმე შემოგხვდა მეგობარი სულისა, მიეცი სული მას სანაცვლოდ შენი სულისაო! — მოდი, ჩვენი მეგობრობას გაუმარჯოს! — ჯეფი ლვინის ყლუპს მოსვამს და ყანწს მაწვდის, — აქაოდა, დანარჩენი შენი დასალევია...

— შენა, ბალლო, ალარა სუმრობ აი! — საშეა დათვივით გადახევევა ჯეფს და მალიარისათვის დამახასიათებელ სალებავიან და კანგაუხეშებულ ტორებს მხრებზე უთაქუწიბს...

— კაი ახლა, შეარგე ბალანას რაცხა ერთი წვეთი ძლივს დალია! — ლამროს ცხელი ხინკალი შემოაქვს და ქეიფიც გრძელდება...

\* \* \*

სკოლის პირველ სართულზე, სამასწავლებლოში დიდ შესვენებაზე უცრად დაწყებითი კლასის დამრიგებელი, სკოლის სამეურნეო საბჭოს მშვენება და იმ დღის სართულის მორიგე მანჩირ მესტვირიშვილი შემოქანდა შეშლილი სახით და იკივლა: მეორეზე ბიჭების ტუალეტთან რომ ბიოლოგიის კლასია, საშინელი ჩხუბია, ვერაფრით ვაშველებ და მოშველეთო...

ფუტკრის სკასავით მოზუზუნე სამასწავლებლო ჯერ ნამით გაქვადა „ცისკარას“ ზღაპარივით, მერე ერთბაშად იხუვლა და ლია კარში ვინ ვის ვასწრებდით, ალარც კი მახსოვეს... სამ-სამ კიბეს ვახტებოდი, ლელვისგან ბოგასაზე გახსნილი თასმაც ვერ შევამჩნიე, სანამ ფეხი არ დამედგა და კინაღმი შუბლით მივგხეთქე კაბის მოაჯირს, მაგრამ ფიზიალზრდის მასწავლებლობის სპორტულმა გამოცდილებამ თავისი ქნა და წონასწორობა შევინარჩუნე, თასმები საჩქაროდ სალოკი თითოთ ჩავაბრუნე ბოტასში და სიჩქარეს მოვამატე... დერეფანში ცალ მხარეს მირბოდა დიდი თუ პატარა, დერეფანის ბოლოსაკენ, სადაც ექოდ მოისმოდა ცხრასართულიანი გინებისა და ბათქაბუთების ხმები... მივხვდი, ჩემი „გიუები“ ჩხუბობდნენ, მაგრამ ერთმანეთში თუ სხვა სკოლელებთან, ასე ვთქვათ, ძველი ვალის გასტუმრების ამბავში, ეგ კი ძნელი სათქმელი იყო...





– მანდატური... მანდატური სად დაიკარგა?! – კიოდა ციალა ცალქალამანიძე, – დასახსნელები ხართ ყველანი! პატრულში დარეკეთ, ჩეარა!...

– რა იყო? მოხდა რამე ფათერაქი?! – ჯეფს ის იყო დაესრულებინა ინგლისურის გაკვეთილი მეოთხე კლასელებთან და წინილებივით შემოხვეული ბავშვებში ძლიერ მოიკველევდა ჩემსკენ გზას...

– ჩხუბია და ეხლა შენებურები რო იცი მორალისტობა-ამბავი და გაგება არ გააძრო... იტოგში, არ ჩაერიო!... – სირბილისაგან აქოშინებულმა ეს დამრიგებლური ფრაზალა ვესროლე პასუხად და ღონიერი უცერემონიო მოძრაობით დავინუ მოსწავლეთა და მასწავლებლთა შეჯავუფული მასის გარღვევა, რომლის მიღმაც ციალას ნახსენებ ბიოლოგიის კაბინეტში რაღაც საშინელება ტრიალებდა... სკოლის დირექტორს გულნაზ დიასამიძეს მთლად მიტკლის ფერი ედო და მხოლოდ ერთ წინადადებას ავტომობასუხესავით მონოტონურად და ემოციადაცლილი იმეორებდა: – ჩემი სიკედოლი გინდათ ყველას! – ჩემი სიკედოლი!

– მანდატური და პატრული მოდიანო, – გაისმა დერეფანში და ადამიანების მასა ახლა პირით ჩემსკენ შემოტრიალდა და მსწავლო დაუთმო ადგილი მოსულებს, მაგრამ უკვე გვიანი ალმოჩნდა ყველა ძალისხმევა – ჩხუბის ხმა მიწყდა და როცა შეგროვილი ხალხი ორად გაიყო, მანდატურებს – ზაზასა და ქეთინოს და პატრულის ოთხაციან შემადგენლობას კლასი, სადაც წამის წინ ნამდვილი ჯოვონებეთი ტრიალებდა, მთლად ცარიელი დახვდათ... მხოლოდ დამტვრეული დაფა, ადამიანის შინაგანი ორგანოების მულიაუბით გამოტრინილი ვიტრინიანი კარადა და მიყრილ-მოყრილი მერქები ასახავდნენ საშინელი ბრძოლის ველის პანორამას, ყველა ფანჯარა ღია იყო... როგორც სჩანს, მანდატურებისა და პატრულის მოსვლამდე მოჩხებურები ფანჯრიდან გადახტნენ და მიიმაღნენ... მერქებსა და იატაზე სისხლის წვეტები დაღვრილიყო ნიშნად იმისა, რომ ჩხუბი იყო დაუწერობელი და სასტიკი...

– ვახ, სკოლაა თუ მაფიოზების აქადემია?! – უადგილოდ იხუმრა ჯეფმა და მიხვდა რა საკუთარი უკბილო ხუმრობის უაზრობას, ყურებამდე განითლდა: – ამ სორი! ვცუხვარ!

დილიდან ისედაც აყირავებული ხასიათი კიდევ უფრო გამიფუჭდა... ზოგადად ამ თინერჯერების „რაზ-ბორკები“ მაგრად მოქმედებს ჩემს ნერვულ სისტემაზე და მთლიანად მანგრევს...

– რა დაუნდობლები არიან, რა სასტიკები?! ჩემს დროისაც ვჩხუბობდით და დღესაც ვჩხუბობთ, მაგრამ ესე?...

– რთული თაობა არის! – უემოციო, პრაგმატული, სასტიკი! ვერაფერს ვიზიამტ! თანამედროვე თექნოლოგიებით შეიარაგებული ქაცობრიობა 21-ე საუკუნეში ნელ-ნელა თვითდაგუპისკენ მიექანება!

– რა შეაშია ტექნოლოგიები და 21-ე საუკუნე?! რას ამბობ – რომეომ და ტიბალტმა რო იჩხუბეს და მერკუციო იმსხვერპლეს სუ 21-ე საუკუნე იყო ხო იცი?!

– შეიძლება შენ მართალი ხარ... კაცობრიობამ ვერაფერი ისნავლა თავის ისტორიული გაქვეთილებიდან,

მაგრამ ფაქტია, რომ თქვენთან პატიება, სიყვარული და სიკეთე სადგეგრზელოს იქით ვეგარ მიდის... მაფიოზური სამეარო მეტად ხიბლავს ქართველ თონეოჯერს, რადგან იქ მეტად მყარი კანონებია, ვიდრე დანარჩენ საზოგადოებაში...

– კარგი რა, შენ მაინც დადუმდი...

– სამართალი და სამართლიანობა თქვენთვის მართო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანშია“ დარჩენილი, სამცუსაროთ!... ტარიელი რო ტირის, ეხლა ნონსენს არის – ეხლა აბა რომელი შენი მოსწავლე ბიჩი იტირებს?

– გააჩნია რა შემთხვევაში...

– იცი რა, ადამიანობა უნდა ასწავლო... საგანი ისედაც ისწავლის...

– მერედა როგორ უნდა ასწავლო ადამიანობა?!

– როგორ და შენი ფირადი მაგალითით...

– ეგრე იოლია თქმა – პირადი მაგალითით!... ვასნავლი და არ სწავლობს... მერე?

– პათიება უნდა ასწავლო და მაშინ სასტიკი აღარ იქნება... უნდა აფათო, როცა შეეშლება – უნდა შეუნდა და მიხვდება ბოლოს...

– ეგრე, ზოგადად, პატიება იოლი სათქმელია... ყველაფრის პატიება არ შეიძლება...

სიკეთე კარგია, მაგრამ გახზრებულ სიკეთეს მოაქვს შედეგი... მოთმინებაც კარგია, მაგრამ ზომიერება არ უნდა დაკარგო... პატიებაც კარგია, მაგრამ არა უსასრულოდ!

– ეს როგორც ბუმერანგი, არა?... ისვრი და გიბრუნდება... ანუ „რასაცა გასცემ – შენია!“ – პონთია...

– ვააა, აბა შენა ხარ, რა?! – საიდან სადაო?!

სასაფლაოსკენ კუხვევთ... სასაფლაო ქველია, ქალაქის ისტორიული უბნის მთლად ცენტრში და თუ გულდინჯად შემოუვლი და დაათვალირებ საფლავებს, მთელი ქალაქის ისტორიას წაიკითხავ... ვგიუდები ისე მიყვარს ქველი წარწერებნაშლილი საფლავების თვალიერება... თუ საფლავის ქვიდინ თავდა მიცვლებულის პორტრეტი გიმზერს, ხომ საერთოდ... თარიღებზე დაკვირვებაც მიყვარს და ფიქრში გარდაცვლილი ასაკის გამოთვლა... სტილი... ეპოქა... მოდა... იდეოლოგია... რას არ ნახავთ აქ... მოელედ, მარადისობა თვლემს... წამით მარმარილოს ქვაზე ვაიზებულებთ... საფლავი ახლად გამოიყერება... ქვის ფერადი მდიდრული ზედაპირი მკაფიოდ აჩენს ახალგაზრდა კაცის პორტრეტს... გვერდით შედარებით დაბალხარისხიანი ქვაცაა იმავე ახალგაზრდის სურათით და ქვეშ სახელისა და გვარის და დაპადება-გარდაცვალების თარიღი დამატებით სხვა წარწერაც ახლავს „მეგობრებისაგან“...

როგორც სჩანს ოჯახმა თავისი ქვა დაამზადებინა და სამეგობრომ თავისი წილი პატიები მიაგო უდროოდ წასული ახალგაზრდის ხსოვნას...

– რა პატარაა?! 17 წლის მომქვდარა...

– დანით დაჭრეს ჩხუბში და სისხლისგან დაიცალა... – ვამბობ და თვალს დამნაშავესავით ვარიდებ ჯეფს... თითქოს ჩემი ბრალი იყოს ამ ბიჭის სიკედოლი... თითქოს მეც ჩემი წილი დანაშაული მიმიძლოდეს, რომ ექიმებმა ვერ გადაარჩინს ახალგაზრდა სიცოცხლე და წევს ახლა 17 წლის ლამაზი და ოცნებით აღ-





სავსე თვალებით მომზირალი ყმანვილი ქალაქის ცენტრალურ სასაფლაოზე სამარადუამოდ გარინდებული და მშვიდი, და ამ სიჩუმით ერთვის და მთლიანდება სულის მარადისობასთან...

– საინტერესო ხალხი ხართ ქართველები – ხანდახან მგონია, რომ მკუდრები უფრო გიყვართ, ვიდრე ცოცხლები...

– ხანდახან?! – კაი წარმოდგენა გქონია ჩვენზე! – მეცინება მძარედ...

– მე მგონია, რომ წარსულით უფრო ცხოვრობთ და არა მომავლით და იმითომ...

– იცი რა, შენთვის იოლია ეგერე შორიდან დასკვნების კეთება – შენ, ჩემი ძმაო, სუ 200 წლის ქვეყანა ხარ და მაინც პირველი ხარ მსოფლიოში, მე კიდე მარტო ერთი კენჭი მაქვს 200 და მეტი წლის, გაიგ?

– ეგ ჩემო ძმაო, არი ლირიქა... ფორმია... რომანთვა... სანამ ამ რომანთვას რეალიზმით არ შეცვლით, სუ ეგრე მოგიცვეთ მსხვერპლის გაგება ისტორიის ორაქულის სამსხვერფლოზე...

სადღაც შაშვი გატაცებით სტვენს, ნამგალები ჟივევით ესევიან უცნობის საფლავზე გაბნეულ სააღდგომო პასკის გამხმარ ნატეხს, რომელიც ლამის მწერების ბუდედ უქცევია ათასგვარ ჭიადუას... უეცრად მანქანის მუხრუჭების ხმა ყურთასმენას გვიხშობს, სასაფლაოს ჭმელართან სამი ობელი „დრითჭის“ მანერაში ამუხრუჭებს და როგორც სათავგადასავლო ბლოკბასტერებშია, ერთდროულად იხსნება ყველა კარი და თავალისდახამხმებაში ჩვენი სკოლის მოსანავლებისა და უცხო ბიჭების გუნდი ერთმანეთში გინებითა და ჩხუბით იზილება...

– აზრზე მოდი, სტოპრო დილანდელის გაგრძელებაა... მეორე სერია! – მე და ჯეფი დაუფიქრებლად გავრბივართ მოჩხუბრებისაკუნ... გზადაგზა ვყვირთ, რომ ხელი შევუშალოთ და ნამით ოდნავ მაინც დავწიოთ კონფლიქტის გრძელს, მაგრამ მათი ულმერთო გინება და ღრიალი ახშობს ჩვენს შეძახილებს...

– ესეც როგორც შოთა რუსთაველთან – ქაცი ქაცას შემოსთხორცა... – ჯეფი მოჩხუბრების გაშველებას ცდილობს და მეც მივდევ დაუფიქრებლად... ჩხუბში გამშველებლებად კი ვებმებით და ჩვენც თიხასავით ვიზილებით საერთო ორომტრიალში...

– გაგიყდით?! – ველარ ვიკავებ თავს და მავინდება, რომ მასწავლებელი (თურდაც ფიზიკური აღზრდის პედაგოგი!) მქვია და ისინი ჩემი მოსწავლები არიან...

– მერე შენ რას ერევი, შე ნაბოზვარო, ვის დაკარგვიხარ, ე?! წადი – მოფსი – დაიძინე!

– ბიჭო, ვის ურტყამა... მასწავლებელია ტო, თანაც უცხოელი!

სრული ქაოსიდან ჯაფარას ხმა მარკვევს... აზელილი მასა ფაზლივით იშლება ცალკეულ ნაწილებად... სხვა სკოლელის მოქნეული დანა მზეზე ელავს და წამით ჯაფარას სხეულს უნდა გაუაროს რენტგენივით, რომ ჯეფი მკვეთრ ნახტომს აკეთებს ბუფონივით და როგორც გამოცდილი ბილიგარდი, მთელი ტანით ეფარება ჯაფარას... ორივენი მიწაზე ეცემიან...

– ჯეფ! – მთელი ხმით ვყვირი და ხელს ვაშველებ და უეცრად ხელისგულზე საოცარ თხევად სითბოს ვგრძნობ... თბილი მენამული სითხე ჩემს პერანგის მაჯას ღებავს და იდაყვისაკენ მიკვალავს გზას... ჯეფი დუნდება და მკალავებში მთელი სიმძიმით მივარდება...

– დავითესეთ, ე, მგონი დაიჭრა! – ბიჭები უკანმოუხედავად გარბიან...

ნამით თვალთ მიბნელდება... ჯაფარა და ჩემი მოსანავლები, თავადაც ჭუჭყასა და მტკერში ამოგანგლული, უხმოდ დაგვყურებენ... ვიღაც 112-ში რეკავს და განწირული ხავილით იძახებს ამბულენსს...

– ჯეფ! არ მოკვდე... ბიჭო, ჯეფერსონ... მოიცა... ნახე, ეხლა სასწრაფო მოვა და ყველაფერი კარგად იქნება...

ჯეფი ძლივს სუნთქვას, მაგრამ მაინც იღიმება, თავს წამოწეს და ღილინს იწყებს:

– საყვარლის საფლავს ვეძებდი... მოდი ამყევი...

– ვერ ვნახე, დაკარგულიყო... – მე წინამდებობის ნერვი არ მაქს და მარტო უმწეობის ბოლმა და ცრემლი მაღრჩობს...

– ერთი ქართველი ხო მაინც გადაგირჩინეთ სიქვდილს არა?! – ჯეფი სხივჩამქრალი მზერით ჯაფარას დაეძებს და მომწვანო-ზღვისფერ თვალს მეგობრულად უკრავს...

ჯაფარა უხმოდ ტირის...

...გვლამისკვნილიით... ვტი-რო-დი... ხედავ, იოსებ, თურმე თუ საჩიროება მოითხოვს, ქართველები, მართლაც თირით ქაცურად, როგორც შოთას თარიელი...

– შენ ხომ არა ხარ სულიკო?... ჯეფ... ღრმად ისუნთქე... ყველაფერი მაგრად იქნება... აი, ნახავ!

– ნახე რა ჰოლივუდი სცენაა – როგორც „ერთხელ, აქ, საქართველოში!“ – ჯეფი იღიმის და ასე ღიმილ-ღიმილით ხუჭავს თვალს...

\* \* \*

აღდგომაა... სასაფლაოზე ახლად ნაწვიმარზე ხალხი ჯერ მეჩხერად დაფუსფუსებს თავ-თავის საფლავებთან...

ბიჭებთან ერთად თავდახრილი ვდგავართ პატარა საფლავ-ობელისკთან, რომელსაც ინგლისურად და ქართულად აწერია ჯეფრი ტომასი (1985-2018) და ქვემოთ გაკრული შრიფტით: მოსწავლებისაგან... ქართული სასაფლაოს მოდელირებული ობელისკი ერთში იმეორებს ამერიკაში, ვირჯინიაში არსებულ ჯეფრი ტომასის რეალურ „ტვალთშესალავს“, რომელიც, სავარაუდოდ, ცინკის პანია ყუთში ჩაყრილი ფერფლია... ობელისკის ძრავას ვიღაცას ფურისულების დაწყობა მოუსწრია...

– ჩვენი გოგოების ნახელავია აშკარად... – ჯაფარა ღრმად ურტყამას ნაფაზს და ზურგს გვაქცევს, რომ ცრემლი დამალოს...

– Why not?! – პასუხს უუბრუნებ ჯეფის სტილში და მეჩვენება რომ სადღაც შორიდან მობერილ ნიავს „სულიკოს“ ტკიბილი, მაგრამ უსაზღვროდ სევდიანი ჰანგი მოაქსეს...



## პოეზია

### ექა ქავები

ლ  
ლ  
ლ  
ლ  
ლ  
ლ  
ლ  
ლ  
ლ  
ლ  
ლ  
ლ  
ლ  
ლ  
ლ

უერთდ ფაფარაყრილი თოვლი,  
თეორ აფთარიფით გზაზე  
მიხოხდეს,  
შეძრა სამყარო სიჩუმით,  
მცრულით,  
ცერ იქნა, გული ვერ  
მოიხა...  
ჭის ქაფიანი წის მართონი  
და ხელუბლებელ –  
ფერშეუცილესი,  
ჩამოთვლილი მიწის ფართობი  
აგდა, როგორჯ თეორი  
ფურცელი...

ე. ქავები

47



ოლოდი მოლოდი მოლოდი მოლოდი მოლოდი მოლოდი მოლოდი მოლოდი მოლოდი მოლოდი

### მივიწყებული სახლი

ოდის კიბეებზე ბალახმა  
იძალა,  
ძველი აღტაცებით ყვავის  
კამელია,  
სურათზე მტვრის თოვლი  
ბაბუას მიმალავს,  
ბაბუას ისევ  
ლურჯი თვალები აქვს...

თაგვების ფართხუნით შეძრული  
კედლიდან  
შორეულ დლეების თეთრი  
ხორხოცია,  
რა სასწაულია,  
რაღა არ შეცვლილა,  
ბაბუა სურათზე ისევ  
მოხუცია...

ოთახში სუნია მტვრის და  
ნიშადურის,  
ეზოში ქრიჭინი გაუჟამთ  
კალიებს  
და ძველი პალტო,  
ჩრჩილით დალაშერული,  
ჩამომხრჩვალ კაცივით ჰერიდა  
საკიდზე...

გათენება...

გზად წყვილები ჩრდილებს დააშრიალებენ,  
თითოს ისე  
კამკამა სდევს  
საბურველი,  
დაუწევი მზერით, –  
თითქოს სათითაოს  
ამოცნობა შეიძლება  
ბედისწერის...

ბაღს პირველი ყვავილები დაარბევენ  
და დღეების  
ხანგრძლივობა  
ზაფხულს ჩემობს  
და გსურს,  
სხივებს სახურავზე გადამრბენებს,  
როგორც ბავშვებს უცებ  
ხელი შეაშველო...

ყველა სუსხის დავიწყება ადვილია,  
მზე ისე შლის  
ზამთრისაგან ნასახსოვრებს,  
თითქოს თოვლი  
სულ ახლა არ  
გალია,  
ანდა ხეებს ქარიშხლები  
არ ახსოვდეთ...

წელს ისეთი თბილი იყო თებერვალი...

### თებერვალი

\* \* \*

წელს ისეთი თბილი არის თებერვალი,  
გულის ბზარი,  
მიწის ბზარი  
გამთელდება  
და რომ არა ხალხის თვალი  
აბეზარი,  
შეიძლება ლამის გარეთ

თქვენთვის არ უთქვამთ? ქალბატონო,  
რომ გაეხართ აპრილს,  
რომ გაზაფხულმა  
ღია რძისფერ ნისლში გარწიათ,  
კარგა ხანია,  
მყვირალობა დაიწყო მთაში  
და ამიტომაც შვლებიანი კაბა  
გაცვიათ...





## ერილოგამზე

თუ მე ვარ წიგნი,  
ხელისგულზე გყავარ გაშლილი,  
მკითხულობ,  
ტირი,  
იღმები,  
გყარგავ, –  
მეძებ და..  
ეპილოგამდე რამდენია, ღმერთო,  
მანძილი,  
რომელ გვერდზე ხარ...

თუმცა  
სიტყვას და სიტყვას შორის  
უფრო მეტი ვარ,  
(სიტყვით მკვდარს,  
მაინც სიტყვა მწამლობს, –  
არა გუმანი),  
– შენ შეგიძლია, გადაშალო  
ბოლო გვერდი და  
გაუვნებელყო ყველა ტვირთი და  
საზრუნავი –

– ყოველი დილა უპირობოდ  
გასათენები,  
მზით მოსასწრები საქმეები,  
უქმე საველე,  
– დღეები, დროში უთარილოდ  
გაფანტულები,  
გვანან ერთმანეთს და კარგავენ  
თავის სახელებს...

იქ, სადაც განცდილ ტკივილების  
არის მარავი  
და ან ბედნიერ მოგონებით არის  
მძინარე –  
ჩემი ყოველი გადაშლილი  
გვერდი, – არაკი  
გზად უერთდება  
მახსოვრობის დამშრალ  
მდინარეს...

თუ დაწერილ ვარ  
გაგრძელებად მრავალი გვერდის  
და ყველა უწყი, –

რაც იქნება ან დამარხულა,  
უფალო,  
თუკი ჩემი ხვედრის  
ვარ შემოქმედი,  
გთხოვ,  
შუა გზაზე არ ინებო წიგნის  
დახურვა!

\* \* \*

ველარ გავაყუჩე  
და საერთო ტკივილს  
ვიხდი, როგორც სასჯელს,  
კი არ მაჩუქეს და  
ახლა ქართველობა  
თითქოს მომისაჯეს...

შეეტრუსათ ფრთები  
ლეგენდას და ნამდვილს,  
ვით სიზმრეულ  
ფარვანს, –  
დღემდე გამოყოლილ  
პირმმვენიერ მითთა  
საწყაული მფარავს,

ვფიქრობ:  
ახლა რა მაქვს  
საამაყო კიდევ,  
ქართველობის გარდა...

## შეკიგერდა

როგორც ასწლეულთა სამზერ მანძილიდან  
მოუხელთებელი თითო დღე და წამი, –  
ყველა შეილმკვდარი დედა ტაძარია  
და ამ ტაძრის მრევლიც  
მხოლოდ თვითონ არის...

ამ ტაძარმა იცის გემო ნამდვილ გვემის,  
შეში გათენების და მზის ამოსვლამდე –  
მერამდენედ ყვება თავის ნანგრევებში,  
რომ – არ უთენდება დილა  
ნამდვილ ღამეს...

რომ ცრემლების ღვარით გადარეცხილ ფრესკებს,  
ალარ შესწევთ ძალა ღმერთის გახსენების  
და ამ დარდის მრევლი ფეხშიშველი ეძებს  
სულ პატარა იმედს, –  
სიზმრის ნამსხვრევებში...

რომ მიწაზე მზერით საუკუნოდ უმზერ –  
ცას და მიწას შორის ტაძარივით დგება  
და დიდი დრო გავა, –



ვიდრე ტაძრის ზღურბლზე  
ზეცას ახედავს და  
ღმერთს შეურიგდება.

\* \* \*

მინდვრის ყვავილო, შენც ხომ ზაფხულის  
თვალს არ გჭრის უხვი მზე და დიდება  
და ქარიშხალიც, იმ გაზაფხულის,  
არ გემეტება დასავიწყებლად.

არ გინატრია შენც ხომ ვერსალის  
ბალის ამინდებს ჰყოლოდი მძევლად  
და ამოსული გზად ნარ-ეკალში  
ბევრჯერ წასულხარ ბედის საქებნად.

არ გიმზერია სეტყვა სარქმლიდან  
ელვა იყო თუ ქარი გდევნიდა,  
თავს გადახდენილ ყველა წარლვნიდან  
დაბრუნდი, როგორც ახალ ქვეყნიდან.

არავინ იცის შენი სახელიც –  
ბალს მოფენილი ია-ვარდივით,  
მაინც არა ხარ სახლის ყვავილი  
და ერთნაირიც არ გაქვს ამინდი.

მოყევი ნიავს რომელ მხარიდან,  
დანამდვილებით ხარ თუ არცა ხარ,  
უჩინმაჩინის ქუდი გახურავს,  
ყველას არ ძალუძს შენი დანახვა.

ან მთვარის შუქზე ვისთვის იწვოდი,  
ვინ გითეთრებდა დარდით გარიურაქს,  
ალარც იმ ნიავს ეცოდინება,  
რომ გადაგექცა ერთ დღეს ქარიშხლად.

მაინც ხომ სულ სხვა იყო აპრილის  
ქარტებილიც და დართა სიამეც,  
ყველა ამინდი იყო ნამდვილი,  
რაც გაზაფხულზე გამოიარე.

მეც გულში შენი სევდა მიტირის,  
ვერ მიმღვრევს თვალს სხვა წყალთა დინება  
და გამოზრდილი გულში ტკივილიც  
არ მემეტება დასავიწყებლად.

\* \* \*

მოულოდნელად გაავდა თოვლი,  
(წუხელ კი თითქოს იყო  
სამკალი),  
ყოველი სახლის კუთხე-კუნძული  
გამოყინულა,  
როგორც სანგარი...  
ამოგმანულში საფიქრებელი  
დარჩა ცის თმენა და

გამძლეობა  
და დგას ქალაქი,  
როგორც საყდარი,  
როგორც სიჩუმის თეთრი  
ტყვეობა...

უეცრად ფაფარაყრილი თოვლი,  
თეთრ აფთარივით გზაზე  
მიხოხავს,  
შეძრა სამყარო სიჩუმით,  
მტრულით,  
ვერ იქნა, გული ვერ  
მოიხსა...

დის ქაფიანი ცის მარათონი  
და ხელუხლებელ –  
ფერშეუცვლელი,  
ჩამოთოვლილი მიწის ფართობი  
აგდია, როგორც თეთრი  
ფურცელი...

49



## წრემლი

რა წმინდა რამე ყოფილა ცრემლი,  
უწნაურია, –  
სულ უფრო შრები,  
რაც გადის წლები...

დღო იმდენ მზეს და სინათლეს  
მართმევს,  
ვსვამ შესქელებულ წყვდიადს  
ხელადით  
და რაზეც ასე ვტიროდი ადრე  
ვეღარ ვიტირებ ახლა  
ვერაფრით...

თუ ავარიდებ სმენას ქილიკებს  
და არ მისწვდება ტკივილი  
ურანს,  
უკანასკნელად გამოვიტორებ  
ხვალ ატირების დაკარგულ  
უნარს...

\* \* \*

გამოვიარეთ ჩვენ ქარიშხლები,  
ხეთა სიმტკიცით და ერთგულებით,  
თითები იყო ჩვენი ფესვები  
გვემოსა მიწად ხელისგულები.

ჩაჭიდებულებს ხელიდან ხელში  
გვცდიდა ქარიშხლის შიში და განცდა,  
რა ადვილია, მსგავს ქარიშხლებში,  
მსგავს ქარიშხლებში გადარჩეს, – რაც გწამს.

ოლქ. №3, 2020





და არ გაქვს შიში ბედთან ჭიდილის,  
თუმც გაკრთებოდნენ ცრუ გაელვებით, –  
დღეები, ჭიქის წყალივით მშვიდი,  
გარეშე შფოთვისა და გრიგალების.

და როგორც ბავშვი, ნანატრ სახსოვარს  
იხუტებს გულში, ძილშიც არ იშლის –  
ვთვლემდით, მაგრამ ჩვენს ხელებს ახსოვდათ,  
მოახლოება ყველა ქარიშხლის.

გვცდიდა ყოველი უერთმანეთო  
დღე – თვალწასული დროის ქსოვილში  
და გვაპრუნებდა შიში საერთო,  
ჩვენი ხელების სიმჭიდროვეში.

და როგორც მწერის გაბმით ზუზუნი,  
როგორც ამინდი ძილისმომგვრელი,  
ვერ მივხვდით, დადგა როდის ნამდვილი  
სიმშვიდე ქარიშხალისოდენი.

როდის შეეხსნათ ხელებს თითები  
და უფესევებოდ ყოფნა ეამათ,  
მრავალ ქარიშხალგამოვლილები  
ნიავმა როგორ გაგვანიავა...

\* \* \*

ჩვენ დითირამბებს ვუმდერით  
სიკვდილს,  
ვამზადებთ სიტყვებს ქვად და  
საბელტედ  
და ერთხელ მაინც რომ გვეთქვა  
მისთვის –  
სიტყვა, რომელიც ვერ  
გავიმეტეთ –

მისი სიკვდილის მერე რომ  
ვიტყვით,  
(ვრთავთ მიდევნებულ ლამპრის  
სხივ-შუქით),  
რომ გაპყოლოდა იმ ქვეყნად  
ტფირთი,  
იმ ერთი სიტყვით უფრო  
მსუბუქი...

აიწონიდა ის სიტყვა  
რამდენ,  
ქვებივით ნასროლ სიტყვებს  
უჩინრებს  
და მოურჩენდა უთქმელსაც,  
რადგან  
ქვასავით მძიმე არის  
სიჩუმეც...

რამდენ ჩამქრალ დღეს  
გადაბელავდა,  
მოაპრუნებდა რამდენ  
მაისებს,  
დააბერებდა  
ანდა რა ნელა  
ის ჩამავალი სხივი  
დაისის –

მწუხრის ხნულშიც რომ  
აგუბებს სითბოს,  
სიცოცხლე ისევ რომ  
განმეორდეს,  
სხივივით თბილი  
ის ერთი სიტყვა  
სათქმელად რომ არ  
გვებევრებოდეს...

და წვეთიც რომ არ  
გვენანებოდეს  
წვიმის, –  
მდინარე ვიდრე დაშრება,  
გვეძნელებოდეს რომ არა  
ასე  
ქვა ალმართული ხელის  
დაშვება...

როს მოუკვდებათ სამიზნე  
მშვილდებს,  
ალარ იქცევა სიტყვაც  
ნალვერდლად,  
ნავა ქვასავით მტკიცე  
და მშვიდი  
და ერთ სიტყვაზეც არ  
ალელდება –

მილეთის ზღვა რომ უბეს  
გაივსებს, –  
ვა-ვიშისგან  
ნაზირ-ვეზირის  
და გზად მიმავალს, სიტყვებს  
ნაირფერს  
დაუყრის ფერხთით მკვდარი  
თევზივით...

(– რადგან ამ ქვეყნად მადლს  
სალოცავში,  
ვერ ააშენებ მარტოდენ  
ქვებით...)  
რომ იყო ერთ დროს სიტყვა  
ცოცხალი  
და მოკვდა სიტყვა, რომელიც  
ვერ ვთქვით!



ივერია  
კავკაზიული

გამოხვილეს მინტნარდა ყველაფერი და ყველა მოქადაკეზე წავიდ-წამოვიდა. მაგიდის ბოლომდე აღაგება არ კარგ კი უწარით. ჰამარჯ იქცა მაგიდასთან ახლოს დახტებე შეიცვენა. თვალები მიხურა, მაგრამ ისევ ვილარის ნაკ-ნორი ხმა ჩაესმოდა ყურში. დანასა სინათლე და ნაჟევა მის კარლს. სინათლითვე გრილა გვირაბში და ნაწილში ხმა მიიყვანა მარად უქრინბ წმინდა ლაპტართან, სადაც ზრიგით რეალურ წილ დასთა საგალოობლები. ეს იყო ჰიმინი უკვდავებისა და მარადიულობისა.

## ၈. အေဒီးလျှပ်စီးခြားလုပ်



## გოვიდა ზამთარი

მოვიდა ზამთარი და აღარ მიდის... არა და არ დაილია სუსტიანი დღეები. საუკუნედ მეჩვენა იანგარი, როგორც იქნა დადგა თებერვალი. არ ვიცი, რამდენად ჩადგა ხეში წყალი, ან ჩიტმა ჩიორამ გაიდგა თუ არა საძირკველი, მაგრამ მე მაინც შორი მგონია გაზაფხულამდე. მეჩქარება, გავილიე ლოდინით. ვითვლი, ვითვლი დღეებს და აპა, როგორც იქნა დაამთავრა თებერვალმა ოცდარვა დღე.

დაინტერესონ მარტი... ისევ ჩამოთოვა მთებზე. ისევ  
დამძლალა ქარის წივილმა. ისევ ვითვლი დღეებს... ისევ  
მოლოდინი... ცაო! როდის გამოგზავნი გაზაფხულს  
ცისარტყელებად? გაზაფხულო, როდის გავიგონებ  
შენს კისეისს? როდის შემოაგორებ დედამინაზე ქორ-  
ფა სიმწვანის სურნელს? მერცხლებო, რა სინაულით  
გაგაცილეთ შარშან, მეგონა, ჩემი გულის ნაწილიც  
თან წაიყოლეთ. თქვენი ჭიაჭივი ხომ სიცოცხლეზე  
ფიქრს მიხანგრძლივებს? არ მინდა სიჩუმის ხმით და-  
კიდალო.

მოლოდინით შეიძლება საკმაოდ დაიღლალო, მაგრამ ესეც ხომ საზრუნავია? რაღაც ახლის ძიებაში ხარ, სიახლეს ელოდები. მოგონებებს ფერად მოზაიკებად ვაწყობ, მინდა სიყვარულის სასახლე ავაგო, ყველა თბილი მოგონება შიგ დავასახლო და მზის სხივით ხელუხლებელი დავტოვო. ცხოვრებას გამოცდა კარგა ხანია ჩავაბარე, სისერის შიშიც გადავლახე, შევეგუე ყველაფერს. ახლა კი იმ იდუმალ სამყაროს პლოდები, ნინ რომ გზად გვიდებს ყვილას.

რაც უფრო შევდივარ ხანში, მით უფრო ვუახ-ლოვდები სინამდვილეს, თთქმოს ხელით ვეხები. უფრო აშკარად ვხვდები იმასაც, ჩემში რა იყო ცუდი და რა იყო კარგი. თთქმის შირვული წარსულიდან მამხნევებენ ნაცნობი ხმები, უფრო და უფრო მატულობს მათი ნახვის წყურვილი და სიცოცხლის წარმავლები.

ძიება და ისევ მოლოდინი... ვიღაცის... რაღაცის. ამ მოლოდინშიც არის სიხარულის მცირე ნაპერნკალი. რა მოასვერებს ადამიანის მაძიებელ სულ? ცხოვრება ხომ ამაყი სულის დელია – ბერლისა და ნათ-



მხატვარი სოფიო ჭელიძე

ელის ომი. რა მემართება, არ ვიცი, სულ მოლოდინის  
განცდაში ვარ, ვჩქარობ, სულ ვჩქარობ, ყველაფრის  
მოსწრება მინდა, მინდა ბოლომდე დაიხსხარკვე და  
ისიც მინდა, რომ ჩემი შესაძლებლობების ზღვარი  
გადავლახო. მეც ხომ წუთისოფლის ერთ-ერთი მგ-  
ზავრთაგანი ვარ, რომელიც ამჟამად რომელიღაც  
სადგურთან გაჩერებულა და მინიშნებას ელოდება,  
თუ რომელი გზით ნავიდეს. უკან კიდევ უმრავი  
მგზავრია, უწყვეტ ნაკადად მოედინება და მოედი-  
ნება და ჩემსავით მგზავრობით ილაჯგანყვეტილები  
ელოდებიან მინიშნებას – სდეე! დუღლი დასრულებუ-  
ლია. მდუღარებაში ჩაფლული გზა რიურაუიკით ძრიგა.





მოვიდა გაზაფხული და გაიღვიძა სიცოცხლემ, მომეცა ოცნების და გრძნობების გამოხატვის უნარი. გარდატეხა მოხდა სულმიც. ბუნებასთან ერთად ცნობისმოყვარეობამაც გაიღვიძა. ცხოვრება საინტერესო გახდა. ვეფერები დედამიწას, თვალით ვზომავ მისი ძარღვებიდან ამოვფეთქილ მწვანე პორიზონტს, ღრმად ვისუნთქავ ცვრიანი ბალაბის სიუხვეს. მახალისებს გაღვიძებული კვირტების სიმრავლე და ჩიტების საამური გალობა-ჟღურტული. სიმსნევეს და სიძლიერეს ვგრძნობ. მიყვარხარ, ჩემი ქვეყანავ! მიყვარხარ, ცაო! დედამიწაო, მზეო, შენი ხილვით ბედნიერი ვარ! გმაღლობ, უფალო, ამ ქვეყანას რომ მომავლინე და მომეცი შანსი დავმტკბარიყავი სიყვარულით და სიცოცხლით.

გაზაფხულო, ეს შენ შემაძლებინე, რომ სიბერეზე ფიქრი დავიფრენყო. განა ეს შენ არ მათემევნე, ქვეყნად სიცოცხლე თუნდაც იმიტომ ღირს, რომ გაზაფხული არსებობს?

ველოდები გაზაფხულის უუჟუნა წვიმას, მინდა მანაც მითხრას თავისი სათქმელი. და აი, ისიც... თავის გულისტკივილი გადმოაფრქვა ზეცამ. მან ჩემი აღსარება მოისმინა, მე კი მისი. თურმე რამდენი რაღაც ჰქონია წვიმასაც სათქმელი... ხელები გავუნიდე, მოვეფერე. დავსველდი და დავმშვიდდი. როგორც წყალობა ისე მივიღე, ცაო, შენი ცრემლები...

ალაგ-ალაგ ღრუბლის პატარ-პატარა თეთრი ქულები მშვიდად იწერება ცაზე. მთის წვერებზე კი თეთრი აისბერგებივთ აღმართულან და მედიდურად გადმოჰყურებენ დედამიწას. მაგრამ მათი მედიდურობა რას დააკლებს მზის ბრწყინვალებას და სიძლიერეს? ფუმტულა ქულები კი მშვიდად, ნარნარად მიინევნ წინ, მერე ნაწილდებიან და ცის უკიდეგანი სიღრმეში ქრებიან.

ოხ, როგორ მინდა მიეწვდე და ხელით შევეხო ამ თეთრ ფუმტულა ქულებს, მოვეფერო ამ საოცრებას, ამ ჰაეროვნებას და შევაძახო - გზა მშვიდობისა!

ადამიანი ცხოვრებაში ერთხელ იბადება, ერთი სიცოცხლით ცოცხლობს. ერთხელ მოდის მინიერი ცხოვრებით. ბრუნაქს დედამიწა. გაზაფხული კი, მეორდება და მეორდება... მერე სხვა დრო ჩაენაცვლება და ასე გაგრძელდება უსასრულოდ, რადგან ეს

სამყარო უკვდავია, მარად ნორჩია და მარადუჭენობი. აი, მთავარი არსი მარადიულობისა - დროს არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული, დროს ვერც შეჩერებ და ვერც გაუსწრებ. დრო ყველაფრის მომსწრეა. დრო სასტიკია, ყოვლის შემწე და შემზარავიც... მაგრამ დრო მაინც სიცოცხლეა, სიცოცხლე კი ყველაფერია...

ბავშვობა გამახსენდა. როგორ ველოდებოდი მაშინაც გაზაფხულის მოსვლას? მაგრამ მაშინ ის იმედების და მომავლის გაზაფხული იყო. მიყვარდა ცვრიან ბალაზე ფეხშიშველს სირბილი, წვიმის გუბებში ხტყუზვა და კისკისი. მიყვარდა ცა, მინდოდა ნამიან მოლზე მზის სიცილი დამეჭირა, ლამით ვარსკვლავთცვენა და რიურაუზე ვარსკვლავთქრობა დამეჯახა, ჩემი ცა, ჩემი სალამო, ჩემი დილა, ჩემი მთვარე, ჩემი მზე, ჩემი ოცნება და ჩემი ცხოვრება მქონდა. შორს წამიყვანა სურვილმა. აწმყოში გადმოვინაცვლე და იმედის პატარა ნაპერწკალს დავეყრდენი. არა, ნამდვილად არის კიდევ მეტუთე დრო, დაუწერელი და შეუცნობელი, რომელსაც სულ მუდამ ჩუმად ელოდები. გადავხედე ჩემი ცხოვრების განვლილ გზას, რამდენი დრო გასულა?

„...თურმე რამდენჯერ დაპტერა სიომ, ნუში რამდენჯერ აყვავებულა, თურმე რამდენჯერ ამოსულა მზე, თურმე რამდენჯერ გათენებულა!“

კვლავ დავინწყე ოცნება. მინდა თავი ზღაპრებით მოვიტყუო... და კვლავ დავინწყე ისტორიების აგება ჩემს ჯადოსნურ სამყაროში. და კვლავ გამოვეტრებელილისფერ ცაზე, ალაგ-ალაგ მიმობნეულ ქათქა-თა ღრუბლებში თეთრწვერა მოხუცი, ცხვრის ფარა, ეტლში შებმული მერნები, კოშკები, ფერიები, დიდი ტაძარი და უამრავი ხალხი.

ცა გადაინინდა... წინილებივთ მიმოიფანტნენ ღრუბლები. დრო სწავად მირბის. გაზაფხულიც უცებ გაირბენს, როგორც წუთისოფელი. მერე ისევ აგრილდება, დაინწყება ფოთოლცვენა და ზამთარიც ისე შეუმჩნევლად ჩაენაცვლება ამ ყველაფერს, როგორც დღეს დამე, როგორც მზეს მთვარე, როგორც მწუხარებას სიხარული, როგორც სიკვდილს სიცოცხლე და ისევ დაინწყება მოლოდინი...

## გიო პაპა

შეტყობინება ყველამ ერთ დღეს მიიღო. სასწრაფოდ შეეხმიანენ შვილიშვილები ერთმანეთს და ზოგმა იმავე საღამოს მატარებლით, ზოგმა კი დილით ავტომანქანით გასწიეს სოფლისაკენ. ძალიან უყვარდათ შვილიშვილებს და შვილთაშვილებს გიო პაპა. მართალია, ცხრა ათეულზე ცოტა მეტსაც ითვლიდა მისი ხნოვანება, მაგრამ მასთან განმორება ვერ წარმოედგინათ და მტკიცნეულად განიცადეს მისი გარდაცვალება.

გზაში, თბილისიდან სოფლამდე მათი სალაპარაკო თემა მარტო გიო პაპა იყო. ვერ წარმოედგინათ სოფელი მის გარეშე. თბილად იგონებდნენ მასთან

ერთად წლების მანძილზე გატარებულ დღეებს.

მიუახლოვდნენ ჭიშკარს. ოი, საკვირველებავ, თვალებს არ დაეჯვერებოდა: სადღესასწაულოდ გამოწყობილი პაპა თავის მონაგრას ეზოში ღიმილით შეეგება. უცნაური იყო იმ დღისით.

გაიმალა სუფრა. პაპა ჭიქას ყველას ბოლომდე უვსებდა. არ უყვარდა ნაკლელად შევსებული. სუფრის წევრს შეეძლო საერთოდ არ დაელია, მაგრამ ჭიქა პირამდე უნდა ყოფილიყო სავსე. აკი, ამიტომაც სოფელში ზედმეტ სახელად „გააპიპინე“ შეარქევს.

მთელი ღამე მხიარულება და სიცილ-კისკისი არ შეწყვეტილა მათ ოჯახში. კარგ გუნება-განწყობილე-



ბაზე იყო პაპა. ხალისიანად იხსენებდა ახალგაზრდობაში გატარებულ ბედნიერ დღეებს. სტუმრებით გახარებულმა ხელიც კი გაშალა მოსალხენად. ის კი არა, ჩონგურის სიმებიც მომართა და ომში დაკარგულ შვილებზე თავისივე შეთხული სიმღერა დაამღერა. ლოცებანითლებული პაპა სიამით შეჰქონია და თავის მომავალ თაობას და ეხუმრებოდა: „აბა, რა გეგონათ, ხაშლამის საჭმელად ჩამოგიყვანდით? ვერ მოგართვითო!“ ეს სიტყვიერად, სინამდვილეში კი, რაღაც კაეშანი მოსვენებას არ აძლევდა. სულ რაღაცის მოლოდინში იყო, თითქოს შორეთიდან ვიღაცას ელოდა.

გამთენისას მიწყნარდა ყველაფერი და ყველა მოსასვენებლად წავიდ-წამოვიდა. მაგიდის ბოლომდე ალაგება არც კი უცდიათ. პაპაც იქვე მაგიდასთან ახლოს ტახტზე მიესვენა. თვალები მიხუჭა, მაგრამ ისევ ვილაცის ნაცნობი ხმა ჩაესმოდა ყურში. დაინახა სინათლე და წაჟყვა მის კვალს. სინათლითვე გაიარა გვირაბში და ნაცნობმა ხმამ მიიყვანა მარად უქრობ წმინდა ლამპართან, სადაც ზარივით რეკდნენ ციურ დასთა საგალობლები. ეს იყო ჰიმნი უკვდავებისა და მარადიულობისა.

იყვლა მამალმა ერთხელ, მეორედ, და... პაპა უფალს მიეპატიუებინა თავისთან. სახეზე კეთილი ღი-მილი დასთამამებდა, ღიმილი – შეწყალებისა და ცხონებისა.



53

მხატვარი სოფიო ჭელიძე

## ნურ ძამუკაშვილი

\* \* \*

პოეტის, თელავის / საშუალო სკოლის ყოფილ  
დირექტორს დარეჯან ჭანკოტაძეს

სულ სიკეთისთვის იღვწი,  
„ოლესაც“ უძღვნი ფიქრებს,  
და... საამაყო სიბრძნით  
თავს მკითხველებით იქებს.

და, დგას, ვით, მძლავრი მუხა,  
ქარიც ვერ ერჩის რტოებს,  
და... სიყვარულით „ოლეს“  
წამითაც ვეღარ ტოვებს...

„ოლე“ ძლიერობს ქვეყნით  
და მეგობრებიც თან ჰყავს;  
ყოველ ცისკრისას იგი  
მზეს დინჯად უძღვნის თაყვანს.

და ფრთახატულა უურნალს  
მზე სხივით უსვამს ბეჭედს,  
ოქროს ვარაყით ამკობს  
მის მხარგანიერ ბეჭედს.

ჩვენს წინსვლაზე, რომ ფიქრობ,  
კარგო, ქომაგო, ჩვენო,  
„ოლე“ სიყვარულს იმკის  
და... მკითხველებით შვენობს.

## დავით (კუსა) გატიაშვილი

გთავაზობთ სახელოვანი, თელაველი,  
საოპერო მომღერლის – დავით ბატიაშვილის  
(რომელმაც დიდი ხანია ზეციურ  
საქართველოში გადაინაცვლა) ერთ ლექსს.

### შემოდგომა

მე, შემოდგომა მიტაცებს, უფრო, –  
მაშინ, ბუზება მრავალფერია,  
გაძარცულ ხეთა პარმონიებთან,  
ჩვენი სიცოცხლე არაფერია.

მინას დაჰყრია – ჭრელი ფოთლები, –  
ლამაზ ფერებად გაუფენია,  
ფოთოლს – ფოთოლი, როგორ ეკვრება,  
ბუნებას ასე გაუჩენია.

ადამიანი, უსიყვარულოდ,  
ნააგავს ფოთოლს, მოწყვეტილს ხიდან,  
ფოთოლი – ფოთოლს, მაინც, მონახავს  
კაცი კი, ხშირად... ვერ აღწევს მიზანს...

როგორ წააგას ჩვენი სიცოცხლე  
ბუნების, ასეთ, ფერთა ცვალებას,  
სიცოცხლე – მხოლოდ, სიყვარულია,  
ამიტომა, ის, უკვდავება...

26. III. 1984

ოლე, №3, 2020



### მაია დიაკონიძე

54



საქართველოს მთავრობის განცხადების მინისტრის მიერ გამოცემის მიხედვით

საქართველოს მთავრობის განცხადების მინისტრის მიერ გამოცემის მიხედვით

არავის მწამდა და მაწვიმდა ნაღველი თვალთა,  
ამოუშრომი წრემლით იყო ავსილი კალთა,  
სული წინაპრის, ვხედავ ახლა, ვერაფრით ქმონდა,  
მასავ ჩემიავით, ალმათ, გული დაფრილი ჰქონდა.  
თან წალი და შვილთა მისთა წრდევი ახორისში,  
ნუთუ შემწარა ლუონიშონელი, მინა რომ გვანდო,  
არავის მწამდა და მაწვიმდა ნაღველი თვალთა,  
დავინუერით, — თვით იესო კაწი ფეხებს ჰქონდა.

მ. დაკანიძე

### უას რომ აუცია მოსახხამი, მეს მინდა მქონდეს

ცას რომ აცვია მოსახხამი, მეც მინდა მქონდეს,  
ლურჯ აბრეშუმზე ვარსკვლავების მესხდეს ქიმები,  
მთვარეს კი, როგორც ერთგულ დობილს ტკბილი ბავშვობის,  
თავს შემოვივლებ, ფიანდაზად გავეფინები.  
ციცინათელებს მოვიზიდავ ბაფთების ქნევით,  
იციან... მათთვის წლების წინათ იყო ნიშანი, —  
თავს დაგვდგომოდნენ ციცქანა ბავშვებს ნათლის სვეტებად,  
მყარად რომ გვევლო, არ ჩაგვშლოდა მინა-ქვიშანი.  
შემოვუძღვები ორლობებში მაშვრალ ნიშა ხარს,  
ბებოს გაეძახებ, დახურული გახსნას ჭიშკარი,  
იდუმალებად გადაფენილ სხივთა სუდარას  
ხელში ჭმუჭნის და თითქოს სინჯავს ღამე მისანი.  
დაჭიმულ ნერვზე, როგორც ჩანგზე, ჩამოვკრავ თითებს,  
მოგონებები ტალღებივით აირევიან,  
გული ვერაფრით დაიოკებს ჯადოსნურ ფერებს  
და სისპეტაკეს აკაციის ყვავილებიანს.  
მიუუბენინებ პაპას დოქით ცივ-ცივ წყაროს წყალს,  
აჭრიალდება აივანზე თხმელის ფიცარი  
და ძველებური ალტყინებით ისევ დამლოცავს...  
ოქროს თმის ღერებს დამიკოცნის ანცი ნიავი.  
ცას რომ აცვია მოსახხამი, მეც მინდა მქონდეს,  
ლურჯ აბრეშუმზე ვარსკვლავების მესხდეს ქიმები...  
მთვარეს კი, როგორც ერთგულ დობილს ჩემი ბავშვობის,  
თავს შემოვივლებ, ფიანდაზად გავეფინები.

### აგვისტოს ომი

აგვისტოს ომი, — ქართველთათვის წვიმა ცრემლების,  
არც ერთო წვეთო ჩვენი სისხლის, არ მემეტები,  
ვიღაცა კერავს მავანისთვის შეშლილის ხალათს,  
ღმერთი არავის არ პატიობს სამშობლოს ღალატს.

\* \* \*

ჩემს თმის ღეროებს ქარი აწყობს ჩანგის სიმებად,  
თითოეულ მათგანს აძლევს ტონს და თავის სიმაღლეს,  
თითო აკორდი — მოწყენილი საქართველოა,  
თითო ნოტი კი სიმღერაა საქართველოზე.



## ორელისკები

მდუმარედ დგანან ობელისკები,  
მათ სიდიადეს ვერ დახრის ქარი,  
გადაუვლიან მხოლოდ წვემები,  
გულებში ცრემლის დადგება ღვარი.  
დუმილში ომის გუგუნი ისმის  
და არემარეს ცეცხლი ედება,  
ცა, დაბურული პირქუში ნისლით,  
მათ კვარცხლბეჭებთან განიკვეთება.  
ობელისკებში ჩაკირულ ვარამს  
გადაცრეცილი დროშის ფერი აქვს,  
დგანან და უხმოდ ელიან კვლავაც  
გმირთა აჩრდილებს, დედებს ცრემლიანს.  
მდუმარედ დგანან ობელისკები,  
მათ სიდიადეს ვერ დახრის ქარი,  
გადაუვლიან მხოლოდ წვემები,  
გულებში ცრემლის დადგება ღვარი.

## ლიმილი არაზრუნების

გადამხმარ ჭადარს დაეკიდა  
მსუბუქი მძივი ლურჯი წვიმების  
და მისი კაბა იყო ისეთი ნაზი, ისეთი სადა,  
როგორც ლიმილი არდაბრუნების.

## ზღვაო!

ზღვაო, პულსივით წუ ჰელეთქავ, ჰქუხხარ,  
მინდა, ჩაგერო, როგორც ნაფოტი,  
დედასავით რომ გადამარწიო,  
დრო დამავიწყო მისი არყოფნის.

## მზეობანას ვთამაშორ ისევ

ბავშვებით ისევ ძაფებს ვხლართავ  
და მზეობანას ვთამაშობ ისევ,  
ვუმზერ ქალაქზე დაკიდულ ანძას,  
მაგრამ ის ხიბლი არა აქვს უკვე.

## ფრომ არ ფაგვინფო

ფრომ არ დაგვინდო და ჩამოგვრეცხა,  
ფსკერზე ვასვენივართ ნასალები,  
ალარც რაი გვცხია დავითისა,  
ალარც გვეზრდებიან თამარები,  
გონზე სწრაფად თუ ვერ მოვეგებით,  
უამი თან წაგვილებს გამალებით.

## სუნთქვიდან ვიწყებთ!

სუნთქვიდან ვიწყებთ  
სამშობლოს ძახილს  
და მის გარეშე  
ნურც გავძლო წამი!

## უჩემობით გაივსება ქუჩა

მე წვიმაში სიარული მიყვარს,  
წყალს რომ გვასხამს ზეცა ნისლის თეფშით,  
აივსება წვიმით ყველა შემა,  
– დროა, შვილო! – ზეციერი მეტყვის.  
ავუყვები ცისარტყელას კიბეს,  
იქნებ ვიზმებ შემაშველოს მკლავიც,  
უჩემობით გაივსება ქუჩა  
და უჩემოდ დაიღვრება წყალი.

55



## ლამე

ფანჯრიდან მიზზერს შავი აჩრდილი,  
მგონი, ლამეა ფაფარაყრილი,  
შემოაბიჯა ოთახში ნელა  
და ჩემს გარშემო ვერაფერს ვხედავ...  
დუმს და წიკნიკს წყვეტს კედლის საათიც,  
ნაბიჯა დგამს ჩემად, უხმოდ, ტაატით.  
თვით ქაჯათა მცველი, როშაქი დადის,  
რომ წარიტაცოს ნათელი მთვარის.

## სახუმარო

ეს ჩემი გული ბებერი,  
სულ მუდამ ალიბალიობს,  
სან ჩამოწვება მეწყერი,  
სან ეგებება ალიონს.  
ვერ დაწყნარდა და ვერ მორჩა  
უთავბოლო დოღს, ჭენებას,  
თან ვფიქრობ: „რომ შეიცვალოს,  
მერე მერა მეშველება?!”

## სიმღერა ჩვენი

სიმღერა ჩვენი ერთი დიდი სატირალია,  
ჭირსა თუ ლხინში გამობრძმედილ-გამონათალი,  
გალობა ჩვენი სიკვდილია, ელდის დარია,  
მით მალლდებოდნენ ზეცის კიდედ მამა-პაპანი,  
ცხოვრებასავით ტკბილ-მომწარო დასალევია,  
სან რბილზე-რბილი, ხან პირქუში, შავი ქვასავით,  
მარტოობაა, უსასობა, უფრთო გენია,

ოლქ. №3, 2020





## მიმოზებო, წყენით მიმზერო

მიმოზებო, წყენით მიმზერთ,  
გამჯობინეთ არჯაკელი,  
ღორის ძირას ის ხარობდა,  
ფხალს ხარშავდა ბებო ჩემი.

## ლმერთო, როდისლა დაფერთ ის ფლე?!

ვწევარ და გული მუშაობს პირქვე,  
ანენილ ნისლებს თმებში ვივანებ,  
ღმერთო, როდისლა დადგება ის დღე,  
აღარ მეკეთოს გლოვის პირბადე.  
სულ ერთნაირად მაგლეჯენ ხორცებს,  
თითო მტკაველი ფიქრივით მტკივა  
და წართმეული ჭალების პირი  
გულზე მესობა წამახულ რკინად.  
მეგონა, ვცხოვრობ უკეთეს დროში,  
აღარ ვაჭრობენ ვაჟკაცთა სისხლით,  
მაგრამ მელია, ქათმებს რომ გვიჭამს?  
კვლავ კრიახის და გლოვის ხმა ისმის.  
სამართალს, ნეტავ, ვინ ქსოვს და კერავს,  
არ ვუყურებდე მის კვდომა-ხროტინს,  
აღდგეს და ეცეს ელვად და მეხად,  
ვინც გვართმევს ცეცხლს და წინაპართ როდინს.

## უიმრიმა წვეთი

შენი წყაროს წყლის ციმციმა წვეთი  
შესვი დოქით და თუ გინდა პეშვით,  
ასეთ ანკარას, ცივს გაძლევს ღმერთი,  
რა უნდა გსურდეს ამაზე მეტი?!

## ქარი მოფრინდა და...

ქარი მოფრინდა და მომაცხო ტუჩებზე საცხი,  
თითქოს ვიღაცის ვნებიანი კოცნა მაჩუქა,  
ამინითლა და მომერვენა, ვჭამდი ალუბალს,  
შენ რომ გიყვარდა ასე ძლიერ, ასე ძალუმად.



## ხან მენატრება სიკვდილი (სატრიუმილო)

ხან მენატრება სიკვდილი,  
ხან კი სიცოცხლეს მანდომებ,  
გვირისტივით რომ დაჰყვები  
ჩემი სიცოცხლის გზა-კბოდეს.  
ხან ლაშვარდებში გამაფრენ,  
ხან ზღვასთან უწყლოდ ვფართხალებ,  
ცოცხალი თუ ვერ მიხილე,  
სასაფლაოს გზა გაკვალე.  
ხან არწივივით მაღლა ვარ,  
ხან ვცურავ დაბლა გველივით,  
ჩემს ტანჯვას ბოლო არ უჩანს,  
გზაზე გავჭრილვარ ხელივით.  
ხან მენატრება სიკვდილი,  
ხან კი სიცოცხლეს მანდომებ,  
რა გვირისტივით დაჰყვები,  
ჩემი სიცოცხლის გზა-კბოდეს!

## ჴაჭროფიალო

ქალი:  
ხუნდებს დავიყრი ფეხებზე,  
რომ აღარსაით წავიდე,  
მომეფერები, დამთქორავ,  
ცხოვრებას გამიხალისებ.

ვაჟი:  
მეც არსაით მაქეს სავალი,  
შენი ღიმილის ჭირიმე,  
შენს კართან ღამეს ვათენებ,  
რომ გამოგადგე რითიმე.

## ჴიმლერა

სტრიქონებში სტრიქონები მოდის,  
ეწებება ეგ ტუჩები ჩემსას,  
სისხლში მივლის ჟრუანტელი, ელვა,  
მინდა, გული შენს გულს ჯაჭვით ებას.

მისამლერი:  
სულშიც შენ ხარ, ფიქრებშიაც შენ ხარ,  
სიყვარულის შეესვამ შარბათ-ნექტარს.

სტრიქონებში სტრიქონები მოდის,  
ეწებება ეგ ტუჩები ჩემსას.  
ზღვის ტალღების ვნებიანი თქორი  
წაგვიღებს და გადაგვლეკავს ერთად.

მისამლერი:  
სულშიც შენ ხარ, ფიქრებშიაც შენ ხარ,  
სიყვარულის შეესვამ შარბათ-ნექტარს.

## ხელი მომენტ ვიზუავოთ! (სიმღერა)

გულზე ხელი მომჭიდე,  
თუ გრძნობ, როგორ ფართხალებს,  
თუ გრძნობ, როგორ ეხვევა  
ტკივილებში, ხედავ?  
მივადექი სხვა კუთხეს,  
სხვა ზღვასა და სხვა მხარეს,  
მაინც ვერ დაგივიწყე,  
ჩემო კარგო, ხედავ?  
ამოუცნობ ბილიკებს  
წაგყევი და შენც წაყევ,  
ბედმა სად არ გვატარა,  
დავცოტავდით, ხედავ?  
თმები, თითქოს ქაოსი,  
მოგვრევია ტაროსი,  
ნაოჭებში ჩაფლულებს,  
არა გვიკვირს, ხედავ?  
წახვედი და მეც წაველ,  
აღარ ვიტყვი დანარჩენს,  
ბედმა ისევ დაგვცინა,  
შეგვახვედრა, ხედავ?  
ხელი მომეც, ვიცეკვოთ,  
აბა, ტაში, ბიჭებო,  
ჩაგვეძინა ორივეს,  
საყვარელო, ხედავ?  
ახლა მაინც ერთად ვართ,  
ცეცხლის პირას კერა გვაქვს,  
შეუკეთე, არ ჩაქრეს,  
ინავლება, ხედავ?!

\* \* \*

სევდამ დაგლიჯა სიხარულის ბოლო ნოტები,  
ავინწენები, ავიტოტები,  
ახლა სიხარულს ვეძებ ოტებით,  
რომ დავამარცხო სევდის ტოტემი.

\* \* \*

შეჩერდი წამო, მე არა ვარ შენი პყრობილი,  
ნუ ჩამიკეტავ სასმელ წყალს და იმის სათავეს,  
ვარ უგუნური, რომ დაგითმე ჩემი სახატე,  
არა გცოდნია მისი ფასი, მეც ვერ მაფასებ.

\* \* \*

იმედგაცრუებების კასკადში ვიძირები,  
წინ ნაბიჯსაც ვერა ვდგამ, არავის მაქვს იმედი,  
ცოდვა კაცად გადიქცა, გამოუბამს თითები,  
მახრიბს, ყელზე მომეჭდო, ლამისაა, მივნებდი.

## რად უივუივებთ ჩიტუნებო! ჩიტუნებო!

რად უივუივებთ ჩიტუნებო,  
ვის კარებთან მიფრინავთ?  
ეგ მოხუცი, მანდ რომ ცხოვრობს,  
უსათუოდ გიუია,  
გზაზე ხელგაშლილი დადის,  
თქვენთვის დააქვს საკენკი,  
ჯიბედატენილი ძეხვით,  
პურის ერთი ნატეხით.  
მართლა, აღარ დამინახავს  
უკვე ორი დღე-ღამე,  
მტკვრის ნაპირზე  
რომ დავლანდე,  
წყლით ავსებდა ხელადებს,  
ნეტავ, რისთვის ამზადებდა,  
იქ რეცხავდა სუდარას,  
ძალი უკან მოჰყოლოდა,  
თვალში ედგა მუდარა.  
რად უივუივებთ, ჩიტუნებო,  
ლია არის კარები?  
ეჭ, ამ ბეჩავს, ქვეყნის გლახას,  
დაუხუჭავს თვალები.

57



## ეს ჭოჭოხეთის ზჟენი განიხვნენ!

თითის ფალანგებს დამითვლის ღამე,  
თან ცბიერებით ჩამცქერის თვალში,  
– ხომ გაგაცურე, ადამის მოდგმავ!  
– იხრება ჩემებნ ქორირა თავით.  
მოუგავს თმები აჩეჩილ ნისლებს,  
ბნელიდან მიცქერს ორივე თვალით,  
ტუჩები წითელ მაგონებს ციყვებს,  
ცქმუტავს, ირხევა ორივე რკალი.  
ზიმზიმებს, ოხრაეს და იკლაკნება  
ცა, ვარსკვლავიანს ჩამოჰგავს ბორბალს  
და მის შუაში, თეთრ დისკივით,  
ბრჭყვიალ-ტრიალებს ხაპერა-გოგრა.  
ნუთუ, ჯოჯოთა კარნავალზე ვარ,  
ცეკვავენ ირგვლივ მორთული ხენი,  
ოჩოპინტრეა, თუ მელანდება?  
კაცის სახე აქვს და ტანი ცხენის!  
– ხომ გაგაცურე, ჩემო სტუმარო,  
– ქირქილით ამბობს შავტუხა ღამე,  
– შენ კი, ელოდი კონკიას ქორწილს,  
მიპატიუებას, ლურჯ ზღვასთან ალერს.  
ირგვლივ დაფრენენ ავი სულები,  
შენ რომ გეგონა ნაზი ბულბული,  
მისი სტვენის და გალობის ნაცვლად  
გესმის ყრანტალი, ნელი გუგუნი:  
ეს ჯოჯოხეთის ბჭენი განიხვნენ,  
ხედავ, გამორბის ყველა სულდგმული,  
ცოტაც და ქვეყნის დარჩება მტკერი,  
გადაკეტავენ მინას ურდულით!

ოლქ. №3, 2020



## ნიკოლაი შამსუტდინოვი

58



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მინისტრის მიერ განცხადება

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მინისტრის მიერ განცხადება

ფასურით ლიტერატურულ სალამოზე, თუკი მეხსიერება არ მოაღავრობს, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში, ჩემი წიგნი ევგენი ალექსანდროვიჩის ხელში დავინახე. როგორ სალამოს ნამყვანი იგი მრავალრიცხოვან პურლიკას ნარულებითა და ოვარის მაძიებელ ახალგაზრდა პოეტებს. ევგენი ევტეშენკომ შემომთავაზა პოზიტივის მოყვარულობითი ნამეტითა ჩემი ლექსი „თევზის ჭერა“, რომელიც მას მოსწონებოდა. მან ლექსის ერთი სტროფი თავად წაიკითხა და წარმატებინა, როგორც „გენიალური სახეების ავტორი“.

6. შამსუტდინოვი

### ევგენი ევტეშენკოზე

(იპეჭდება შემოკლებით)

ახლახან გარდაიცვალა გამოჩენილი ადამიანი, „ადამიანი (შეიძლება ითქვას) ეპოქა“, რომელიც მრავალი ათეული წლებია მილიონობით მკითხველის ყურადღებას იპყრობდა...

მე ბედმა მარგუნა მასთან ურთიერთობა მქონდა და ზოგიერთი მოგონება ისე მყარად ჩამრჩა გონიერაში, რომ მინდა, ძვირფას მკითხველო, თქვენც გავიზიაროთ.

ოცდაათი წლის წინ, იმ საუცხოო 1980 წელს, კომიკაშირის ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო მწერალთა კავშირის ძალისხმევით განხორციელდა გრანდიოზული ჩანაფიქრი – მაიაკოვსკის პოეზიის საკავშირო დღეები საქართველოში. ღონისძიებაზე ჩამოვიდა ასეულობით ახალგაზრდა პოეტი, როგორც პრესა იუწყებოდა, რუსეთის ყველა რეგიონიდან და იმ დროისთვის უზარმაზარი ქვეყნის მოკავშირე რესპუბლიკებიდან ქუთაისში, ბაღდადთან ახლოს, სადაც დაიბადა მაიაკოვსკი.

ამ ლიტერატურულ შეკრებაზე მე ჩამოვედი საკმაოდ „შეიარაღებული“ – ლექსების ახალი წიგნით „ვისწავლოთ მოცდა“. სამხატვრო გალერეის დათვალიერებისას, წარმოშობით აღმოსავლელ ციმბირელ, კეთილგანწყობილ „მეტრს“ შევთავაზე გასცნობოდა ჩემს წიგნს და „წაეკითხა დასავლეთელი ციმბირელი“, რაზედაც სახელოვანმა თანამოსაუბრებმ სრულიად მართებულად მიპასუხა, რას წიმნას წავიკითხო? მაჩუქე და წავიკითხავ... მე წიგნი ვაჩუქე და ფორზაცზე წაგანერე: „პოეტ ე. ევტუშენკოს – პოეტ ნ. შამსუტდინოვისგან“.

დასკვნით ლიტერატურულ სალამოზე, თუკი მეხსიერება არ მღალატობს, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში, ჩემი წიგნი ევგენი ალექსანდროვიჩის ხელში დავინახე. როგორც სალამოს წამყვანი იგი მრავალრიცხვან პუბლიკას წარუდგენდა აღიარებისა და ოვაციის მაძიებელ ახალგაზრდა პო-

ეტებს. ევგენი ევტეშენკომ შემომთავაზა პოეზიის მოყვარულთათვის ნამეტითხა ჩემი ლექსი „თევზის ჭერა“, რომელიც მას მოსწონებოდა. მან ლექსის ერთი სტროფი თავად წაიკითხა და წარმატებინა, როგორც „გენიალური სახეების ავტორი“.

და მე შინაგანად ნირნამხდარი, გარეგნულად კი ჩემ ჩვეულ მანერაში – დარბასსლურად და აუჩქარებლად მივედი მიკროფონთან და ვთქვი: რაკი ეს ლექსი მოგენინათ, ასე იყოს, წავიკითხვა... არ მინდოდა ასეთი „თავაშვებული“ ლექსის წაკითხვა, მაგრამ არც ის მინდოდა ჩემი უარით უფროსი მეგობარი გამენბილებინა.

რადგანაც ეს პოეტური მარათონი წარმოადგენდა დასკვნით ღონისძიებას (მანამდე საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ბევრი ვიმოგზაურეთ – იყო შეხვედრები და სიტყვით გამოსვლები), ძველი ქართული ტრადიციის მიხედვით „მაიაკოვსკის დღეები“ ღირსეულად უნდა აღგველნიშნა. საბანკეტო სუფრა ბუნების წიაღში, ბაღდადთან ახლოს გაიშალა. მძლავრ ჩანჩქერთან მისასვლელად ფიცრის ხიდები იყო გადებული და სურვილის შემთხვევაში გაგრილებაც შეიძლებოდა და ხელპირის დაბანაც.

არ დავიწყებ ქართული სანადიმო სუფრის დიდებულებისა და სიუხვის მხატვრულ აღწერას – რაც მსოფლიოსათვის ისედაც ცნობილია. შევჩერდები მხოლოდ სახასიათო დეტალებზე, უპირველეს ყოვლისა, მრავალრიცხვან სადღეგრძელოებზე, რომლებიც საქართველოში მსგავს სუფრებზე უხვად ისმება. ორჯერ ღვინით სავსე ყანწი, რომელიც სადღეგრძელოს წარმომთქმელს აუცილებლად უნდა დაეცალა ჩემსკენ წამოვიდა. ყანწმა არც მესამეჯერ ამიარა გვერდი, მაგრამ ამჯერად, გამოცდილება შეძენილი ყანწს ყოველმხრივ მომზადებული დავხვდი და როგორც კი ჩემს ხელში აღმოჩნდა,





59



მაიაკოვსკის დღეები საქართველოში. ნიკოლაი შამსუტდინოვი გამოსვლისას. 1984 წელი

ნამოვდექი და თანამეინახეთ მოწოდებით მიღმართე:   
Алаверды тебе, мой друг,  
Алаверды тебе, мой брат!  
Мы за столом сошлись не вдруг,  
И этому я очень рад!  
И пусть мой тост и стар, и прост,  
Полней бокалы мы нальем...  
Я поднимаю этот тост:  
Мы за грузинских женщин – пьем!

გაზიადება არ მჩვევა, ჩემს ლექს-სადლე-  
გრძელოს ყველა ალფროვანებით შეხვდა. გაისმა  
მონონების შეძახილები, მომხიბვლელი მთიელები  
ყვავილებს და თაიგულებს ჩვენი მაგიდისაკენ ის-  
როდნენ და ცდილობდნენ სადლეგრძელოს წარ-  
მომთქმელთან ერთად გაეზიარებინათ ეს ჭრიუმ-  
ფი...

მორიგი შესვენებისას ყველანი მეგობრულად  
გავემართეთ დახუთული დარბაზის გასასვლელ-  
ისკენ, რათა მწვანე მდელოზე გავსულიყვავით – სიგ-  
რილეში, საღამოს მთვარის ქვეშ.

ასეთი გულმხურვალე და გულნრფელი  
მასპინძლობისთვის, მშვენიერი დიასახლისების  
მიმართ მადლიერებით ავსებულს, მინდოდა ჩემი  
შთაბეჭდილებები, ის რაც, საქართველოში ვნახე  
და განვიცადე მათთვის გამეზიარებინა. ისინი არ

ერიდებოდნენ, ახალგაზრდა, ტყბილმოუბარ ციმბი-  
რელს... მაგრამ არც მათი მგზნებარე თანამემამუ-  
ლები თვლემდნენ.

არა, ისინი არ მოიწვდნენ მგზნებარე ციმბი-  
რელისთვის ანგარიშის გასასწორებლად. პირიქით,  
მოახლოებისას გულნრფელად წუხდნენ, რადგან  
შესანიშნავ ადამიანთან, ძვირფას სტუმართან ერ-  
თად დალევა ჯერაც ვერ მოახერხეს და ეს საჩქა-  
როდ უნდა გამოსწორებულიყო – მორიგი ყანწი და-  
ცლილიყო...

და მადლიერი სტუმრის გულში გარკვევით  
იბადებოდა რაღაც თანაგანცდის გრძნობა, რის  
გამოც იგი უკან მიდიოდა – სუფრისკენ, რათა  
ალთემულ მდელოზე დაბრუნებისას ვეღარ ეხილა  
ვერც მშვენიერი თანამოსაუბრე და ვერც ახლახან  
შეძენილი, მაგრამ მოულოდნელად საზეიმო ორომ-  
ტრიალში დაკარგული გულითადი მეგობრები...

გავიდა წლები...

და ბედმა ისევ შემახვედრა ევგენი ევტუშენკოს,  
მაგრამ ახლა უკვე აღმოსავლეთ ციმბირში, უფრო  
სწორედ ირკუტსკში...

რუსულიდან თარგმნა

**აკაკი დაუშვილეა**



### ნიაზ პოლევაძე

60



საქართველოს მწერალთა კაცისიაში, კურძოდ კოლხ-ეთში ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასახურისში მოხდა ფიჭი ჩვლილერები. მეტალურგიის განვითარების უფიდესი მიღწევა იყო კოლხი მეტალურგების მიერ მად-ნიდან გამოწინდის წესით რკინის მიღწევა და ათვისება, რამაც რევოლუციური გარფადება მოახდინა კაწობრიობის წილიზე განვითარების საქმეში...

#### 6. მოლექვაძე

საქართველოს მწერალთა კაცისიაში წევრი, ფილოსოფოსთა საზოგადოების წევრი, ბაშკირეთის რესპუბლიკის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ეროვნული კულტურის ცენტრის დამფუძნებელი, ბაშკირეთის ქართველთა სათვისტომოს დამფუძნებელი და პრეზიდენტი (ამჟამად საპატიო), საქველმოებელი ფონდი „წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად“ დამფუძნებელი და თავმჯდომარე.

არის 15 წიგნის, 50-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომის და 500-ზე მეტი პუბლიცისტური სტატიის ავტორი ქართულ და უცხოურ გამომცემლობებში.

### უძელეს კოლეგიალურობის საიდუმლოება

არ დავიწყება საკაცობრიო ცივილიზაციის საწყისებისა!

„სამყაროში ერთი მიზეზის ახსნა უფრო ძვირად მიღირს, ვიდრე სპარსეთის ტახტი“  
დემოკრიტე

ამიერკავკასიაში უძველესი მეტალურგიის კერების აღმოჩენისა და შესწავლის მხრივ თითქმის საუკუნის მანძილზე ქართველი და უცხოული მეცნიერების მიღწევების შედეგად დიდად მნიშვნელოვანი შრომები მოგვეპოვება.

მიუხედავად ამისა კვლავ რჩება შესასწავლი არა-აერთი საინტერესო საკითხი, რომელიც დღემდე სათანადო ყურადღების მიღმა რჩებოდა.

აქედან გამომდინარე ყურადღება მინდა გავმახვილო ერთ მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტზე, რომელიც სიამაყის გრძნობასთან ერთად დიდ ინტერესსა და გაოცებას იწვევს, კერძოდ: ძველი კოლხეთის მმართველები და კოლხი მეტალურგები საუკუნეების მანძილზე როგორ ახერხებდნენ რკინის წარმოების ტექნოლოგიების საიდუმლოების დაცვა?

ვიდრე ამ საიდუმლოების ახსნას შევეცდებოდე, საერთო წარმოდგენისათვის კარგი იქნებოდა მოკლე ისტორიული მიმოხილვა და არსებული მდგომარეობის ანალიზი ამ თემასთან დაკავშირებით.

უძველესი და ანტიკური ხანის ეგვიპტური, ხე-თური, ბერძნული, ურარტული და სხვა ისტორიული წერილობითი წყაროები მოწმობენ საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ ძველი კოლხ-

ური ტომები – ხალიბები რკინის პირველი მწარმოებლები იყვნენ. ანუ მადნიდან გამოდნობის წესით რკინის მიღება დედამიწაზე პირველად ჩაისახა და იწყო განვითარება შავიზღვისპირებში, ძველ კოლხეთში.

ბუნებრივია ამ აზრის აღიარებისათვის, რაც თავის მხრივ ჩვენი წინაპრების უდიდესი ღვაწლის აღიარებას ნიმუშს კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების საქმეში, მხოლოდ ძველი ისტორიული წერილობითი წყაროები საკარისი ვერ იქნებოდა, ამიტომ 1950-იანი წლებიდან ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე დაიწყო არქეოლოგიური გათხრები.

1959-2000 წლებში მთელი კოლხეთის ტერიტორიაზე უძველესი კოლხური რკინის სადნობი სახელისნოების აღმოჩენამ, რომლებიც ყველაზე ძველი კოლხური ძეგლებია და თარიღდებიან ძვ.წ. XIII-VII საუკ. (მდ. ჭორობის, ჩაქვის წყლის, ჩოლოქის, სუფ-სა-გუბაზეულის, ხობი-ორხეომურის აუზებში და სხვ.) ნივთიერი მტკიცებულებებით დაადასტურეს ზემოაღნიშნული ისტორიული წერილობითი წყაროებით გაბატონებული აზრი იმის შესახებ, რომ საქართველო რკინის წარმოების ისტორიული სამშობლოა.

ძვ.წ. XII საუკუნიდან დასავლეთ ამიერკავკასია უკვე წარმოადგენდა რკინა-ფოლადის მწარმოებელ



მთავარ რეგიონს, მაშინ როდესაც ძველი სამყაროს ცივილიზებული ქვეყნებისათვის რკინის წარმოება უცხო იყო.

ცივილიზაციის განვითარების გზაზე ასეთი დიდი გარდატეხა არ იყო შემთხვევითი. მას წინ ბრინჯაოს მეტალურგიის მდიდარი გამოცდილება ედო საფუძვლად. საბადოებით მდიდარი ამიერკავკასია იზოლირებული ვერ იქნებოდა მსოფლიო ისტორიული პროცესებისაგან. კოლების ტერიტორიაზე მცხოვრები ძველი მელი-თონებიც ჩართული იყნენ წინააზოური კულტურების განვითარების ერთიან სისტემაში.

გვიან ბრინჯაოს ხანაში, კავკასიაში, კერძოდ კოლხეთში ძ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისში მოხდა დიდი ცვლილებები. მეტალურგიის განვითარების უდიდესი მიღწევა იყო კოლხი მეტალურგების მიერ მადნიდან გამოდნობის წესით რკინის მიღება და ათვისება, რამაც რევოლუციური გარდატეხა მოახდინა კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების საქმეში...

წინაპართა ამ უდიდესი ღვანლის დამადასტურებელი ნივთიერი მტკიცებულებები, ძველი კოლხური რკინის სადნობი სახელოსნოები, რომელთა აღმოჩენებსაც აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა აღვრთოვანებით „დიდი საქმის დასაწყის“ უწოდა, (1964წ.) საბოლოო განადგურების რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

მეცნიერულად შესწავლის შემდეგ ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოებიდან შედარებით უმნიშვნელო სამუზეუმო ექსპონატების მუზეუმებში გადატანის შემდეგ მთავარი, თვით სახელოსნო-ლუმელები, ქვის მაგიდა „საჟეპლა“, ირგვლივ მოფენილი წიდებით კონსერვაციის გარეშე დარჩენილი ათწლეულების მანძილზე დავინებას მიეცა. შედეგად, ბევრი ასეთი ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნო, ქეგლი რომლითაც იამაყებდა ნებისმიერი ერი, განადგურდა. სოფლის მეურნეობისათვის გამოყენების მიზნით ეს ტერიტორიები ადგილობრივა მოსახლეობამ შემოლია, მოხნა და აითვისა...

უძველეს ქართველთა დიადი წარსული, კოლხური რკინის მეტალურგიის ისტორია სამუდამო დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

მუზეუმებში დაცულ ათასობით სხვადასხვა სახის ექსპონატების გვერდით რკინის წარმოების ნიმუშები ვერ ახდენენ იმ შთაბეჭდილებას მნახველზე, როგორიც შეიძლება მოახდინოს უძველესმა, დედამინაზე ერთ-ერთი პირველი ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოების ხახვამ.

შედეგად მას არ მოჰყოლია ის ფართო რეზონანსი, ქართველი ერის წინაპართა ღვანლის საერთაშორისოდ აღიარება და დაფასება, როგორც რკინის წარმოების ისტორიული სამშობლოს, რაზედაც აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი, მეცნიერთა საზო-



ეს წიდა წინაპრებს 3300 წლის წინათ ეჭირათ ხელში, როცა რკინას აღნიბდნენ. რეზო ადამია, წიაზ ბოლქვაძე

გადოება და შეიძლება ითქვას მთლიანად ქართველი ხალხი იმედს ამყარებდა.

ამ აზრს დამატებით მოწმობს ის ფაქტებიც, რომ საქართველო მსოფლიო ხალხთა ატლასზე, ტურისტულ ცონბარებში და სხვაგან წარმოდგენილია მხოლოდ როგორც ძველი ქრისტიანული ქვეყანა და ვაზის სამშობლო....

ზემოაღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე თანამოაზრებთან ერთად ჩემთვის შესაძლებელი გახდა კოლხეთის სხვადასხვა მხარეს მდ. ჩაქვის წყლის, მდ. ჭოროხის და მდ. ჩოლოქის აუზებში უფლის ნებით, სასწაულებრივად ჯერ კიდევ უვნებლად შემორჩენილი, დაკარგული ისტორიული კოლხური მეტალურგიის კერძების მოძიება, ტერიტორიების შემოღება, გადარჩენა და დაცვა. მათ შორის ჩაქვის ჩისუბინის ისტორიულ რკინის სადნობი სახელოსნოს 2019 წლის ნოემბერში უძრავი მატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. მიმდინარეობს მუშაობა დანარჩენ ძეგლებთან მიმართებაში.

დღეს ჩვენს წინაშე მდ. ჭოროხის, მდ. ჩოლოქის და ჩაქვის წყლის აუზებში დაცული უძველეს კოლხთა რკინის სადნობი სახელოსნოების სახით, ისტორიულ წერილობით წყაროებთან ერთად საკარისი წივთიერი მტკიცებულებები გაგვაჩნია იმისათვის, რომ საქართველო „იუნესკოს“ წინაშე წარსდგეს როგორც რკინის წარმოების ისტორიული სამშობლო. მსოფლიოს ხალხთა დიდ ატლასზე საქართველო ვაზის სამშობლოსთან ერთად წარმოდგენილი იქნას რკინის წარმოების ისტორიულ სამშობლოდ!

ეს საკითხი შემდგომი, ცალკე მსჯელობის საგანია (ხ. წიგნი: წიაზ ბოლქვაძე, „წინაპართა მეგვიდრეობის გადასარჩენად. საქართველო, ჩაქვი-უძველესი მეტალურგიის სათავეებთან“ თბ., 2020 წ.). დაუუბრუნდეთ განსახილველ თემას.

\* \* \*

როგორც უკვე შესავალში აღინიშნა ამ წარმომით შევეცდები იმ ისტორიული მოვლენების ახსნას, რო-





მელიც ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი, არას-ნორი წარმოდგენა დამკვიდრდა მასზე და დღემდე პასუხს მოელოდა.

საქმე ეხება მეტად საინტერესო ისტორიულ ფაქტს: თუ როგორ იყო შესაძლებელი ძველი კოლხეთის მმართველებისთვის საუკუნების მანძილზე რეინის წარმოების ტექნოლოგიის საიდუმლოდ დაცვა, მაშინ, როცა საქართველოს უკვე მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა მაშინდელ მსოფლიოს ცივილიზაციულ ქვეყნებთან, ასევე იყო სხვა ათასი დაუპატიუებელი მომხდური თუ მოგზაური. ამის ერთ-ერთი მაგალითია არგონავტების მოგზაურობა საქართველოში, რომელთა მთავარ მიზანს უპირველესად სწორედ, რომ რეინის წარმოების საიდუმლოების მოპოვება წარმოადგენდა. ამ აზრის ჭქმარიტებას უნდა მოწმობდეს ჩვენს ნინაშე არსებული ერთ-ერთი ის რეალური ისტორიული ფაქტი, რომ ჩოლოებისა და ჩაქვის რეინის სადნობი სახელოსნოები არგონავტების საქართველოში მოგზაურობის დროს (დაახ. ძვ.წ. XIII-XI საუკ.) მოქმედი ობიექტები იყო, სადაც რეინის წარმოება იწყებდა განვითარებას. ამ დროისათვის როგორც ძვ. ხეთური და ბერძნული წყაროები მოწმობენ რეინა ოქროზე 10-ჯერ მეტად ფასობდა.

ოქროს საწმისი კი მატერიალურად მდიდარი კოლხეთის სიმბოლო იყო, რომელმაც მაშინდელი სამყაროს შემოქმედებით წრეებში პოეტურად ასახვა ჰქოვა...

დიდი მოაზროვნე, ფილოსოფოსი დემოკრიტე (ძვ.წ. V-IV საუკ.) აღნიშნავდა: „სამყაროში ერთი მიზეზის ახსნა უფრო ძვირად მიღირს, ვიდრე სპარსეთის ტახტი“.

აქედან ის მინდოდა მეთქვა, რომ უძველესი დროიდან ცივილიზაციის განვითარების გზაზე, ყოველი ახალი აღმოჩენა, რომელსაც სამხედრო და ეკონომიკის განვითარების მხრივ სტრატეგიული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მე-აცრად, საიდუმლოდ ინახებოდა.

ისტორიული ფაქტები მოწმობენ, რომ კოლხი მეტალურგების მიერ რეინის წარმოების ტექნოლოგიის საიდუმლოება მრავალი საუკუნის მანძილზე მტკიცედ იყო დაცული.

როგორც უკვე შესავალში აღვნიშნეთ ძვ. წ. XII საუკუნიდან დასავლეთ ამიერკავკასია, კერძოდ კოლხეთი წარმოადგენდა რეინა-ფოლადის მნარმოებელ მთავარ რეგიონს. მანამდე ქართველ მეტალურგებს, ბრინჯაოს ხანიდან სხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების უკვე ათასწლოვანი გამოცდილება ჰქონდათ, სადაც ბუნებრივია შემდგომ უკვე რეინის ნანარმი და თვით რეინის მასალა გაჰქონდათ. ზემოაღნიშნულიდან ისმება მთავარი კითხვა: სხვა-დასხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების, ასევე სხვა ათასგარი შემოსევებისა და მომხდურების ფონზე, როგორ ხერხდებოდა საუკუნეების მანძილზე რეინის მეტალურგიის წარმოების საიდუმლოების დაცვა?

ისტორიის ამ დარგის სპეციალისტთა შორის გაერცელებული არის აზრი იმის შესახებ, რომ ისტორიული რეინის სადნობი სახელოსნოები საიდუმლო წარმოება იყო, მაგრამ ჩემს ხელთ არსებულ წერილობით წყაროებში ამის შესახებ არსად არ არის გაკეთებული განმარტება.

ჩემს მიერ დასმულ კითხვაზე, თუ რატომ იყო საიდუმლო წარმოება იქ, იმ ტერიტორიაზე, სადაც არის განთავსტული მივიღე შემდეგი პასუხი:

,მეტალურგებს საწვავი მასალის ადგილზე მოპოვება და მაგნეტიტური ქვიშის ზღვის სანაპიროდან მოტანა უფრო უადვილდებოდათ, ვიდრე პირიქით, საწვავი მასალის შორს გადატანა.

ასეთი პასუხი, ჩაქვის, ჩაისუბნის ისტორიული სახელოსნოს და მისი შემოგარენი ტერიტორიის დათვალიერებისას თავიდანვე საეჭვოდ მეჩვენა. თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ მას სიმართლესთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საწვავი ხის მასალა, რომელიც რეინის წარმოებისათვის ამ მხარეში გამოიყენებოდა: წყავის, შეკრის, ნაბლის, რომელიც მაღალ ტემპერატურას (დახ. 1600 გრადუსზე მეტს) იძლევა, ზემოაღნიშნულ მთავარი მდინარეების ზღვის შესართავთანაც ახლოს, სადაც მადანი-მაგნეტიტური ქვიშა მოიპოვებოდა საქმაოდ უხვად იქნებოდა. ამ ხის ჯიშების კვალი ამ ტერიტორიებზე დღესაც საემაოდ კარგად შეიმჩნევა.

ამდენად ეს ვერსია, რომელიც დღემდე იყო დამკვიდრებული თავიდანვე გამოირიცხა, პასუხი სხვაგან უნდა მეტია.

ცნობილი მწერალი და გამომძიებელი კონან დოილი, იგივე „შერლოქ ჰომსი“ ამა თუ იმ საკითხის შესნავლისას ამბობს: „ჩვენ ყველა ერთნაირად ვე-დავთ, სხვადასხვანაირად კი ვამჩნევთ“. მთავარია შემჩნევა და წარმოსახვა.

ამ პრინციპიდან გამომდინარე, ჩაქვის ჩაისუბნის შემდეგ ჩოლოქის და ჭოროხის აუზებში განთავსებული ისტორიული რეინის სადნობი სახელოსნოების მიმდებარე ტერიტორიების დათვალიერების, ამასთან ერთად რუკაზე სადაც ისტორიული სახელოსნოები არის განთავსებული ყურადღებით დაკვირვების შედეგად უძველეს კოლხთა რეინის წარმოების საიდუმლოდ შენახვის სქემა ჩვენს ნინაშე მთელი თავისი სინამდვილით იშლება:

რეინის სადნობი სახელოსნოები კოლხეთის ტერიტორიაზე განთავსებული იყო ერთი და იგივე, კარგად გააზრებული საერთო პრინციპით. მაგ. ისტორიული რეინის სადნობი სახელოსნო, რომელიც ითვლება ჩაქვის წყლის აუზის სახელოსნოდ, არ არის განთავსებული მთავარ მდინარეზე – ჩაქვის წყალზე. იგივე მდგომარეობა მდ. ჩოლოქზე, მდ. ჭოროხზე, მდ. სუფსაზე, მდ. ხობზე და სხვაგან. არამედ იგი განთავსებულია ზღვის შესართავიდან მთავარი მდინარის გასწვრივ, რამდენიმე კილომეტრის (დახ. 4-7 კმ.) გავლის შემდეგ ერთი რომელიმე პატარა შენაკადით შიგნით, პატარა ხეობაში, შენაკადი მდინარის განაპირობად, დაბურულ ტყეში. იგი მთლიანად ჩაფლუ-



ლი იყო ზღვასა და მთებს შორის არსებულ ხეობებს შორის, პატარა ხეობებში.

ძველი კოლხებისათვის მთავარი სტრატეგიული ობიექტების, რეინის სადნობი სახელოსნოების ერთი და იგივე საერთო პრინციპით განთავსებაზე არა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი მონმობს:

უძველეს დროში, კოლხეთის ტერიტორიაზე საქალაქთაშორისო და საერთაშორისო მთავარი სახმელეთო გზა გადიოდა ზღვისპირად, ასევე გარკვეულ ადგილებზე იყო საზღვაო ტრანსპორტისათვის მისადგომები – ნავსაყუდელები. პარალელურად იყო მეორე გზა – სამთო ბილიკებით, რომელიც კოლხეთში შემავალ ჭოროხის, ჩაქვის და სხვა მდინარეთა ხეობებს აკავშირებდა ერთმანეთთან. სამივე გზებით: საზღვაო, ზღვისპირა და სამთო ბილიკებით მიმავალი მგზავრისათვის რეინის წარმოების სახელოსნოები იყო უხილავი, დაფარული. როგორც უკვე ვთქვით იგი მთლიანად ჩაფლული იყო ზღვასა და მთებს შორის არსებულ ხეობების შიგნით, პატარა ხეობებში.

უცხო მგზავრი ვინც მოგზაურობისას გადაკვეთდა მთავარ მდინარეს, ან შეჩერდებოდა ამ მიდამოებში და შეუყვებოდა მთავარ მდინარეს ზღვის შესართავიდან მის სათავეებამდე (ან პირიქით), ვერაფერს შენიშვნავდა. მაგრამ თუ ის მდინარის შენაკადებით ხეობის სილრმეებში, გაუკალ ტყეებში დაინტებდა მოგზაურობის გაგრძელებას, რაც უკვე აშკარა ინტერესს ავლენდა რაღაცის მიმართ, მაშინ მათთვის ეს მოგზაურობა უდავოდ საბედისწერო აღმოჩნდებოდა (შესაძლებელია მთავარ მდინარეზე, მაღალ მთებში საძმე ყოფილიყო განთავსებული რეინის სადნობი სახელოსნოები, მაგრამ იგი აუცილებლად იქნებოდა მოცულებული დასახლებული პუნქტებისაგან და უხილავი, დაფარული და მიუწვდომელი მგზავრებისათვის).

სტრატეგიული დანიშნულების ამ უმნიშვნელოვანების აბიექტებს სადაც დედამიწაზე ახალი, ბრინჯაოსაგან განსხვავებით მტკიცე რეინა-ფოლადი იქმნებოდა ბუნებრივია ჰყავდა მებრძოლებისაგან შემდგარი უსაფრთხოების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფდა მშვიდ გარემოში რეინის წარმოების პროცესს.

ამ აზრის ჭეშმარიტებას ადასტურებს კიდევ ერთი ისტორიული ფაქტი.

ზემოაღნიშნულ საქალაქთაშორისო გზებიდან, ერთ-ერთს, სამთო ბილიკებს სავაჭრო-სატრანზიტო დანიშნულების გარდა, ასევე სამხედრო თავდაცვითი ფუნქცია ეკისრა. ჩვენს მიერ აღნერილი მდინარეების ხეობები, სადაც განთავსებული არის ისტორიული რეინის სადნობი სახელოსნოები, უძველესი დროიდან საქართველოს შავიზღვისპირეთის თავდაცვითი სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს წარმოადგენდნენ. აქ, ზღვის დონიდან საკმაოდ მაღალ მთის ფერდობებზე (დახ. 500-800მ) განთავსებულ სათვალთვალო-სასიგნალო პუნქტებიდან შესაძლებელი ხდებოდა კოლხეთის ვრცელი ტერიტორიის გაკონტროლება. გუშაგები მათთვის დადგენილი

სასიგნალო ნიშნებით (კოცონის დანთება; მალემსრბოლელი..) მეზობელ ხეობებსა და ადგილობრივ მოსახლეობას ამცნობდნენ მოახლოებული საფრთხის შესახებ.

თავდაცვითი სისტემის ეს ფორმა, რომელსაც როგორც ჩანს ჯერ კიდევ უძველეს დროში ჩაეყარა საფუძველი, XVIII საუკუნი. ბოლომდე მოქმედებდა.

ზემოგანხილულის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: ხეობები, სადაც განთავსებული იყო რეინის სადნობი სახელოსნოები, ეს იყო აკრძალული ზონები, დახურული ხეობები თავისი საგუშავოებით, კარგად ორგანიზებული თავდაცვითი სისტემით, სადაც დაუპატიუებელი „სტუმარი“ სიკვდილით ისჯებოდა, რათა არ გაეტანა საიდუმლო ინფორმაცია რეინის წარმოების ადგილმდებარეობის შესახებ. მსგავსი მაგალითები მოიპოვება სხვადასხვა ერის ცხოვრებიდან, მაგ. ტიბეტის ისტორიიდან. როგორც ცნობილია ტიბეტი საუკუნეების მანძილზე XVIII საუკუნის ბოლომდე იზოლირებული იყო გარე სამყაროსაგან. მისი არსებობის შესახებ მხოლოდ მითებითა და ლეგენდებით იყო ცნობილი. დაუპატიუებელი მგზავრი, ვრცელ ტიბეტში აღმოჩნდებოდა მათი კანონის თანახმად სიკვდილით ისჯებოდა, რათა არ გაეტანა ამბავი ტიბეტის შესახებ.

როგორც ჩანს მხოლოდ ასე შეეძლოთ უძველეს ქართველ წინაპრებს ამ უდიდესი სტრატეგიული დანიშნულების, ახალი აღმოჩენის – მადნიდან გამოდნობის წესით რეინის მიღების საიდუმლოების თითქმის 1000 წლის მანძილზე დაცვა.

როგორც ცნობილია რეინის ათვისების ადრეული ეტაპი საქართველოში აღნიშნება ძვ.წ. XIII-XI საუკუნეებით.

რეინის წარმოების განვითარებული ეტაპი აღნიშნება ძვ.წ. X-VIII საუკუნეებით.

ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში რეინის წარმოება მაღალი დონით აღინიშნება მთლიანად ამიერკავკასიაში.

ძვ.წ. V-I საუკუნეებში შეფასებულია, როგორც რეინის წარმოების საყოველთაოდ გავრცელების პერიოდი.

იმ ისტორიულ სინამდვილეს, რომ საქართველომ რეინის ათვისების ადრეული და მისი შემდგომი განვითარების ეტაპები, მის საყოველთაო გავრცელებამდე უწყვეტად განვლო ამ ფაქტს წერილობით წყაროებთან ერთად დღეს ნივთიერი მტკიცებულებებით მოწმობს გადარჩენილი და დაცული მდ. ჭოროხის, ჩაქვის წყლის, ჩოლოქის და ხობი-ოჩხომურის აუზის (ძვ.წ. XIII-VII საუკუნის) ძეგლები.

აღნიშნული ეპოქებისათვის, რომ ისტორიული რეინის სადნობი სახელოსნოები დახურულ ზონებში მოქმედი რეინის წარმოების საიდუმლო აბიექტები იყო, საიდანაც ცხოვთათვის შეუძლებელი იყო რამე ინფორმაციის მოპოვება, ამაზე მაშინდელი ყველაზე ცივილიზებული ერების ცხოვრებისა და მათი საერთაშორისო ურთიერთობების მოქალა ანალიზიც ნათლად მეტყველებს:

საქართველოში ადრეული რეინის და მისი შემდგომი განვითარების პერიოდი ეს არის ეგვიპტის ფარ-





ჩაქვი-ჩაისუბანი, რეკინის სადნობი ლუმელები

### ძვ. XI-X საუკუნეებში

აონების ძლიერების ხანა; ბიბლიური მოციქულების: მოსეს, დავითის, სოლომონ ბრძენის მოღვაწეობის პერიოდი, მეზობელი ურარტუს ძლიერების ეპოქა. მათთვის ამ პერიოდისათვის როგორც წერილობითი ისტორიული წყაროები მოწმობენ რეკინის წარმოება უცხო იყო.

ამიტომ, რეკინა იშვიათი ფუფუნების საგანს წარმოადგენდა. პირველ ხანებში იგი რეკინის არა მნარმოებელი ქვეყნებისათვის საიუველირო ნაკეთობებისათვის და ფუფუნების საგნებისათვის გამოიყენებოდა. რეკინისაგან ამზადებდნენ სამეფო რეგალიებს, რეკინის ნივთებით, რომელიც ოქროზე მეტად ფასობდა, აკოლდოვებდნენ გმირებს:

ეგვასტის ფარაონის ამენტოტეპ III-ის და ეხნატონის არქივში მოპოვებული წერილობითი წყაროები (ძვ. ნ. XV-XIV საუკ.) პირველია, რომელიც მოგვითხრობს კოლხეთში რეკინის წარმოების შესახებ, კერძოდ: კოლხეთის მმართველს ეგვასტის ფარაონისათვის მონა ქალებთან ერთად საჩუქრად რეკინის ხანჯლება და ბეჭდები გაუგზავნია;

„რადგან მხოლოდ ყოვი, ბაშანის მეფე იყო დარჩენილი რეფაიმთა მოდგმიდა... აპა, მისი საწოლი, რეკინის საწოლი... მოგვითხრობს ბიბლია ამის შესახებ (ბიბლია, წიგნი მეხუთე, 3.11).“

ბიბლიაში აღნერილი ეს ისტორია მოციქულ მოსეს მოღვაწეობის ხანა (ძვ. ნ. XIII საუკ.). ბიბლიაში მოცემული ისრაელიანების ისტორიის პარალელურად იგივე ეპოქაში, ჰომეროსის „ილიადა“, აქ აღნერილი ტროას ომი ასევე ადასტურებს, რომ ამ დროისათვის ბერძნებისათვისაც უცხოა რეკინა. ისინი მთლიანად აღჭურვილნი არიან ბრინჯაოსა და სპილენძის იარალით. მათ აქვთ რეკინის ნივთები, მაგალითად სპროტული ასპარეზობისათვის რეკინის „ბადრო“, მაგრამ იგი გმირ აქილევსს ბრძოლებში გამარჯვებით მოუპოვებია:

„პელიატმა მოყმეთ შესთავაზა ბადრო რეკინისა, მას წინათ მძლავრი ეტიონი ტყორცნიდა ხოლმე, როცა ის მოკლა აქილევსმა, ფეხმარდმა გმირმა, სხვა საუნჯესთან ერთად ბადროც წამოულია“ - აღნიშნავს ჰომეროსი.

არა მხოლოდ შორი ქვეყნებისათვის, არამედ საქართველოს უახლოესი მეზობელი ხალხებისათვისაც უცხო იყო რეკინის წარმოების საიდუმლოება, რაც კიდევ უფრო ზრდიდა ინტერესს კოლხეთის მიმართ.

ისტორია ამის შესახებ მოგვითხრობს, რომ ურარტუს მეფე სარდურ II-ეს დაულაშქრავს კოლხეთის ქვეყანა, აულია მათი სამეფო ქალაქი და ამ გამარჯვების აღსანიშნავად აქაური ხელოსნებისთვის უბრძანებია რეკინის ბეჭდის დამზადება...

ძვ. ნ. VIII სუკუნეში შავი ზღვის სანაპიროზე, რომელთა საკმაოდ დიდი ნაწილიც კოლხეთის ტერიტორიაზე მოდიოდა 100-ზე მეტი ბერძნული კოლხნა-დასახლება იყო. მათ ჰქონდათ მქიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ადგილობრივ მოსახლეობასთან, მაგრამ მათთვის, როგორც ჩანს რეკინის წარმოების ტექნოლოგიის საიდუმლოების მოპოვება მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი ინტერესისა, რასაც ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე არგონავტების ისტორია კარგად მონმობს, შეუძლებელი ხდებოდა, კოლხების მიერ რეკინის წარმოების კერძების დახურულ ხეობებში, აკრძალულ ზონებში ზემოთ აღნიშნული პრინციპით განთავსების შედეგად.

დასასრულს შეიძლება აღვნიშნოთ შემდეგი: კაცობრიობის განვითარებასთან ერთად, მეცნიერულ მიღწევებს ყოველთვის თან ახლდა და ახლავს სტრატეგიული დანიშნულების აღმოჩენების საიდუმლოდ დაცვა მისი შემდგომი გამოყენების მიზნით. ამის არაერთი ისტორიული და თანამედროვე ფაქტი არსებობს.

განსაკუთრებით XX-XXI საუკუნეებში კარგადაა ცნობილი დახურული ქალაქები, ან რომელიმე ქვეყნის ტერიტორიაზე, ტყის სიღრმეებში განთავსებული საიდუმლო სამხედრო ნაწილები, რომელთა საფოსტო მისამართი მხოლოდ სამხედრო ნაწილზე მინიჭებული ნომრით გამოიხატება.

დახურულ ზონებში როგორც ზოგადად ცნობილია განთავსებულია მთელი რიგი ლაბორატორიები, სადაც იქმნება მასობრივი განადგურების თუ მისგან თავდაცვის ახალი იარალი, განთავსებულია საიდუმლო სარაკეტი ნაწილები და სხვა...

ამ ნაშრომით, ძველი კოლხი მეტალურგების მაგალითზე ვხედავთ, რომ დედამიწაზე სტრატეგიული დანიშნულების იარალის წარმოებისათვის გასაიდუმლოებული, აკრძალული ზონების არსებობის ტრადიციას უძველეს საქართველოშიც ჩაეყარა საფუძველი, სადაც თავის დროზე, კოლხი მეტალურგები, ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანში დახურულ ხეობებში განთავსებულ სახელოსნოებში დედამიწაზე სრულებით ახალ, რეკინა-ფოლადის სამეურნეო და საპროდოლო იარალს ქმნიდნენ, რამაც შემდგომ ცივილიზაციის განვითარების საქმეში გარდატეხა მოახდინა.

ეს ისტორიული ძეგლები (ძვ. ნ. XIII-VII საუკ.), რომლებიც ნივთიერი მტკიცებულებებით ადასტურებენ, რომ საქართველო, ძველი კოლხეთი რეკინის წარმოების ისტორიული სამშობლოა დღეს ჩვენს წინაშეა! იგი ქართული და ზოგადსაკაცობრიო კულტურული მონაპოვარია, რომელსაც სათანადო გაფრთხილება, მოვლა-პატრონობა, აღიარება და დაფასება სჭირდება!



მხატვარი იური შავიშვილი



მხატვარი ბერენ ბოლცოველი

